

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე ნ ე რ გ ე ტ ი კ ი ს მ ა რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ე ლ ი
ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ ო მ ი ს ი ა (ს ე მ ე კ)

დამტკიცებულია სემეკის
2002 წლის 22 მარტის
№21 გადაწყვეტილებით

წლიური ანგარიში

2001 წელი

თბილისი,
მარტი, 2002 წელი.

	შესავალი	3
1.	საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია: სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და ფინანსირება	5
1.1	სტრუქტურა და კადრებით უზრუნველყოფა	5
	ა) კომისიის წევრები	5
	ბ) კომისიის აპარატი	5
1.2	მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა	7
	ა) ოფისი და მისი მოწყობილობა	7
	ბ) კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა	7
1.3	ფინანსური უზრუნველყოფა და კონტროლი	7
	ა) რეგულირების საფასური	7
	ბ) ტექნიკური დახმარება	7
	გ) სხვა შემოსავლები	7
	დ) სემეკის საქმიანობის შემოწმება	7
2.	საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა	8
2.1	ცვლილებების პროექტი საკანონმდებლო აქტებში	8
2.2	დადგენილებები და გადაწყვეტილებები	9
2.3	სადავო საკითხების გადაწყვეტა	10
3.	საანგარიშო პერიოდში სემეკის გაწეული საქმიანობა	13
3.1	ელექტროენერგეტიკის სექტორი	13
	ა) ელექტროენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება	13
	ბ) ტარიფის დადგენა და რეგულირება	18
	გ) ლიცენზირება	22
	დ) ლიცენზიის პირობებისა და წესების შესრულების შემოწმება	25
	ე) პრივატიზაცია	33
	ვ) ელექტრობაზრის საქმიანობის ზედამხედველობა	37
	ზ) სხვა ფუნქციათა განხორციელება	40
3.2	ბუნებრივი გაზის სექტორი	42
	ა) გაზმომარაგების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება	42
	ბ) ტარიფის დადგენა და რეგულირება	48
	გ) ლიცენზირება	51
	დ) ლიცენზიის პირობებისა და წესების შესრულების კონტროლი	51
	ე) პრივატიზაცია	54
	ვ) სხვა ფუნქციათა განხორციელება	55
3.3	სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია	57
3.4	საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა	59
	ა) საზოგადოებასთან ურთიერთობა	59
	ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა	72
4.	დანართები	76

შესავალი

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში 2001 წელი მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. დასრულდა 2000 წელს წამოწყებული ზოგიერთი სტრუქტურული რეფორმა. კერძოდ, საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი (სესბი) 2000 წელს გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე 5 წლით მართვაში გადაეცა ესპანურ-კანადურ-შოტლანდიურ კონსორციუმს, რომლის ძირითადი მონაწილე ესპანური „იბედროლა“ წარმოადგენს ევროპაში ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიას ელექტროენერჯის ბაზრის მართვის დიდი გამოცდილებით. დასრულდა საერთაშორისო ტენდერი ელექტროგადაცემადისპექტრერიზაციის საწარმოების 5 წლის ვადით კერძო მართვაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელშიც გაიმარჯვა ირლანდიურმა კომპანიამ ESBI. ამ ტენდერებს უნდა მოჰყოლოდა მსოფლიო ბანკის მიერ საბითუმო ბაზრის მხარდაჭერისათვის გამოყოფილი შეღავათიანი კრედიტი 56 მილიონი აშშ დოლარი, რომლის რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტში 2001 წელს, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა და გადაიდო 2002 წლისათვის. აღნიშნული კრედიტი ძირითადად მოხმარდება მაღალი ძაბვის ელექტროქსელის რეაბილიტაციას, რაც მეტად საჭირო და ღროულ დახმარებას წარმოადგენს უმძიმეს ტექნიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს ენერჯოსისტემისათვის.

სტრუქტურული რეფორმის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ელექტროგადაცემისა და დისპექტრერიზაციის საწარმოთა გაერთიანება და ერთ იურიდიულ პირად ჩამოყალიბება. ამ გაერთიანებამ, ექსპერტთა აზრით, რადიკალურად უნდა გააუმჯობესოს ენერჯოსისტემის მართვის პროცესი, ხელი შეუწყოს ელექტროენერჯის განაწილებას მომხმარებელთა მიერ ელექტროენერჯის საფასურის გადახდის ადეკვატურად, ანუ ელექტროენერჯია მიეწოდოს მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელიც სრულად იხდის მის საფასურს. გამანაწილებელი ენერჯოკომპანიების პრივატიზების მიზნით, საქართველოს მთავრობის მრჩეველის ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზების საკითხებში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) წინადადებების საფუძველზე ერთ ენერჯოკომპანიად გაერთიანდება სამხარეო პრინციპით ჩამოყალიბებული გამანაწილებელი ენერჯოკომპანიები, რის შედეგადაც საქართველოში იქნება ოთხი მსხვილი გამანაწილებელი ენერჯოკომპანია – თბილისის, კახეთის, აჭარისა და დანარჩენი საქართველოსი (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარდა), ორივე პროცესი 2002 წლის პირველ ნახევარში დასრულდება.

დასრულდა მოლაპარაკებები ბერძნულ კომპანია „ტერნასთან“, ვარციხეჰესების კასკადის 6,5 წლით მართვაში გადაცემასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა გერმანული ბანკის KfW მიერ გამოყოფილი კრედიტი 32 მილიონი ევრო, რომელიც მოხმარდება ვარციხეჰესების კასკადის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სატარიფო პოლიტიკის სფეროშიც. პირველად ბოლო 5 წლის განმავლობაში შემცირდა (თბილისის გარდა) ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფი. აჭარაში, ნაცვლად 8,4 თეთრი/კვტსთ, გახდა 8,1 თეთრი/კვტსთ, ხოლო დანარჩენ საქართველოში, ნაცვლად 8,3 თეთრი/კვტსთ, გახდა 8,0 თეთრი/კვტსთ. სამწუხაროდ, კვლავ გაიზარდა ტარიფი თბილისში და იგი ამჟამად 220-380 ვოლტი ძაბვის მომხმარებლისთვის შეადგენს 12.4, ხოლო 6-10 კვ ძაბვაზე 11.0 თეთრ/კვტსთ-ს, ტარიფის გაზრდა გამოიწვია „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ გაწეულმა დიდი ოდენობის ინვესტიციებმა.

2001 წლის ბოლოს, 22 დეკემბერს, „ეი-ი-ეს მტკვარის“ მე-10 ენერგობლოკზე მოხდა უძძიმესი ავარია, აფეთქდა ქვაბი, რომელმაც მინიმუმ ერთი წლით მწყობრიდან გამოიყვანა მე-10 ენერგობლოკი. ავარიის გამომწვევ მიზეზებს სწავლობს სპეციალური კომისია. წინასწარი მონაცემებით, უკვე გამოირიცხა საბოტაჟი ან გარედან ზემოქმედება. ავარიის მიზეზად დასაბუთდა ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა. ავარიის შედეგად 2002 წლის 26 იანვრამდე გამორთული იყო მე-9 ენერგობლოკიც. მიუხედავად ამისა, სომხეთის, რუსეთის და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დახმარებით, აგრეთვე, გარდაბნის სრესის მე-3, მე-4 და მე-8 ენერგობლოკების ამოქმედებით, ქვეყანამ მეტ-ნაკლებად ნორმალურად გამოიზამთრა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ბოლო 10 წლის განმავლობაში თბილისში მცირე გამონაკლისების გარდა პრაქტიკულად იყო უწყვეტი ელექტრომომარაგება.

ბუნებრივი გაზის სექტორში განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებები არ გატარებულა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წინა წელთან შედარებით გაიზარდა ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა რაოდენობა მაგალითად, თბილისში ამჟამად ბუნებრივ გაზს იღებს 150000 ოჯახი, მაშინ როცა 2000 წელს ეს რიცხვი 35000 შეადგენდა. ამ ტენდენციაზე მეტყველებს ბუნებრივი გაზის სექტორში გაცემული განაწილების ლიცენზიები. 2001 წელს ბუნებრივი გაზის მიწოდება აღუდგათ ლაგოდეხის, ზესტაფონის, ქარელის, გორის, ვანის, ახალგორის რაიონებს.

ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად კვლავ რჩება სს „თბილგაზი“. გასულ წელს მორიგი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მისი პრივატიზება. კატასტროფულად დაბალია მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებელი, რაც მუდმივ პრობლემას ქმნის გაზის ექსკლუზიურ მომწოდებელთან სს „საქგაზთან“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გასულ წელს 3-ჯერ გაიზარდა იმპორტირებული გაზის ღირებულება და იგი საქართველო-რუსეთის საზღვარზე ნაცვლად 40-სა, ამჟამად შეადგენს 60 აშშ დოლარს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების, საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები მოხდა სემეკში. შეიქმნა სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომელშიც 4 თანამშრომელი მუშაობს. დეპარტამენტმა დიდი სამუშაო გასწია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში, გადაიჭრა მომხმარებელებსა და ლიცენზიატებს შორის წარმოშობილი მრავალი სადავო საკითხი. რეგულარულად კვირაში ერთხელ ტარდება შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა ფენების და მომხმარებელთა კატეგორიების

წარმომადგენლებთან. საინფორმაციო საშუალებებით უუქდება სემეკის საქმიანობა. ამოქმედდა სემეკის ინტერნეტ გვერდი (w.w.w. gnerc.org.)

2001 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხილვა მოცემულია წინამდებარე ანგარიშში.

1. საქართველ ოს ენერ გე ტიკის მარეგული რებე ლ ი ეროვნული კომისია :

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა, მ ა ტერია ლ უ რ- ტ ექნიკური აღჭუ რ ვი ლობა და ფინანსირება

1.1. ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა დ ა კად რებით უზ რ უ ნველყო ფ ა

ა) კომისიის წევრები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისია შედგება სამი წევრისაგან, რომლებიც თანამდებობაზე დაინიშნენ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 7 აგვისტოს №960 განკარგულებით, მათგან თავმჯდომარეა ელიზბარ ერისთავი, წევრები ლემურ ჩომახიძე და პაატა ცინცაძე. კომისიის წევრების მიერ 2000-2001 წლებში მომზადებულ იქნა და გამოიცა ფუნდამენტური ნაშრომი „ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები“ 2 წიგნად, საერთო მოცულობით 48 ნაბეჭდი თაბახი. ნაშრომი გამიზნულია დარგის ლიცენზიატებისა და ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ბ) კომისიის აპარატი

აპარატს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე ფირცხალაიშვილი.

2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომისიის აპარატი შედგება 65 მუშაკისაგან.. კომისიის აპარატის შემადგენლობაშია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ა. 5 დეპარტამენტი - იურიდიული, ეკონომიკური, ელექტროენერგეტიკული, ბუნებრივი გაზისა და სამოქალაქო უფლებების დაცვის;
- ბ. 1 განყოფილება - საერთო;
- გ. 2 სამსახური - კომპიუტერული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო;
- დ. ბუღალტერია;
- ე. მომსახურე პერსონალი.

აპარატი ძირითადად დაკომპლექტებულია ინჟინერ-ენერგეტიკოსებით, გაზის მეურნეობის სპეციალისტებით, ეკონომისტებით და იურისტებით. აპარატის სპეციალისტისაგან ენერგეტიკოსი და გაზის მეურნეობის სპეციალისტია 16, ანუ

სპეციალისტთა საერთო რაოდენობის 31.4%, ეკონომისტი – 10, ანუ საერთო რაოდენობის 19.6% და იურისტი – 10, ანუ 19.6%. გარდა ამისა, აპარატში არიან სამოქალაქო უფლებების დაცვის, სხვადასხვა სპეციალობის 15 მუშაკი (29.4%).

აპარატის მუშაკების მიღება წარმოებს საკონტრაქტო სისტემით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომისიას ჰყავდა 14 ადგილობრივი კონსულტანტი, მათ შორის 8 ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის მეურნეობის სპეციალისტი, 5 ეკონომისტი და 1 იურისტი.

აპარატის მუშაკები

№	დეპარტამენტი	ხელმძღვანელის სახელი, გვარი
1	<u>ალმასრულებელი დირექტორი</u>	ალექსანდრე ფირცხალაიშვილი
2.	<u>juridiuli departamenti</u> - 10 სამტატო ერთ. დეპარტამენტის დირექტორი სამმართველოს უფროსი – 2 სამტატო ერთეული მთავარი იურისტი – 2 სამტატო ერთ. წამყვანი იურისტი – 2 სამტატო ერთ. უფროსი იურისტი - 2 სამტატო ერთ საქმისმწარმოებელი – 1 სამტატო ერთეული	თამაზ მირესაშვილი
3.	<u>eleqtroenergetikuli departamenti</u> -- 8.5 სამტატო ერთ. დეპარტამენტის დირექტორი სამმართველოს უფროსი 1 სამტატო ერთეული მთავარი სპეციალისტი - 4 სამტატო ერთ. წამყვანი სპეციალისტი - 1 სამტატო ერთ. სტაჟიორი – 1 სამტატო ერთ. კონსულტანტი – 0.5 სამტატო ერთ.	რომან უშვერიძე
4.	<u>ekonomikuri departamenti</u> - 10 სამტატო ერთ. დეპარტამენტის დირექტორი მთავარი სპეციალისტი – 2 სამტატო ერთ. წამყვანი სპეციალისტი - 3 სამტატო ერთ. სპეციალისტი – 1 სამტატო ერთ. საქმისმწარმოებელი - 1 სამტატო ერთ. სტაჟიორი - 1 სამტატო ერთ.	ნუგზარ ჩოხელი
5.	<u>bunibrivi gazis departamenti</u> 6 სამტატო ერთ. დეპარტამენტის დირექტორი მთავარი სპეციალისტი – 1 სამტატო ერთ. მთავარი ექსპერტი – 1 სამტატო ერთ. წამყვანი სპეციალისტი – 2 სამტატო ერთ. რეფერენტი - 1 სამტატო ერთ.	დიმიტრი ნამგალაძე

6.	<u>samoqalaqo uflebebis dacvis departamenti</u> 4 საშტატო ერთეული დეპარტამენტის დირექტორი მასმედიის სამსახურის მდივანი – 1 საშტატო ერთ. სამოქალაქო სამსახურის მდივანი 1 საშტატო ერთ.	პაატა ვარდოსანიძე
7.	<u>saerTo ganvofileba -</u> 5 საშტატო ერთ. განყოფილების უფროსი საქმისმწარმოებელი – 2 საშტატო ერთ. რეფერენტი –1 საშტატო ერთ. კურიერი - 1 საშტატო ერთ.	მზია სუქნიძე
8.	<u>buRalteria -</u> 2 საშტატო ერთ. მთავარი ბუღალტერი	მარიკა სომხიშვილი
9.	<u>kompiuteruli uzrunvelyofis samsaxuri --</u> 1 საშტატო ერთ.	
10.	<u>administraciul-sameurneo samsaxuri --</u> 15 საშტატო ერთ.	

1.2. მა ტერია ლ უ რ- ტ ექნიკური აღჭურვილობა

ა) ოფისი და მისი აღჭურვილობა

სემეკის ფართობი შეადგენს 1332 კვ.მ-ს. ოფისი კეთილმოწყობილია. 2001 წელს ოფისისათვის შეძენილი იქნა 24200 ლარის აღჭურვილობა.

ბ) კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა

2001 წელს შეძენილ იქნა 9900 ლარის ღირებულების კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა.

1.3. ფინანსური უზრუნველყოფა და კონტროლი

ა) რეგულირების საფასური

2001 წელს შემოვიდა რეგულირების საფასური 849173 ლარის ოდენობით, საიდანაც ბიუჯეტში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში გადარიცხულია 249270 ლარი.

ბ) ტექნიკური დახმარება.

2001 წელს ტექნიკური დახმარება არ განხორციელებულა.

გ) სხვა შემოსავლები

უცხოეთში მივლინებების დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკიდან და აშშ განვითარების სააგენტოდან გადმორიცხა 12600 ლარი.

დ) სემეკის საქმიანობის შემოწმება.

ქ. თბილისის მთავრინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2001 წლის 4 დეკემბრის № 50/685 დავალების საფუძველზე, ამავე ინსპექციის მთავარი სახელმწიფო საგადასახადო ინსპექტორების მიერ, ჩატარდა სემეკის

ბიუჯეტთან და ბიუჯეტგარეშე ფონდებთან ანგარიშსწორების შემოწმება 2000 წლის 1 იანვრიდან 2001 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდისათვის. შემოწმება დამთავრდა 28 დეკემბერს, შედგა სათანადო დასკვნა, სადაც შეტანილია გარკვეული შენიშვნები და წინადადებები, გამიზნული კომისიის შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. ბიუჯეტთან და ბიუჯეტგარეშე ფონდებთან დავალიანება არ გამოვლენილა.

2002 წლის 8 იანვრიდან 25 თებერვლამდე ჩატარდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება. აუდიტორული დასკვნით ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებით ასპექტში უტყუარად და რეალურად ასახავს სემეკის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას.

2. საკანონმდებლ და ნორმა ტიუ ლი ბაზა

2.1 ცვლილებების პროექტი საკანონმდებლ და აქტებში

საანგარიშო წელს სემეკის მონაწილეობით მომზადდა კანონპროექტი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. კანონპროექტი ითვალისწინებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ“ კანონებსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციულ-საპროცესო და საგადასახადო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.

ზემოთ აღნიშნული კანონპროექტი განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის სხდომაზე და პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეტანილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად.

როგორც ცნობილია, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში დაგროვილია სხვადასხვა ინვესტორთა სოლიდური დავალიანება, რაც დიდ სირთულეს უქმნის ქვეყნის ენერგოსისტემას ინვესტორებთან ურთიერთობისას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, დონორ ორგანიზაციებთან აღმასრულებელი ხელისუფლების კონსულტაციების შედეგად, ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მიჩნეული იქნა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფში სპეციალური, - უცხოური ვალების მომსახურების კომპონენტის შეტანა.

თავის მხრივ, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ითხოვს სათანადო საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც გათვალისწინებულია კანონპროექტში „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომელიც, როგორც აღინიშნა, წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.

2.2 და დ გ კნილებები და გად აწყვე ტილებები

2001 წელს სემეკმა შეიმუშავა 19 დადგენილება, რომელთაგან 15 რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და გამოქვეყნებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. მათ შორისაა:

1. დადგენილება № 1. „ელექტროენერჯის საცალო და საბითუმო ტარიფების შესახებ“ სემეკის 2000 წლის 31 აგვისტოს №8 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.“
2. დადგენილება № 2. „საქართველოს ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში სერტიფიკაციის სისტემის ცენტრალური ორგანოს შესახებ.“
3. დადგენილება № 3. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“
4. დადგენილება № 4. „ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ.“
5. დადგენილება № 5. „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისა და გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ სს „ეი-ი-ეს მტკვარის“ და სს „თბილსრესისთვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის დადგენის შესახებ.“
6. დადგენილება № 6. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ.“
7. დადგენილება № 7. „სს „აზოტისათვის“ ელექტროენერჯის მიწოდებისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფების შესახებ.“
8. დადგენილება № 8. „შპს „ჟინვალჰესის“ ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის შესახებ.“
9. დადგენილება № 9. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.“
10. დადგენილება № 10. „სს „ეი-ი-ეს თელასის“ და მისი ყველა კატეგორიის მომხმარებელთათვის ელექტროენერჯის მიწოდების, მომსახურების და მოხმარების პირობების“ დამტკიცებისა და ქ. თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.“
11. დადგენილება №11. „საბაზრო წესების“ დამტკიცების, საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის (ელექტრობაზრის) „საბაზრო წესების“ დამტკიცების შესახებ სემეკის 1999 წლის 31 მაისის № 2 დადგენილებისა და „საბაზრო წესების“ დამტკიცების შესახებ სემეკის 1999 წლის 31 მაისის № 2 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცების შესახებ სემეკის 2000 წლის 14 თებერვლის №1 დადგენილების გაუქმების შესახებ“
12. დადგენილება №12. „ელექტროენერჯის სამომხმარებლო და ელექტროენერჯეტიკული სექტორის შიდა ტარიფების შესახებ.“

13. დადგენილება №13. „სემეკის 1999 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესსა და მეთოდოლოგიაში“ დამატებების შეტანის შესახებ.“
14. დადგენილება №14. „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.“
15. დადგენილება №15. „სს „ეი-ი-ეს თელასის“ სააბონენტო სექტორის მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისთვის) 1999 წლის 4 იანვრის შემდეგ წარმოქმნილი ვალის რესტრუქტურის წესის“, „სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორებში აღურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდიკისა“ და „ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის გადახდის წესის“ დამტკიცების შესახებ.“ ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სამართლებრივი ექსპერტიზისთვის გაგზავნილ იქნა სემეკის ქვემოთ ჩამოთვლილი დადგენილების პროექტები:

- „სს „ეი-ი-ეს თელასის“ და მისი ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ელექტროენერჯის მიწოდების, მომსახურების და მოხმარების პირობების დამტკიცებისა და ქ. თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სემეკის 2001 წლის 20 სექტემბრის №10 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.
- „სემეკის 1999 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესსა და მეთოდოლოგიაში“ დამატების შეტანის შესახებ“.
- „ელექტროენერჯის სამომხმარებლო და ელექტროენერჯეტიკული სექტორის შიდა ტარიფების შესახებ“ სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ“.
- „სემეკის დებულების დამტკიცების შესახებ“.

ამ ოთხ დადგენილებზე იუსტიციის სამინისტროსაგან მიღებულია შენიშვნები, რომლებზეც მიმდინარეობს მუშაობა. გარდა ამისა, საანგარიში წელს მიმდინარეობდა მუშაობა კონკრეტულ ინდივიდუალურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად. 2001 წელს სემეკში სულ მიღებულ იქნა 132 გადაწყვეტილება.

2.3 სადავო საკითხების გადაწყვეტა

საანგარიშო წელს განხორციელდა სემეკის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოებში, კერძოდ:

1. სს „საქტრანსგაზმრეწვის“ სარჩელის გამო, რომელიც ითხოვს სემეკის გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლითაც შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ მიეცა ტრანსპორტირების ლიცენზია. 1999 წლის აგვისტოდან საქმე კვლავაც წარმოებაშია.

2. დავა სს „მცხეთაგაზსა“ და ფასწარმოქმნის სახელმწიფო ინსპექციას შორის, მესამე პირი, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე – სემეკი. სადავო საკითხი: ფასების სახელმწიფო ინსპექციის მიერ სს „მცხეთაგაზის“ შემოწმების შედეგად შედგენილ იქნა აქტი, რომლითაც სემეკის 2000 წლის 23 თებერვლის №11 გადაწყვეტილება „სს „კასპიგაზისა“ და სს „მცხეთაგაზისათვის“ პირდაპირ მომხმარებლებზე ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფების შესახებ“, მიჩნეულ იქნა უკანონოდ. ფასების სახელმწიფო ინსპექციის მიერ უგულველყოფილ იქნა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა. აღნიშნული პუნქტით, როგორც ცნობილია, სემეკი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ცალკეულ ინდივიდუალურ საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებებს.

ფასების სახელმწიფო ინსპექციის მოსაზრებით კი ტარიფების თაობაზე, ნებისმიერ შემთხვევაში, მიღებული უნდა ყოფილიყო დადგენილება, მიუხედავად იმისა, შეეხება თუ არა იგი სამართალურთიერთობის ცალკეულ ინდივიდუალურ სუბიექტს თუ პირთა განსაზღვრულ წრეს.

ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გაუქმებულ იქნა ფასების სახელმწიფო ინსპექციის მიერ სს „მცხეთაგაზის“ შემოწმების აქტი და აღნიშნული აქტის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ეკონომიკის, ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროს მიერ მიღებული შესაბამისი ბრძანება.

3. დავა სს „ელექტროგადაცემასა“ და ფასწარმოქმნის სახელმწიფო ინსპექციას შორის, მესამე პირი, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე – სემეკი. სადავო საკითხი ფასწარმოქმნის სახელმწიფო ინსპექციის მიერ „ელექტროგადაცემის“ შემოწმების შედეგად შედგენილი აქტი. საქმე წარმოებაშია.

4. დავა სს „საქრუსენერგოსა“ და ფასწარმოქმნის სახელმწიფო ინსპექციას შორის, მესამე პირი, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე – სემეკი. სადავო საკითხი ფასწარმოქმნის სახელმწიფო ინსპექციის მიერ სს „საქრუსენერგოს“ შემოწმების შედეგად შედგენილი აქტი. საქმე წარმოებაშია.

5. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სარჩელისა გამო. მოპასუხე სემეკი. მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხის მიერ სამომხმარებლო ხელშეკრულების დადგენილების მიღებას. საქმე განხილულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოში. საქმე წარმოებაშია ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში.

6. მოქალაქე გ. ცერცვაძის სარჩელი. მოპასუხე სემეკი. მოსარჩელე ითხოვს სემეკის 1999 წლის 31 მაისის №1 და 2000 წლის 31 აგვისტოს №8 დადგენილებების გაუქმებას. საქმე წარმოებაშია ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში.

7. ქ. თბილისის საკრებულოს მიერ გასაჩივრებულ იქნა სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილება „ელექტროენერგეტიკის სამომხმარებლო და ელექტროენერგეტიკული სექტორის შიდა ტარიფების შესახებ.“ საქმე კვლავ წარმოებაშია.

8. გასული წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სემეკის, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს, დამოუკიდებლობის ხელყოფის მცდელობას. უფრო სწორად, სემეკის საქმიანობაში, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში ტარიფის დადგენის საკითხში, რომელიც კანონის მიხედვით მხოლოდ სემეკის პრეროგატივაა, საქართველოს კონტროლის პალატის მხრიდან უხემ ჩარევას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატა არ არის უფლებამოსილი შეამოწმოს სემეკის მიერ დადგენილი ტარიფის სისწორე, მან კანონის დარღვევით შეამოწმა სს „თბილგაზის“ მიერ სს „თბილთეცისთვის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის დაწესების შესახებ სემეკის 2000 წლის 16 მაისის №29 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად სს „თბილგაზს“ დაუდგინდა სს „თბილთეცისთვის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი 23 ლარი ყოველი 1000 კუბ მეტრისთვის. კონტროლის პალატის აზრით, გადაწყვეტილება არასწორია და მისი მიღებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი ზარალი მიაღება.

ისე, რომ არ გაიზიარეს სემეკის საფუძვლიანი მოსაზრებები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, კონტროლის პალატამ შემოწმების მასალები გადაუგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სადაც 2001 წლის 20 სექტემბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მექანიკურად არ დაეყრდნო კონტროლის პალატის „ბრალდებას“, დანიშნა ეკონომიკური ექსპერტიზა, რომელმაც მთლიანად გააქარწყლა კონტროლის პალატის „ბრალდება“.

წინამდებარე ანგარიშზე მუშაობის პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2002 წლის 20 თებერვალს მიღებული დადგენილებით, აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

სემეკის ყველა გადაწყვეტილებას ეძლეოდა სამართლებრივი შეფასება. სისტემატური ხასიათი ჰქონდა სემეკის მუშაკთათვის, მოქალაქეებისა თუ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში დასაქმებული ლიცენზიატებისთვის იურიდიული კონსულტაციის გაწევას. გასული წლის განმავლობაში იურიდიულ დეპარტამენტში შემოვიდა 809 წერილი და განცხადება, რომლებიც განხილულ იქნა და პასუხი გაეცა 743-ს, ხოლო 66 წერილი შესასრულებლად გადმოვიდა 2002 წელს.

3. საანგარიშო პერიოდში და რვის რეგულირების სფეროში გაწეული საქმიანობა

3.1 ელექტროენერგეტიკული სექტორი

ა. ელექტროენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება

2001 წელს საქართველოში გამოუმუშავებულ იქნა 6905.7 მლნ კვტსთ ელექტროენერგია, რაც 540.7 მლნ კვტსთ-ით ანუ 8,3%-ით ნაკლებია 2000 წელს გამოუმუშავებულ ელექტროენერგიაზე და შეადგინა ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერგიის (7159,3) 96,4%. აქედან ჰიდროელექტროსადგურების გამოუმუშავება შეადგენს 5438,7 მლნ კვტსთ-ს ანუ 78,7%-ს, ხოლო თბოსადგურების 1370,5 მლნ კვტსთ-ს, ანუ 21,3%-ს, სხვაობა დაიფარა მეზობელი ენერგოსისტემებიდან (იხ. დანართი 7).

საანგარიშო წელს შემცირებულია დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი და ენერგოსისტემისათვის ის 23,77%-ია (წინა წლის 77%). აღნიშნულ პირობებში ფუნქციონირებენ 35-110-220-500კვ ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები და შეუზღუდავად ატარებდნენ სიმძლავრეს, მაგრამ ვერ ხერხდება მოხმარების დაფარვა; პიკის საათებში კი (2001 წელს პიკური სიმძლავრე იყო 1728 მვტ, ანუ დადგმული სიმძლავრის 35%), მიმდინარეობდა მომხმარებელთა სერიოზული შეზღუდვები, ამის გამო მნიშვნელოვნად მცირდება ენერგოსისტემის მუშაობის ეფექტურობა და იქმნება სოციალური დაძაბულობა, იზრდება ტარიფები. დადგმულ, ქონებულ და მუშა სიმძლავრეებს შორის დაუშვებელი თანაფარდობები ძირითადად განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1. დატბორილია ვარდნილქესი ირ-ირ-ირ;
2. არ მუშაობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ელექტროსადგურები (სოხუმქესი, ტყვარჩელსრესი, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები);
3. შემცირებულია ჟინვალქესის სიმძლავრე გვირაბის ჩამონგრევის გამო;
4. დაუფინანსებლობის გამო ვერ ხერხდება მოწყობილობა-დანადგარების რემონტი, რის გამოც შემცირებულია სეზონური რეგულირების ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე; წყალდიდობის პერიოდში გამოუყენებლად იღვრება წყალი;
5. დაუფინანსებლობის გამო ვერ ხერხდება ენგურქესის გაძარცული №3 ბლოკის აღდგენა;
6. შემცირებულია ვარდნილქეს-რ-ის არხის გამტარუნარიანობა და შესაბამისად, სიმძლავრე;
7. მთლიანად ამორტიზებულია თბილსრესის №1,2,5,6,7 ენერგობლოკები, ხოლო №3,4,8 ბლოკები საწვავის უქონლობის გამო მუშაობენ შეფერხებებით. ამავე მიზეზით არ მუშაობდა თბილისის თბოელექტროცენტრალი;

8. სერიოზული სიძნელებები შეიქმნა სს „ეი-ი-ეს მტკვარის“ №9 და №10 ბლოკების მუშაობის გრაფიკის უხეში დარღვევის და დაბალი საიმედოობის გამო, კერძოდ მე-10 ენერგობლოკის ამოქმედება დაგეგმილი იყო აგვისტოში, ხოლო მე-9 ბლოკის, სექტემბერში; ფაქტიურად მე-10 ბლოკი ამოქმედდა 4 სექტემბრიდან, ხოლო მე-9 – 5 ოქტომბრიდან. მე-10 ენერგობლოკზე 22 დეკემბერს მომხდარი დიდი აფეთქების გამო მე-10 ბლოკი საერთოდ გამოვიდა მწყობრიდან, ხოლო მე-9 ბლოკის ამუშავება 2001 წელს ვერ მოხერხდა.

სს „ეი-ი-ეს მტკვარის“ განაცხადით, გათვალისწინებული იყო ორივე ბლოკის ერთდროული მუშაობა 550 მვტ-ის ფარგლებში მუშა სიმძლავრით; ფაქტიურად ბლოკები მუშაობდნენ არაერთდროულად, მონაცვლეობით 180 მვტ-მდე დატვირთვით, რამაც ელექტროენერჯის საპროგნოზო ბალანსის სტრუქტურაში გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები და შესაბამისად, ჰიდრორესურსების გრაფიკით გათვალისწინებულზე ადრე ხარჯვა. აღნიშნულის გამო შეიქმნა პრობლემები შემოდგომა-ზამთრის სეზონში ენერგოსისტემის საპროგნოზო დატვირთვის რეალიზაციაში;

9. შემცირებულია ტყიბულაქესის (ძვერულაქესის) სიმძლავრე მე-2 აგრეგატის დასაშვებზე მეტი ვიბრაციის გამო; ასევე შემცირებულია შაორაქესის, ვარციხეჭესის, გუმათაქესების მუშა სიმძლავრეები.

ენერგოსისტემის ძირითადი ელექტრული ქსელი: 35-110-220-330-500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები ორი ლიცენზიატის სს „საქრუსენერგოს“ და სს „ელექტროგადაცემის“ მფლობელობაშია. შემცირებული გენერაციის და მოხმარების პირობებში, აღნიშნული ქსელი უპრობლემოდ ატარებს პიკური დატვირთვის შესაბამის სიმძლავრეებს, სტატიკური მდგრადობის მარაგის კოეფიციენტის მოთხოვნილი მნიშვნელობის უზრუნველყოფით. თუმცა აღნიშნული ქსელის ტექნიკური მდგომარეობა და შესაბამისად ფუნქციონირების საიმედოობა არაადაკმაყოფილებელია; ეს განპირობებულია ლიცენზიატების მიერ სესბისაგან კუთვნილი ფინანსური ანაზღაურების მიუღებლობით და შესაბამისად, გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების არასრული მოცულობით შესრულების გამო.

სს „საქრუსენერგოს“ მფლობელობაში არსებული 220-330-500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების 2001 წლის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული 71 პუნქტიდან შესრულდა 47, ნაწილობრივ შესრულდა – 5.

სს „ელექტროგადაცემის“ ელექტროქსელი შედგება 35-500 კვ ძაბვის 400-მდე ქვესადგურის და 35-220 კვ ძაბვის 7000 კმ-მდე საერთო სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზისაგან; ასევე მოიცავს 0.4-6-10 კვ ძაბვის 295 ერთეულ კომპლექტურ სატრანსფორმატორო ქვესადგურს და 2080 კმ ელექტროგადამცემ ხაზს.

2001 წელს ელექტროგადამცემი კომუნიკაციების ტექნიკური ღონისა და საიმედოობის ამაღლების უზრუნველყოფისათვის დაგეგმილ ღონისძიებათა დიდი

ნაწილი ვერ შესრულდა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ქრონიკული, მწვავე დეფიციტის გამო. კერძოდ:

1. 35-220 კვ ელექტროგადამცემი ხაზების კაპიტალური შეკეთების გეგმა შესრულდა 24.84%-ით. საზოგადოების 15 ფილიალში შეკეთება საერთოდ არ ჩატარებულა;
2. 35 და მეტი ძაბვის ტრანსფორმატორების კაპიტალური შეკეთების გეგმა შესრულდა 14.29%-ით. საზოგადოების 2 ფილიალში გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური შეკეთება საერთოდ არ ჩატარებულა დაუფინანსებლობის გამო;
3. 6-500 კვ ძაბვის ზეთიანი და საჰაერო ამომრთველების კაპიტალური შეკეთების გეგმა შესრულდა 58.24%-ით. ანალოგიური სამუშაოები 7 საწარმოში საერთოდ არ ჩატარებულა დაუფინანსებლობის გამო;
4. სააკუმულატორო ბატარეების კაპიტალური შეკეთების გეგმა შესრულდა 4.35%-ით;
5. კაპიტალურ მშენებლობის, აღდგენა-რეკონსტრუქციის და საზოგადოების შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთების გეგმა შესრულდა 8.72%-ით.

სს „ელექტროგადამცემის“ ობიექტებზე შესრულებულ სამუშაოთაგან მნიშვნელოვანი მოცულობით გამოირჩევა ავარიული და გამარცხული უბნების აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები.

საანგარიშო წელს პრაქტიკულად დასრულდა დასავლეთ საქართველოს 220კვ-იანი ენერგოკვანძის სარეაბილიტაციო სამუშაოები კონცერნ RWE-ს პროგრამის საფუძველზე შედგენილი პროექტის შესაბამისად.

ენერგოსისტემის ელექტრული ქსელის მუშაობის საიმედოება დაბალია, რაც განაპირობებულია რელეური დაცვის, რეჟიმული და ავარიების საწინააღმდეგო ავტომატიკის მოწყობილობებით მისი არასაკმარის ალგორითმით; აღნიშნული მოწყობილობების უმრავლესობა დამონტაჟებულია 25-30 წლის წინ და ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია.

შემაშფოთებელია ენერგოსისტემის 220-500 კვ ძაბვის ქსელის რელეური დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობების მდგომარეობა, კერძოდ:

- 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების დიდი ნაწილის მაღალსიხშირული დიფერენციალურ-ფაზური დაცვები გამოყვანილია მოქმედებიდან და აღნიშნული ძირითადი დაცვების ნაცვლად, მოქმედებაშია მოძველებული სარეზერვო დაცვები;
- 500 კვ ძაბვის „ქართლი-1“ და „ქართლი-2“-ის მიკროელემენტურ ბაზაზე განხორციელებული ПДЭ ტიპის დაცვების იმედიანობა დაბალია მათი ორგანული ხარვეზების გამო, რომელთა აღმოფხვრა დღემდე ვერ ხერხდება;
- არაეფექტურია ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის არხებისა და მოწყობილობების, მათ შორის საგ-ის ფუნქციონირება;
- რიგ გადამცემ ხაზზე არ არის აგჩ-ს მოწყობილობები, ხოლო არსებული არ მოქმედებს;
- ავტომატური რეგულატორების გაუმართაობის გამო ელექტროსადგურების გენერატორების სიხშირის (სიჩქარის) რეგულირება გადაყვანილია ხელით

რეგულირებაზე; აქტიური სიმძლავრისა და სიხშირის მეორადი რეგულირების ავტომატური სისტემა საერთოდ არ არსებობს, რაც მკვეთრად ამცირებს ენერგოსისტემის სტატიკურ და დინამიკურ მდგრადობას, ხშირად განაპირობებს ადგილობრივი ავარიის სისტემურ ავარიაში გადაზრდას და ენერგოსისტემის სრულ ან ნაწილობრივ ჩაქრობას.

ენერგოსისტემის ძალოვანი მოწყობილობების, მათი მართვის, დაცვისა და რეგულირების მოწყობილობებისა და კომპლექსების, სისტემური ავტომატიკისა და მართვის დაბალი ტექნიკური დონე, ოპერატიული და სარემონტო სიმძლავრეების უქონლობა ხელს უშლის შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ს და მის დისპეტჩერიზაციის ეროვნულ ცენტრს განახორციელონ ენერგოსისტემის ეფექტური მართვა, ნორმალური რეჟიმების ოპტიმიზაცია და შესაბამისად, მომხმარებლისათვის ხარისხიანი ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდება მინიმალური დანახარჯებით.

აქტიური სიმძლავრისა და სიხშირის ავტომატური მეორადი რეგულირების სისტემის უქონლობა ართულებს საქართველოს ენერგოსისტემის მეზობელი ქვეყნების (ამჟამად რუსეთის) ენერგოსისტემებთან პარალელური მუშაობის პირობების უზრუნველყოფას და სისტემათაშორისო ელექტროგადამცემი ხაზებით გადასაცემი აქტიური სიმძლავრის კონტროლს.

ენერგოსისტემის ფუნქციონირების და მართვის დონის ამაღლების მიზნით საჭიროა რიგი ნატურალური ექსპერიმენტის ჩატარება, მაგრამ ენერგოსისტემის ტექნიკური მდგომარეობა და მძიმე მატერიალურ-ფინანსური ვითარება ამის საშუალებას არ იძლევა.

სერიოზული პრობლემებია წარმოებული, გადაცემული, განაწილებული და მოხმარებული ელექტროენერჯის კომერციული და ტექნიკური აღრიცხვის საქმეში. აღნიშნული საკითხის დროულად მოგვარება ვერ ხერხდება დაუფინანსებლობის გამო. ასევე შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს განახლებული ნორმატიული დოკუმენტების პრაქტიკულად არარსებობა და საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის არასათანადო მუშაობა მისთვის სემეკის მიერ მინიჭებული ელექტროენერჯის აღრიცხვის ექსკლუზიური უფლებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებისათვის.

ენერგოსისტემის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის ზემოთ მოყვანილი მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ენერგოსისტემის სრული ტექნიკური რეაბილიტაციისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციები. შიგა ინვესტიციების განხორციელება პრაქტიკულად გამორიცხულია. დარგში გატარებული რესტრუქტურისა და რეფორმების შედეგები, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არაა დამაკმაყოფილია.

დაგროვილ პრობლემათა მოგვარებაში საქართველოს ენერგეტიკას დიდ დახმარებას უწევს აშშ-ის მთავრობა. მაგალითად, 2001 წლის დასაწყისში აშშ-ს მთავრობის მიერ, საქართველოსადმი გაწეული დახმარების ფარგლებში, განსაზღვრულ იქნა დამატებითი პრიორიტეტი. კერძოდ, დახმარების საქართველო – აშშ-ს ერთობლივ პროგრამას დაემატა მეხუთე კომპონენტი „ენერგოსექტორის

რეაბილიტაციის სტრატეგია“. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიქმნა 5 მუშა ჯგუფი, რომლებსაც დაევალოთ ენერგეტიკის სექტორში შექმნილი მდგომარეობის შესწავლა და დარგის განვითარებისათვის სხვადასხვა სახის წინადადებების მომზადება. მასში მონაწილეობდნენ სექციის თანამშრომლებიც. მუშა ჯგუფები შექმნილი იქნა შემდეგი მიმართულებებით:

- 1 ჯგუფი – „ენერგეტიკული სტატეგია, ელექტროენერგეტიკული ბალანსები, რეჟიმები, მოკლე და გრძელვადიანი პროგრამები.“
- 2 ჯგუფი – „ენერგეტიკული უსაფრთხოება, ენერგოზედამხედველობა, ენერგოეფექტურობა.“
- 3 ჯგუფი – „ტარიფები, ვალები, ენერგოსექტორის ფინანსური ანალიზი.“
- 4 ჯგუფი – „კორუფცია.“
- 5 ჯგუფი – „რეფორმები, რესტრუქტურისაცია, პრივატიზაცია.“

მუშა ჯგუფებში შევიდნენ აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ენერგოსექტორის რეაბილიტაციის სტრატეგია“ საქართველო – აშშ-ს ერთობლივი პროგრამიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 6 მაისის №184 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამის შემუშავებელი სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია. საქართველოს პრეზიდენტის ამავე ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა და მისი დებულება.

ზემოაღნიშნული კომისია მიზნად ისახავს და უფლებამოსილია შეიმუშაოს ენერგოსექტორის მართვის გაუმჯობესებისა და ენერგოდაზოგვის მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი გეგმები, რომელიც გაითვალისწინებს მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის ადეკვატურ ენერგომომარაგებას. დასახული მიზნის მისაღწევად კომისიის ამოცანებია:

- ა. ენერგოსექტორის რეაბილიტაციისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- ბ. რესურსების დაგეგმვა;
- გ. ენერგეტიკული უსაფრთხოების, ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის პროგრამის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- დ. ენერგოსექტორის ფინანსური ანალიზი;
- ე. ენერგოსექტორში კორუფციისათვის ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება;
- ვ. ენერგოსექტორში მიმდინარე რეფორმების, რესტრუქტურისაციისა და პრივატიზაციის პროცესების ანალიზი, მათი დაჩქარებისა და წარმატებულად განხორციელების მიზნით დასკვნებისა და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება;

ზ. ენერგეტიკის სფეროს განკუთვნილი ყველა სხვა საკითხის შესახებ წინადადებებისა და დასკვნების მომზადება, რომლებიც გათვალისწინებულია კომისიის წინაშე დასმული ძირითადი მიზნების მიღწევისათვის.

საანგარიშო წელს საქართველო-აშშ-ს ერთობლივი პროგრამის განხორციელებით მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული. კერძოდ, შემუშავდა ელექტროენერგეტიკული ბალანსი და ენერგოეფექტურობის ამაღლების ღონისძიებები; ჩატარდა დარგის ფინანსური ანალიზი, დაზუსტდა ენერგოსექტორის ვალები, დაისახა მოქმედების პროგრამა კორუფციის შემცირებისა და ეკონომიკური რეფორმის უკეთ განხორციელებისათვის. უველა დასახელებულ სამუშაოში აქტიურად მონაწილეობდა სემეკი. უნდა აღინიშნოს საქართველოსადმი აშშ-ის დახმარების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებასზეც. ცნობილია, რომ უკვე მეოთხე წელია აშშ მთავრობა, კერძოდ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) საქართველოში ახორციელებს ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამას. იგი ემსახურება საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებსა და სოციალური მნიშვნელობის მქონე დაწესებულებებს. პროგრამა მიზნად ისახავს ზამთრის პერიოდში (2001 წლის დეკემბრიდან 2002 წლის მარტის ჩათვლით) თითოეულ ოჯახზე და დაწესებულებაზე დადგენილი ლიმიტის ფარგლებში მოხმარებული საფასურის ანაზღაურებას.

თბილისში ასეთ კატეგორიაში გადის დაახლოებით 107248 ბენეფიციარი და თითოეული ყოველთვიურად მიიღებს 200 კვტსთ ელექტროენერჯის ღირებულების ოდენობის დახმარებას, ხოლო რეგიონებში 71481 სოციალურად დაუცველი თითოეული ოჯახისათვის განსაზღვრულია 150 კვტსთ თვეში. გარდა ამისა, პროგრამა მოიცავს დაახლოებით 300 სოციალური მნიშვნელობის დაწესებულების (საავადმყოფოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამშობიაროები, უღედმამო ბავშვთა სახლები და მოხუცებულთა თავშესაფარები) დახმარებას. ამ მიზნით ნავარაუდებია დაიხარჯოს 9.1 მლნ აშშ დოლარი. პროგრამაში მონაწილეობს აგრეთვე საერთაშორისო სანავთობო კომპანია BP, რომელმაც დამატებით გამოყო 1 მლნ აშშ დოლარი. მთლიანი დაფინანსება შეადგენს 10.1 მლნ აშშ დოლარს და მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლებში გამოყოფილ თანხას.

ბ. ტ ა რ ი ფების და დ გენა და რეგ უ ლი რება

საანგარიშო წელს გრძელდებოდა მუშაობა სატარიფო სისტემის შემდგომი მოწესრიგების მიმართულებით. ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა სს „ეი-ი-ეს თელასის“ განაწილების ზღვრის დარეგულირების საკითხებზე, რომლებიც ხანგრძლივი დისკუსიებისა და მწვავე მსჯელობის საგნად იქცა. ეს პროცესი რვა თვემდე გაგრძელდა. მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ როგორც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები. იგი რამდენჯერმე იქნა განხილული კომისიის საჯარო სხდომებზე და ერთობლივი

ძალისხმევის შედეგებმა საბოლოო ასახვა ჰპოვა სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილებაში.

სს „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ სემეკში 2001 წლის 1 მარტს წარმოდგენილი სატარიფო განაცხადით კომპანია ითხოვდა მისი კუთვნილი მომსახურების ტარიფის ზრდას 3,9 თეთრი/კვტსთ-დან 17,15 თეთრი/კვტსთ-მდე დღგ-ის ჩათვლით, ანუ 13,25 თეთრით კილოვატსაათზე. ეს კი ნიშნავდა სამომხმარებლო ტარიფის ზრდას 23 თეთრამდე კილოვატსაათზე, რაც ქვეყნის მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე ყოველად მიუღებელი იყო.

სს „ეი-ი-ეს თელასის“ მოთხოვნა ელექტროენერჯის განაწილების ტარიფის ზრდასთან დაკავშირებით ძირითადად ეყრდნობოდა კომპანიის მიერ 1999-2000 წლებში განხორციელებული ინვესტიციების დაბრუნების აუცილებლობასა და საქართველოს საგადასახადო კოდექსში დღგ-ის დაბეგვრის რეჟიმთან შეტანილი ცვლილებებით გამოწვეულ გაზრდილ დანახარჯებს. სს „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ 1999-2000 წწ. განხორციელებული ჭარბი ინვესტიციები შეადგენს 238 274 710 ლარს, მათ შორის 1999 წელს 45 552 448 ლარი და 2000 წელს – 192 722 262 ლარი. მათი სისწორე დადასტურებულია მსოფლიოს ხუთეულში შემავალი უმსხვილესი აუდიტორული კომპანია „დელიოიტ ენდ ტუმი“-ის მიერ.

ჭარბი ინვესტიციების ამგვარი ოდნობა უმთავრესად გამოწვეული იყო ქ. თბილისის ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის უკიდურესად მძიმე მდგომარეობითა და მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის სრული მოუწესრიგებლობით. სს „ეი-ი-ეს თელასმა“ შეძლო უკიდურესად მძიმე პირობებში და შედარებით ხანმოკლე ვადაში მნიშვნელოვნად მოეწესრიგებინა როგორც ქსელის ტექნიკური მდგომარეობა, ისე მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვა და საფასურის ამოღება. კომპანიის მიერ ჩატარებული გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის შედეგად მკვეთრად დაიკლო ავარიების რიცხვმა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ფაქტიურად, სს „ეი-ი-ეს თელასი“ შესყიდული ელექტროენერჯის საფასურის ერთადერთი მსხვილი გადამხდელია, რომლის გადახდის მაჩვენებელი თითქმის 100%-ს აღწევს.

სემეკში 2001 წლის 1 მარტს სს „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ წარდგენილი განაცხადის შემდეგ ჩატარებულ იქნა მნიშვნელოვანი სამუშაოები. კერძოდ: სემეკის მიერ შემოწმებულ იქნა სს „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციების ხარჯვის მიზანშეწონილობა, კომპანიის წარმომადგენლებთან გამართულ იქნა უმძიმესი მოლაპარაკებები, განხილულ იქნა სს „ეი-ი-ეს თელასის“ ელექტროენერჯის განაწილების ტარიფის შემადგენელი თითოეული კომპონენტი. მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ქ. თბილისში „ეი-ი-ეს თელასის“ პირვანდელი მოთხოვნა ტარიფის ზრდის შესახებ 13.25 თეთრი/კვტსთ-ის ნაცვლად შემცირდა 3.648 თეთრი/კვტსთ-მდე (დღგ-ის ჩათვლით). ამავდროულად კომპანიას დაევალა ყველა ღონე ეხმარა 2001-2002 წწ. ზამთრის სეზონზე თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგებისთვის.

პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა ელექტროენერგეტიკულ სექტორში შემაჯავლი ცალკეული ლიცენზიატების მომსახურებისა და ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ტარიფების გადაანგარიშებაზე. კერძოდ, გამოთვლილ იქნა ფაქტიური ტარიფების სიდიდე, რომელიც განსხვავებული აღმოჩნდა დადგენილზე, 1999-2001 წლებში საქართველოს საპროგნოზო ელექტრობალანსების შეუსრულებლობის, ამასთანავე ამ ელექტრობალანსებით გათვალისწინებული, ჰიდროელექტროსადგურებზე და თბოელექტროსადგურებზე გამომუშავებული, ელექტროენერჯის რაოდენობების პროპორციების დარღვევის გამო (რაც ძირითადად გამოწვეული იყო გამანაწილებელი კომპანიებისა და ცალკეული მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის არასრული გადახდით), რის შედეგადაც თბოელექტროსადგურებმა ვერ განახორციელეს, საპროგნოზო ელექტრობალანსით გათვალისწინებული, ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად საჭირო ბუნებრივი გაზის შესყიდვა, ამასთანავე, იგივე მიზეზის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა საპროგნოზო ელექტრობალანსით გათვალისწინებული ელექტროენერჯის იმპორტის განხორციელება. საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ტრანსფერტულ ანგარიშზე წარმოიშვა დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებების დადებითი ნაშთი. არსებული მონაცემებისა და 2001-2002 წწ. ქვეყნის ელექტრობალანსის შესაბამისად, სემეკის ზემოაღნიშნული დადგენილებით შემცირებულ იქნა ელექტროენერჯის წარმოების საშუალო შეწონილი ტარიფი, რომლის კორექტირებაც უნდა განხორციელდეს სემეკის 2001 წლის 10 სექტემბრის № 11 დადგენილებით დამტკიცებული „საბაზრო წესების“ მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრმა უნდა უზრუნველყოს ელექტროენერჯის ფაქტიური საშუალო გასაყიდი ფასის გათვლა და დადგენილ საშუალო გასაყიდ ფასს შორის განსხვავების შემთხვევაში, დამტკიცებული საპროგნოზო ელექტრობალანსის მოქმედების ვადის გასვლისთანავე, სემეკში უნდა შემოიტანოს წინადადება შესაბამისი ტარიფების კორექტირებისათვის.

ამასთანავე, აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული, რომ სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილებებით დამტკიცებული, ელექტროენერგეტიკული სექტორის ტარიფები ეყრდნობა როგორც საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულ ზოგად მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ პრინციპებს, ასევე იმ თავისებურებებს, რომლებიც დამახასიათებელია ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების დღევანდელი ეტაპისთვის. უწინარეს ყოვლისა, იგი დაკავშირებულია ქვეყანაში მძიმე სოციალური გარემოს ფონზე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების კომპანიებთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაღრმავების და ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობასთან. აქედან გამომდინარე, მართალია, უმეტეს ლიცენზიატთა ტარიფები გამოთვლილია საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად დამუშავებული და სემეკის მიერ უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში პრაქტიკულად აპრობირებული, მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობასთან შესატყვისი მეთოდიკის შესაბამისად, მაგრამ რიგ შემთხვევებში ისინი გამომდინარეობენ აღნიშნული

ვალდებულებების პირობიდან. კერძოდ, სს „ეი-ი-ეს თელასის“, „თბილსრესის“ მე-9 და მე-10 ენერგობლოკების პრივატიზების, „ხრამჭესი-1“ და „ხრამჭესი-2“-ის გრძელვადიან მართვაში გადაცემის, „ენგურჭესის“ რეაბილიტაციის, „ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის“ მხარდაჭერი პროექტებისა და სხვა ხელშეკრულებებიდან. არსებითია ასევე ტარიფებში მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერჯის დავალიანების ნაწილის დაფარვის აუცილებლობაც.

საქართველოს 2001-2002 წწ. საპროგნოზო ელექტრობალანსში გათვალისწინებული არ არის ელექტროენერჯის მიღება მეზობელი ქვეყნებიდან. შიგა მოხმარებისათვის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გათვალისწინებულია სისტემათაშორისო კავშირების (ელექტროგადამცემი ხაზების) მზადყოფნა და საჭიროების შემთხვევაში იმპორტის განხორციელება. სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილების მიხედვით ტარიფი გამოითვლება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 6 მაისის №184 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამის შემუშავებული სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია. ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატებიდან და ელექტროენერჯის ცალკეული მომხმარებლებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, უწყებათაშორისი კომისიის მიერ შემუშავებული იქნა საქართველოს ელექტროენერჯის საპროგნოზო ელექტრობალანსი, რომლითაც გათვალისწინებულია მომხმარებლების ელექტრომომარაგება მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის მაჩვენებლის შესაბამისად.

როგორც ცნობილია, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს არაკონკურენტულ ბაზარს ტარიფების სისტემის მეშვეობით. ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება მხოლოდ ელექტრობაზარზე. კანონის აღნიშნული მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1999 წლის 19 აგვისტოს №187 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით ელექტრობაზარში მონაწილე სუბიექტების მიწოდებული ელექტროენერჯისათვის, აგრეთვე გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ანგარიშსწორებისათვის ელექტრობაზარი საბანკო დაწესებულებაში ხსნის სპეციალურ ტრანსფერტულ ანგარიშს, რომელზეც ჩაირიცხება თანხები ელექტროენერჯის მყიდველების მიერ და ამ ანგარიშიდან თანხები გადაერიცხება ელექტროენერჯის გამყიდველებს და გაყიდვის ციკლის მონაწილეებს – გადაცემასა და დისპეტჩერიზაციას.

აღნიშნულ მოთხოვნებს ითვალისწინებს სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილებაც. საილუსტრაციოდ, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერჯის რომელიმე მყიდველი ჰიდროელექტროსადგურთან გააფორმებს პირდაპირ ხელშეკრულებას

(ასეთი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების მონაწილე პესისათვის დადგენილი ტარიფით). სხვაობა პესის ტარიფსა და საშუალო შეწონილ ტარიფს შორის უნდა ჩაირიცხოს საბითუმო ბაზრის ტრანსფერტულ ანგარიშზე. აღნიშნულის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ არაკონკურენტული ბაზრის პირობებში დაბალანსებული იქნეს თბო და ჰიდროესადგურებზე წარმოებული ელექტროენერჯის ჯამური მაჩვენებლები.

ამრიგად, გატარებულმა ღონისძიებებმა შესაძლებელი გახადა ელექტროენერჯის გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისა, მათ შორის „ეი-ი-ეს თელასის“ და პირდაპირი მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფის შემცირება 8-15%-ის ფარგლებში. აღნიშნულმა შესაბამისად გამოიწვია საქართველოს რეგიონებში (ქ. თბილისის გარდა) ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფის შემცირება 0.4 თეთრით კილოვატსაათზე, ხოლო ქ. თბილისში იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა თვით „ეი-ი-ეს თელასის“ ელექტროენერჯის განაწილების ტარიფი, სამომხმარებლო ტარიფმა შეადგინა 12,4 თეთრი/კვტსთ. დანართში მოცემულია 2000-2001 წწ. მოქმედი სამომხმარებლო ტარიფისა და მისი შემადგენელი კომპონენტების შედარების კრებსითი ცხრილი, რომელიც ნათლად ასახავს აღნიშნული ტარიფების ცვლილებებს.

გ. ლი ცენზირება

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-10 თავის 24-ე მუხლის „1“ პუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია გასცეს ლიცენზიები ელექტროენერჯის წარმოებაზე, გადაცემაზე, დისპეტჩერიზაციაზე, განაწილებაზე, იმპორტსა და ექსპორტზე, კომისიის მიერ დამტკიცებული წესების, პროცედურებისა და ნორმატიული აქტების თანახმად და გააკონტროლოს თითოეული ლიცენზიატის მიერ ლიცენზიის პირობების დაცვა.

კომისია გასცემს ლიცენზიას მხოლოდ იმ ინდივიდუალურ მეწარმეზე ან იურიდიულ პირზე, რომელსაც აქვს ელექტროენერჯეტიკის სექტორში საქმიანობის კომპეტენცია და აკმაყოფილებს ამ კანონით და ლიცენზიით გათვალისწინებულ პირობებს.

ლიცენზიაში აღნიშნულია სალიცენზიო განაცხადში მითითებული მომსახურების სახე, მომსახურების საშუალებების ადგილმდებარეობა და ტერიტორია, რომელზეც გავრცელდება ლიცენზიის მოქმედება, ლიცენზიის მოქმედების ვადა, მოთხოვნა რეგულირების საფასურის დროულად გადახდაზე, ლიცენზიის მოდიფიცირების, შეჩერებისა და გაუქმების პირობები.

სემეკის მიერ 2001 წელს ელექტროენერჯეტიკულ სექტორში გაცემული იქნა 39 ლიცენზია; აქედან წარმოების 13, განაწილების 16, იმპორტის 8, ექსპორტის 1 და გადაცემის 1 ლიცენზია (იხ. დანართი).

წარმოების ლიცენზია გაიცა შპს „აბჰესზე“, შპს „რიცეულაჰესზე“, სს „ლაჯანურჰესზე“, შპს „ჟინერზე“, სს „თბოენერგოცენტრალზე“, შპს „აწჰესზე“, შპს

„ზაქესზე“, შპს „გუმათქესების კასკადზე“, შპს „რიონზე“ (ზვარეთი ჰესი), ინდ. საწ. „გივი გიუნაშვილზე“, სს „ეი-ი-ეს მტკვარზე“, შპს „საქართველოს რკინიგზაზე“ (ჩითახევქესი) და სს „თბილსრესზე“.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 5 ივნისის №561, 2000 წლის 29 ივნისის №833, 2000 წლის 28 ოქტომბრის №1162 განკარგულებების საფუძველზე გაერთიანდა წვრილი რაიონული ენერგოკომპანიები სამხარეო ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და ჩამოყალიბდა: სს „მცხეთა-მთიანეთის ენერგოკომპანია“, სს „შიდა ქართლის ენერგოკომპანია“, სს „სამცხე-ჯავახეთის ენერგოკომპანია“, სს „ქვემო ქართლის ენერგოკომპანია“, სს „სამეგრელო-ზემო სვანეთის გაერთიანებული ენერგოკომპანია“, სს „იმერეთის ენერგოკომპანია“, სს „გურიის ენერგოკომპანია“ და სს „რაჭის ენერგოკომპანია“. ზემოაღნიშნულმა კომპანიებმა სემეკში შემოიტანეს ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის მისაღებად განაცხადი, შესაბამისი დოკუმენტაციით. იურიდიული და ეკონომიკური დეპარტამენტების დასკვნებისა და ელექტროენერჯიკული დეპარტამენტის მოკვლევის საფუძველზე მათზე გაიცა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიები.

ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიები გაიცა იმ წვრილ კომპანიებზე, რომლებსაც აქვთ კერძო გამანაწილებელი ქსელი. ესენია: შპს „პატარა კახი“ (გარდაბანი), შპს „ირაკლი 2000“ (ქუთაისი), სს „გამა“ (თელავი), შპს „შუმი“ (გორი), შპს „ენერჯია“ (წყალტუბო), შპს „ენერჯია 98“ (სამტრედია), შპს „ნაკადული 90“ (ზესტაფონი), იმ პირობით, რომ ხელი შეუწყონ ელექტროენერჯეტიკის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას.

ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია გაიცა აგრეთვე ფოთის პორტზე და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის მეტროპოლიტენზე“. შპს „თბილისის მეტროპოლიტენმა“ სალიცენზიო საქმიანობა უნდა აწარმოოს მისი გარე მომხმარებლების სს „ეი-ი-ეს თელასის“ აბონენტებად გადაცემამდე;

შპს „თბილწყალკანალიდან“ სემეკში შემოვიდა განაცხადი, ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიის მიღების თაობაზე. ეს საკითხი განხილული იქნა სემეკის 2001 წლის 9 ნოემბრის სხდომაზე.

საქართველოს პრეზიდენტის 10.01.01წ. №19 განკარგულების „თბილისისა და მისი შემოგარენის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ხარჯების ოპტიმიზაციის ღონისძიებათა შესახებ“, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 25.05.01წ. №1-3/363 ბრძანების, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 11.06.01წ. დადგენილების, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქ. თბილისის სამმართველოს 12.06.01წ. №2-20/2052, შპს „თბილწყალკანალის“ 28.0501წ. №1-19/468, ქ. თბილისის პრემიერის 04.07.01წ. №4-14/341 წერილის და სამრეწველო საწარმოთა პრივატიზებისა და რესტრუქტურის დეპარტამენტის 04.07.01წ. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე შპს „თბილწყალკანალს“ გადაეცა არაგვის ხეობის სათავე ნაგებობების მკვებავი ელმეურნეობის ნატახტარ-საგურამოს კვანძი – ქვესადგურები „ნატახტარი-110/6“ და „საგურამო-110/6“, აგრეთვე მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები – „არმაზი-ი“, „არმაზი-რი“, „არმაზი-რი“, „არმაზი-რდ“ და

„ნატასტარი“. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სემეკის მიერ შპს „თბილწყალკანალზე“ გაიცა ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია ვადით 2001 წლის 9 ნოემბრიდან 2002 წლის 1 ნოემბრამდე.

სს „სამცხე-ჯავახეთის ენერგოკომპანიაზე“ 2001 წელს სემეკის მიერ გაიცა ელექტროენერგიის იმპორტის 2 ლიცენზია, ვადით – 2001 წლის 27 იანვრიდან 2001 წლის 1 მაისამდე და 2001 წლის 1 ნოემბრიდან 2002 წლის 1 აპრილამდე. ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელება მოხდა „სომხეთენერგოს“ მიერ აშენებული 110კვ ევხ „აშოცკით“, ნინოწმინდის 110კვ ქვესადურამდე.

2001 წლის 8 თებერვალს აჭარის ენერგოკომპანიაზე გაიცა ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზია. ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან, ქვესადგურ „ცენტრალნაიადან“ 500კვ ევხ „კავკასიონით“ ბათუმის 220კვ ქვესადგურამდე, 2001 წლის 10 თებერვლიდან 2002 წლის 1 იანვრამდე.

სემეკის მიერ 2001 წელს სს „ქვემო ქართლის ენერგოკომპანიაზე“ გაცემული იქნა ელექტროენერგიის იმპორტის 3 ლიცენზია; აქედან, ორი იმპორტი განხორციელდა „სომხეთენერგოს“ მიერ 110კვ ევხ „ლალვარით“ საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე და საზღვრიდან სს „ელექტროგადაცემის“ ბალანსზე მყოფი 110კვ ევხ-ით 110კვ ქვესადგურ „სადახლო წევამდე“, ვადით – 2001 წლის 14 თებერვლიდან 2001 წლის 1 მაისამდე და 2001 წლის 9 ნოემბრიდან 2002 წლის 1 მაისამდე, ერთი კი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქვესადგურ „ხრამ-ჩაიდან“ გამოძავალი 10კვ ელექტროგადაცემი ხაზებით („კაჩაგანი“ და „კირაჩ-მულანლო“), მარნეულის რაიონის ხუთი სოფლის (კაჩაგანი, კირაჩ-მულანლო, ტაკალო, ხანჯიგაზლო და აღმამედლო) ელექტრომომარაგების მიზნით, 2001 წლის 29 ივნისიდან 2002 წლის 29 ივნისამდე ვადით;

სემეკის მიერ 2001 წლის 19 დეკემბერს შპს „ეი-ი-ეს ტრანსენერგეტიკაზე“ გაიცა ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზია, ვადით 2001 წლის 19 დეკემბრიდან 2002 წლის 31 ოქტომბრამდე და ელექტროენერგიის ექსპორტის ლიცენზია, 2001 წლის 19 დეკემბრიდან 2002 წლის 31 დეკემბრამდე.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე განხილულ იქნა შპს „საქართველოს რკინიგზისთვის“ ელექტროენერგიის განაწილების შუალედური ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხი. იურიდიული დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად კომისიამ გადაწყვიტა შპს „საქართველოს რკინიგზაზე“ ადრე გაცემული ელექტროენერგიის განაწილების შუალედური ლიცენზიის გაუქმება (ლიცენზია №3/82).

შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიეცა ათი დღის ვადა, სემეკში ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის განაცხადის წარმოსადგენად.

2001 წლის 29 მარტის წერილით შპს „ტირიფონიჭესის“ ხელმძღვანელმა სემეკში გააკეთა განცხადება ჰესის ფუნქციონირების შეჩერების შესახებ,

„ტირიფონიკსის“ პარტნიორებს შორის წამოჭრილი მოგვარებადღე.

სადაო საკითხების

საკითხის შესწავლით გამოირკვა, რომ გორის რაიონის სასამართლოში განიხილება სამოქალაქო საქმე „ტირიფონიკსის“ მემკვიდრეობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, ამასთან, შპს „ტირიფონიკსის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი აწარმოებდა და თვითნებურად, ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის გვერდის ავლით ყიდდა ელექტროენერჯიას. შესაბამისად, არც დადგენილი წესით ანგარიშსწორებას ახდენდა ელექტროენერჯის საბითუმო ბაზართან.

პარალელურად, სემეკს განაცხადით მიმართა ინდივიდუალურმა მეწარმე „გივი გიუნაშვილმა“ წარმოების ლიცენზიის მისაღებად, რომლის საწარმო საშუალებებში ფიქსირდება „ტირიფონიკსი“.

კომისიის სხდომაზე მოწვეული იქნა ყველა დაინტერესებული პირი და მოსმენილი იქნა მხარეთა პოზიციები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 31-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, კომისიამ გადაწყვიტა შპს „ტირიფონიკსზე“ ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების ლიცენზიების დროებითი შეჩერება. საკითხის განხილვა გაგრძელდება ქონების მფლობელის დადგენის შესახებ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

დ. ლი ცენზიის პირობების შესრულების შემოწმება

ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების დაცვისა და შესრულების კონტროლის მიზნით, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, სემეკმა მიიღო გადაწყვეტილება: (№12 2001წ. 23 თებერვალი) „ელექტროენერჯეტიკულ სექტორში წარმოების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიების, მათ შორის შუალედური ლიცენზიების, პირობების დაცვის შემოწმების შესახებ“. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა სამი მუშა ჯგუფი სემეკის ელექტროენერჯეტიკული დეპარტამენტის სპეციალისტთა ხელმძღვანელობით, რომლებშიც მოწვეულ იქნენ კვალიფიციური სპეციალისტები საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „ენერგოენერჯიკიდან“ და საპროექტო ინსტიტუტ „ჰიდროპროექტიდან“. შემუშავდა შემოწმების პროგრამა და შემოწმების გეგმა-გრაფიკი, რომელშიც შეტანილი იქნა დიდი და მცირე, სახელმწიფო და პრივატიზებული თბო და ჰიდროელექტროსადგურები. სულ შემოწმებული იქნა 40-ზე მეტი ობიექტი.

ცალკეული ობიექტის შემოწმების შედეგები გაფორმდა ორმხრივი აქტების სახით. მუშა ჯგუფმა აღნიშნული აქტების საფუძველზე შეადგინა შესასრულებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და მათი შესრულების გეგმა-გრაფიკები, რომლებიც მიწერილობების სახით დაეგზავნათ შესაბამის ობიექტებს შესასრულებლად; მათ

შესრულებაზე ყოველთვიურად სემეკს მოეწოდება ინფორმაცია. შესაბამისად, სემეკის მხრიდან ხორციელდება აღნიშნული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების კონტროლი.

შემოწმების შედეგების ძირითადი მონაცემების ასეთია:

1. ობიექტების ტექნიკური მონაცემები

შემოწმებული ელექტროსადგურების საერთო რაოდენობიდან 2-თბოელექტროსადგურია, ყველა დანარჩენი სხვადასხვა ტიპის (დერივაციული, კაშხალიანი, შერეული) ჰიდროელექტროსადგური.

2. პერსონალი

პერსონალთან მუშაობა ელექტროსადგურებში ძირითადად წარმოებს „პერსონალთან მუშაობის ორგანიზაციის წესების“ და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების მოთხოვნების მიხედვით, თუმცა, ბევრ ჰესში აღინიშნება დასახელებულ ნორმატიულ დოკუმენტების მოთხოვნებიდან სერიოზული გადახვევები.

არ არის შედგენილი და დადგენილი წესით დამტკიცებული პერსონალთან მუშაობის, როგორც პერსპექტიული, ასევე თვითური გეგმები. არის შემთხვევები, როცა ვადების დარღვევით ხდება მომსახურე პერსონალის ატესტაცია. ავარიის საწინააღმდეგო და ხანძარსაწინააღმდეგო ვარჯიშები ტარდება „პერსონალთან მუშაობის ორგანიზაციის წესების“ მოთხოვნათა დარღვევებით (ვარდნილჰესი, ხრამჰესი-რ-რ, სიონჰესი, მარტყოფიჰესი, საცხენისიჰესი), ასევე, დარღვეულია ინსტრუქტაჟების ჩატარების პერიოდულობა, სუსტია ცვლების მიღება-ჩაბარების კონტროლი. ოპერატიულ ჟურნალებში არ არის მათი შემოწმების შესაბამისი აღნიშვნები (ჩითახევჰესი, საცხენისიჰესი, თეთრიხევიჰესი, სიონჰესი, ხრამჰესი-რ-რ).

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოების ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ელექტროსადგურების მუშაობის ნორმალური რეჟიმის სქემის არარსებობა, რაც თავის მხრივ არ იძლევა სარემონტო და ავარიული რეჟიმების სქემების შედგენის შესაძლებლობას. არადაამაკმაყოფილებელია ტექნიკური პასპორტების შედგენა-განახლების წესების დაცვით წარმოება.

სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების და საიმედოობის უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს რიგ ელექტროსადგურებში (ჩითახევჰესი, ჟინვალჰესი, თეთრიხევიჰესი, ხრამჰესი-რ-რ). ოპერატიული გადართვების ინსტრუქციების არარსებობა და ოპერატიული პერსონალის მიერ მათი არცოდნა. ამავე ელექტროსადგურებში არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სამუშაო ადგილების ყველა საჭირო თანამდებობრივი და საწარმოო ინსტრუქციების, ოპერატიული და სხვა ტექნიკური დოკუმენტაციით უზრუნველყოფის საკითხებში.

არ არსებობს საჭირო დოკუმენტაციების და ინსტრუქციების დადგენილი წესით დამტკიცებული ჩამონათვალი.

სწორედ პერსონალთან მუშაობის წესების მოთხოვნათა შესრულების უგულებელყოფის შედეგია ის, რომ 2002 წლის 3 თებერვალს ხრამჰეს-რ-რ-ის მორიგე ინჟინერმა შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის ცენტრალურ სადისპეტჩეროს

გადასცა არასწორი ინფორმაცია ელექტროგადამცემ ხაზ „ალგეთას“ შესახებ, რომ აღნიშნულ ხაზზე სამუშაოები იყო დამთავრებული, დამიწება ხრამქეს-ი-ში მოხსნილი და შეიძლებოდა მისი ძაბვის ქვეშ დაყენება. როდესაც 220 კვ ეგზ „ალგეთა“ მოსინჯული იქნა 220 კვ ქს „ნავთლულში“ ჩასართავად, ის ხაზზე არსებული დამიწების გამო გამოირთო ავარიულად ძლიერი ბიძგით, რასაც ენერგოსისტემაში მოჰყვა რყევები და 110 კვ-იან ეგზ-ების ავარიული გამორთვები. ხრამქეს-ი-ის ოპერატიული პერსონალის ასეთ უპასუხისმგებლო მოქმედებას ადვილად შეიძლებოდა მოჰყოლოდა უბედური შემთხვევა.

საერთოდ ხრამქეს-ი-ის პერსონალის მხრიდან სისტემატიურად შეინიშნება ოპერატიული დისციპლინის უხეშად დარღვევის შემთხვევები, რაზედაც სემეკმა რამდენიმეჯერ მიუთითა ჰესის ხელმძღვანელობას.

ხრამქესი-1 და ხრამქესი-2 ელექტროსადგურებში ოპერატიული ჟურნალი დაუნომრავი, ზონარგაუყრელი, ბეჭედდაუსმელი და ხელმოუწერილია. ჟურნალში შეტანილი ჩანაწერების შემოწმება არ ხდება ხელმძღვანელი ოპერატიული პერსონალის მიერ. ანალოგიურად გამოიყურება სარელეო დაცვის, განკარგულებებისა და ტელეფონოგრაფების ჟურნალებიც.

4. ნაგებობები.

შემოწმებული ელექტროსადგურების ნაგებობებისა და საწარმოო შენობების მდგომარეობა საერთო შეფასებით არაა დამაკმაყოფილებელია. ელექტროსადგურების საექსპლოატაციო პერსონალის მხრიდან ნაგებობების და შენობების მდგომარეობაზე ზედამხედველობა არასათანადო დონეზეა ორგანიზებული, საწარმოო შენობები და ნაგებობები ექსპლოატაციის პროცესში არ იმყოფებიან ტექნიკური მუშაკების სისტემატური დაკვირვებების ქვეშ, არ იწარმოება ნაგებობების და შენობების საექსპლოატაციო დოკუმენტაცია სრული მოცულობით, არ არსებობს შენობებზე და ნაგებობებზე დაკვირვებების ინსტრუქციები, ტექნიკური პასპორტები, შენობებისა და ნაგებობების ტექნიკური ჟურნალები. არ არის პერიოდული დათვალიერების აქტები, შენობებისა და ნაგებობების ტექნიკური დათვალიერების ჩატარების წლიური გეგმა-გრაფიკები, რაც მეტად მნიშვნელოვანია შენობა-ნაგებობების საძირკვლების ჯდომის და ძვრებზე დაკვირვებების სისტემისათვის, დინამიური დატვირთვების ქვეშ მყოფი კონსტრუქციების და უბნების ტემპერატურული ღრეჩობის და საერთო მდგომარეობის შესახებ დასკვნების ჩამოყალიბებისათვის.

შედეგად ბევრ ობიექტზე ადგილი აქვს სახურავიდან წყლის ჟონვას, შეკეთებას საჭიროებენ ძალოვანი ტრანსფორმატორების საძირკვლები, წყალგამტარი და წყალსაშვი არხები, სააკუმლატორო ბატარეის, ზეთის მეურნეობების, გამანაწილებელი მოწყობილობების სათავსოები და შენობები (ჩითახევიჰესი, ვარდნილჰესი-1, და სხვ.).

თითქმის ყველა ელექტროსადგურში დარღვეულია ტეწ-ის მოთხოვნები, რომ ყოველწლიურად, გაზაფხულის წყალდიდობის დაწყებამდე უნდა დაინიშნოს სპეციალური კომისია, რომელიც მოახდენს ჰესის ნაგებობებისა და მოწყობილობების დათვალიერებას და შეამოწმებს ჰესის მზადყოფნას ექსპლოატაციისათვის.

5. ელექტროსადგურების ძირითადი მოწყობილობის ექსპლოატაციის მდგომარეობა. ჰიდროტურბინები.

თითქმის ყველა ჰიდროელექტროსადგურში ჰიდროტურბინების მუშა თვლის ფრთები დაფიქსირებულია (გუმათი-1-ში 1,2,3, ტურბინის თვლები) ამდენად, ჰიდროტურბინების ოპტიმალური რეგულირება არ ხერხდება, ჰიდროტურბინები ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია, საჭიროა მათი სრული მოცულობით რეკონსტრუქცია. მიმდართველი აპარატები და ამძრავი სერვოდრავები მუშა მდგომარეობაშია, მაგრამ ისინიც მოძველებულია და ხშირად გამოდიან მწყობრიდან. შეხეთვის სისტემის მოწყობილობები ხშირად ზიანდება, ადგილი აქვს ზეთის გაჟონვებს. რეგულირების ვიბრაციული და თბური კონტროლის მოწყობილობათა მდგომარეობა ზოგიერთ სადგურებში არაადამაკმაყოფილებელია. სარემონტოა ზეთის ტუმბოების ელექტროამძრავები.

ტყიბულჰესში: ამჟამად ტყიბულჰესის ჰიდროტურბინებთან დაკავშირებით შესასრულებელია შემდეგი სამუშაოები: 1 აგრეგატზე – სპეციალისტების მომზადება, ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოება, გენერატორის გაციების სისტემაში წყლის ტუმბოს შემწოვი მილის შეცვლა და უკუსარქვლის დაყენება, მიმდართველი აპარატის სათადარიგო დამცავი ღეროებით მომარაგება, მ.ქ.კ.-ს განსაზღვრა, მრიცხველის შემოწმება და საქსტანდარტის რეესტრში გატარება, აგრეგატის მუშაობის გარანტიის გარკვევა, მიღება-ჩაბარება; 2, 3 და 4 ჰიდროტურბინებს ესაჭიროება რეკონსტრუქცია-მოღერნიზაცია, რომელიც საორიენტაციოდ ეღირება 12 მლნ ლარი.

თითქმის ყველა აგრეგატის სიჩქარის რეგულატორი გაუმართავ მდგომარეობაშია, დაკარგული აქვთ რეგულირების უნარი, ისინი ასრულებენ მხოლოდ გაშვებისა და გაჩერების ფუნქციას.

ჰიდროგენერატორები.

ხშირ შემთხვევებში ჭიანურდება დაზიანებული აგრეგატების რემონტი თანხების უქონლობის გამო. (მაგალითად გუმათჰესში, გ-3, 1995 წელს ავარიის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა მისი ტურბინა და მას შემდეგ აგრეგატი გაჩერებულია. გენერატორზე არ ჩატარებულა არავითარი სამუშაოები, მათ შორის არც გაზომვები. მუშა მდგომარეობაშია გ-1, კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 2000 წელს, მაგრამ ამის შემდეგ აგრეგატს არ უმუშავია ძალოვანი ტრანსფორმატორის დაზიანების გამო. მანქანის კაპიტალური რემონტის შემდეგ არ ჩატარებულა საცდელი გაშვება არც უქმ სვლაზე, რადგან სარემონტო ქარხნიდან დღემდე მიუღებელია ზეთსაწნევი დანადგარის გარემონტებული ძრავები. გ-ნ-ს დაზიანებული აქვს ქვედა ჯვართავა და მიტანილია ქარხანაში სარემონტოდ. სამუშაო ვერ სრულდება უფინანსობის გამო.

ძალოვანი და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორები

ჰიდროელექტროსადგურების უმეტეს ნაწილში ძალოვანი და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებს არ უტარდებათ პროფილქტიკური გეგმიური გაზომვები და სარემონტო სამუშაოები, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მათ დაზიანებას სხვადასხვა

ხარისხით, მოძველებულია სარელეო დაცვისა და ავტომატიკის რელეები და მოწყობილობები, ასევე არ ტარდება მათი გეგმიური შემოწმება და რა თქმა უნდა, არ არსებობს სათანადო შემოწმების ოქმები და ჟურნალებში ჩანაწერები. ზეთის ღონეები დაბალია და მათი შემოწმების აქტები ხშირ შემთხვევებში არ არის. ძალოვანი ტრანსფორმატორები არ არიან დაკომპლექტებული ჰაერშემბერი ვენტილატორების ძრავებით. (მაგალითად: შაორიჰესში ტ-1 ტრანსფორმატორი ესპლოატაციაშია 1955 წლიდან, გაუარესებული აქვს საიზოლაციო მახასიათებლები, ჰაერის შებერვის სისტემა ძრავების დაზიანების გამო უმოქმედოა, შემყვანების ელექტრო საიზოლაციო მდგომარეობა არ კონტროლდება. ცუდ მდგომარეობაშია ძაბვის ქვეშ რეგულირების მოწყობილობები, არ გააჩნიათ ავტომატურად რეგულირებისა და ხშირ შემთხვევაში დისტანციური გადართვის საშუალებები. თერმოსიფონურ ფილტრებში შესაცვლელია სილიკოგელი.

6. საკომპრესორო მეურნეობა.

საკომპრესორო მეურნეობა ჰიდროელექტროსადგორებში მოუწესრიგებელია, ბევრი კომპრესოროს გამოსულია მწყობრიდან და მათი აღდგენა ვერ ხერხდება მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო (გუმათჰესი-1-ის საკომპრესორო მეურნეობა შედგება 2 კომპლექტი „ბკ-25“ ტიპის კომპრესორისაგან; ერთი კომპრესოროს მუშა მდგომარეობაშია, ხოლო მეორე მთლიანად გამოსულია მწყობრიდან).

7. ღია და დახურული გამანაწილებელი მოწყობილობები.

ჰიდროელექტროსადგურების ღია და დახურული გამანაწილებელი მოწყობილობები არაა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ბევრგან დაზიანებისა და ზეთის უქონლობის გამო მოქმედებიდანაა გამოყვანილი 110 კვ ზეთიანი ამომრთველები („გუმათჰეს-ი“-ში ზეთის უქონლობის გამო მუშაობიდანაა გამოყვანილი 110 კვ სექციათაშორისი ზეთიანი ამომრთველი „მკპ-110“, ტ-1-ის „მმ-110“-ს ესაჭიროება კაპიტალური შეკეთება გარდამავალი წინააღმდეგობების გაზრდის გამო. გ-3-ის ზეთიანი ამომრთველი „მგ-10“ მოხსნილია და გადატანილია გ-6-ზე. ზეთის უქონლობის გამო გამოყვანილია მუშაობიდან 35 კვ სექციათაშორისო ზ.ა. „ვმდ-35“. რიონჰესში).

„გუმათჰეს-2“-ში მწყობრიდანაა გამოსული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორის 6 კვ ზეთიანი ამომრთველი „ვმგ-133“ (ამ ტიპის ამომრთველები 36-37 წელია მოხსნილია წარმოებიდან, საჭიროა მისი შეცვლა). 110 კვ ევზ „მოწამეთა3“-ის ზეთიანი ამომრთველი გამოსულია მწყობრიდან, ხოლო 110 კვ ხაზების „მოწამეთა-1“-სა და „ჭომას“ ზეთიანი ამომრთველებს ესაჭიროებათ კაპიტალური შეკეთება. შესაცვლელია 7 კომპლექტი 110 კვ გამთიშველები, ბლოკირების მოწყობილობები გამოსულია მწყობრიდან. მცლელები მუშა მდგომარეობაშია, მაგრამ არ არიან აღჭურვილნი მუშაობის მრიცხველებით. დამიწების მოწყობილობებს ესაჭიროებათ ლაბორატორიული გაზომვები. ლითონკონსტრუქციები და მეხამრიდი ანძები გასაწმენდია ჟანგისაგან და შესაღებია.

ასეთივე მდგომარეობაა სხვა ჰესებშიც: რიონჰესში: თითქმის ყველა გამთიშველი და ზეთიანი ამომრთველი 110 კვ-ის ღია გამანაწილებელ მოწყობილობაზე მოძველებულია, როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად და შესაცვლელია. 10-6 კვ-ის დახურულ

გამანაწილებელ მოწყობილობებში ჯერ კიდევ მუშაობაშია ვმგ-133 ტიპის ზეთიანი ამომრთველები, რომლებიც დიდი ხანია ამოღებულია ექსპლოატაციიდან. რიგ ჰესებში (გუმათჰესში, ლაჯანურჰესში და სხვა) გასაახლებელია დისპეტჩერული წარწერები, შესაძლებელია გამთიშველები და ზეთიანი ამომრთველები, შესაცვლელია ზრეში ძალოვანი ტრანსფორმატორების ქვეშ, მოსაწესრიგებელია ზეთის სადრენაჟო ნაგებობები.

- ტყიბულჰესში: 110 კვ და 10 კვ ძაბვის ტრანსფორმატორები ექსპლოატაციაში ელექტროსადგურის გაშვების დღიდან, საჭიროა მათი შეცვლა, 110 კვ სალტეთაშორისო ამომრთველის უჯრედში აღარ დგას არც ამომრთველი და არც დენის ტრანსფორმატორები, საჭიროა უჯრედის დაკომპლექტება.
- 110 კვ ღია გამანაწილებელი მოწყობილობა აღჭურვილია მმო-110/1250 ზეთიანი ამომრთველებით, რომელთა ამძრავები ხშირად ზიანდება. ამჟამად 110 კვ ეგზ “თერჯოლა-2” გამორთულია თვით ხაზის დაზიანების გამო, მაგრამ ამომრთველს ამძრავი დეფექტიანი აქვს და ესაჭიროება შეკეთება. 10 კვ ამომრთველები (მგგ-229, ვმგ-10) ყველა ნორმალურ მდგომარეობაშია, მაგრამ არ გააჩნიათ სათადარიგო ნაწილები.
- გამთიშველები 110 კვ-ს მხარეს შესრულებულია შტ-35 იზოლატორებით (რლნ-110) და ყველა შესაცვლელია ფიზიკური და მორალური მოძველების გამო, შესაცვლელია აგრეთვე მათი ამძრავებიც და კინემატიკაც. 10 კვ გამთიშველები მოძველებულია, საკონტაქტო სისტემები შესუსტებული აქვთ და არ გააჩნიათ სათადარიგო ნაწილები.
- ელექტრომაგნიტური ბლოკირებები დახურულ გამანაწილებელ მოწყობილობებში მუშა მდგომარეობაშია, ღია გამანაწილებელ მოწყობილობაში გამოსულია წყობიდან, ლითონკონსტრუქციები და მეხამრიდი ანძები განიცდის კოროზიას.

1987 წელს ჩატარდა ხრამჰესი-2-ის ძალოვანი ტრანსფორმატორების კომისიური შემოწმება. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, კომისიამ დაუშვებლად ჩათვალა ტრანსფორმატორების შემდგომი ექსპლოატაცია. ტრანსფორმატორები დღემდე განაგრძობენ მუშაობას. №2 ავტოტრანსფორმატორის ორ ფაზის (A და C) შემყვანში ზეთი საჭიროებს დამატებას. ავტოტრანსფორმატორში ზეთის ქიმიური ანალიზი არ ჩატარებულა ბოლო წლის განმავლობაში. შემყვანში ზეთი საჭიროებს დამატებას. ავტოტრანსფორმატორში ზეთის ქიმიური ანალიზი არ ჩატარებული ბოლო სამი წლის განმავლობაში.

ჟინვალჰესში T-3 ტრანსფორმატორზე ზეთის მახასიათებლები არ შეესაბამება ნორმებს. გარდა ამისა, ტრანსფორმატორის კორპუსიდან ზეთი ჟონვადა. აღმოჩენილ დარღვევებზე გაკეთდა შესაბამისი მოწერილობა. 2001 წლის იმ კვარტალში T-3 ძალოვანი ტრანსფორმატორზე ჩატარდა კაპიტალური შეკეთების სამუშაოები და არსებული დარღვევები გასწორდა.

ხრამჰესი-2-ის №2 ავტოტრანსფორმატორის უჯრედში სახაზო გამთიშველები დაზიანებულია და მათი ექსპლოატაცია დაუშვებელია. ამავე ავტოტრანსფორმატორზე C-ფაზის მცვლელი გასკდა და ამჟამად ფაზა მცვლელის გარეშეა, №1

ავტოტრანსფორმატორზე A-ფაზის მცლელი გამტარზეა ჩამოკიდებული, ხოლო B-ფაზის მცლელი დაზიანებულია.

რიგ ელექტროსადგურში ტრანსფორმატორების ირგვლივ მოხრეშილი ტერიტორია გაუღენთილია ზეთით და საჭიროა მთლიანად შეცვლა ან გარეცხვა, ხანძრის გაჩენის შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით.

8. სააკუმლატორო ბატარეები.

რიგ ელექტროსადგურში ტეწ-ის მოთხოვნებიდან გადახვევებით წარმოებს სააკუმლატორო ბატარეების ექსპლოატაცია. არ არსებობს დადგენილი წესით დამტკიცებული სააკუმლატორო ბატარეების დათვალიერების გრაფიკი. ტეწ-ით მითითებული ნორმების დარღვევით იზომება სააკუმლატორო ბატარეის ელემენტების ძაბვა, ელექტროლიტის სიმკრივე და ტემპერატურა.

საკუმლატორო დანადგარის მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფილი არ არის გაზომვებისათვის საჭირო ყველა საკონტროლო ხელსაწყოთი, სპეციალური ტანსაცმლით და ინვენტარით. დარღვეულია სააკუმლატორო დანადგარების რემონტის ჩატარების ვადები. როგორც წესი, მათ კაპიტალური რემონტი უტარდებათ ექსპლოატაციაში გაშვებიდან არა უგვიანეს 15 წლის შემდეგ.

9. საკაბელო მეურნეობა.

საკაბელო არხები ბევრ ელექტროსადგურში ღიადაა დატოვილი, ფიდერები დაზიანებულია, დაზიანებულია არხების კედლებიც. არხების ფსკერები არ არის გაწმენდილი იქ მოხვედრილი ნაგვისა და ბალახისაგან. რიგ შემთხვევებში გასაახლებელია კაბელების მარკირება, საჭდეები, დაზიანებულია ხანძარგამძლე ტიხრები და გადახურვები. არ ხდება საკაბელო ხაზების დატვირთვების გაზომვები პერიოდულად.

10. უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნების დაცვა.

ელექტროსადგურების გარკვეულ ნაწილში უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნათა დაცვას არ ექცევა შესაბამისი ყურადღება. ხშირად შეკეთების სამუშაოები ტარდება სამუშაო ადგილების მომზადებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩაუტარებლად და განწესების გარეშე.

ბევრ ელექტროსადგურში ოპერატიული პერსონალის სამუშაო ადგილებზე არ არსებობს იმ პირთა სია, რომლებსაც აქვთ განწესის გაცემის უფლება, ან იყვნენ სამუშაოთა ხელმძღვანელები და დამშვებები. სიებში მითითებული არ არის უსაფრთხოების ტექნიკის წესების მათთვის მიკუთვნებული საკვალიფიკაციო ჯგუფის ნომერი.

ელექტროსადგურები მთელი მოცულობით არ არიან უზრუნველყოფილნი დამცავი საშუალებებით. კომისიის მუშაობის პერიოდში სიონჰესის ოპერატიული პერსონალი გადართვებს აწარმოებდა რეზინის დაზიანებული ხელთათმანით. კომისიის მიწერილობით მათ დროებით აეკრძალათ ოპერატიული გადართვები მანამდის, სანამ ოპერატიული ბრიგადები არ იქნებოდნენ უზრუნველყოფილი შემოწმებული დამცავი საშუალებებით, დადგენილი ნორმების მიხედვით.

საგანგაშო მდგომარეობა ელექტროსადგურებში გადასატანი დამიწების ტროსებით დაკომპლექტებაში.

2001 წლის 5 მარტიდან 5 აპრილის ჩათვლით ჩატარდა შპს „ეი-ი-ეს მტკვარის“ ენერგომოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება. შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზებისა და დარღვევების მოსაფხვრელად შემუშავებულ იქნა შესასრულებელ ღონისძიებათა ნუსხა შესაბამისი ვადების მითითებით. სემეკის 2001 წლის 12 სექტემბრის №23/5 წერილის საფუძველზე შპს „ეი-ი-ეს მტკვარის“ და სსიპ „ენერგოგენერაციის“ წარმომადგენლებს დაევალით დასახული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახული ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება, რის შედეგადაც გაირკვა, რომ დარღვევების უმეტესი ნაწილი აღმოფხვრულია, ნაწილი აღმოფხვრის სტადიაშია, ხოლო დანარჩენი დარღვევების ლიკვიდაციისათვის ელექტროსადგურის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, სამუშაოთა დამთავრების ვადების მითითებით.

შესასრულებელი 9 ღონისძიებიდან 7 ღონისძიების შესრულების ვადა გათვალისწინებული იყო 2002 წლის ბოლომდე, ორი უნდა შესრულებულიყო 2001 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მაგრამ არ შესრულდა. ესენია:

– ელექტროენერგიის არსებული მრიცხველების დამოწმება, ვადა – 2001 წლის დეკემბერი;

– პერსონალის მომზადება ენერგობლოკებზე ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლების საანგარიშოდ ფორმა 3-TEX-ის მიხედვით, ვადა – ნოემბერი 2001წ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის, რომ ენერგობლოკებზე დღემდე არ განუვითარებიათ ნომინალური სიმძლავრე – 300 მვტ. 2001-2002 წლების განვლილ პერიოდში №9 ენერგობლოკი მუშაობდა საშუალო ელექტრული სიმძლავრით 190-200 მვტ, ხოლო №10 ენერგობლოკი 2001წ. 22 დეკემბრამდე ე.ი. აფეთქებამდე იგივე 190-200 მვტ საშუალო სიმძლავრით. მიზეზი დაკავშირებულია „ეი-ი-ეს მტკვარის“ ფინანსურ სიმძნელებთან. გაცემული ელენერგიის საფასური მათ დღემდე არ მიუღიათ (მისაღები ჰქონდათ 20 მლნ ლარი).

პირობითი სათბობის (პს) ხვედრითმა ხარჯმა 2001 წლის მონაცემებით შეადგინა 364 გრ პს/კვტსთ და იგი ნორმატიულთან შედარებით 27 გრ პს/კვტსთ-ით მეტია. დღეისათვის №9 ენერგობლოკის თბოტექნიკური და ელექტრომომწყობილობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა ენერგობლოკებზე ორთქლის საწყისი და საბოლოო პარამეტრები არ შეესაბამება ნორმატიულს. №10 ენერგობლოკი 2001 წლის 22 დეკემბრის შემდეგ გაჩერებულია ავარიულად ქვაბაგრეგატის აფეთქების გამო.

აფეთქების მიზეზი ძიების პროცესშია.

№9 ენერგობლოკის ძალოვანი და დამხმარე ელექტრომომწყობილობის (გენერატორის, ალგუნების სისტემის, ძალოვანი და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორების, ამომრთველების, გამთიშველების, კომპლექტური გამანაწილებელი ელმომწყობილობების) ტექნიკურ ვარგისიანობას ადასტურებს მათზე ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევები. რაც შეეხება თბოტექნიკურ

მოწყობილობას, მათზე კაპრემონტის წინა და შემდგომი, აგრეთვე საექსპლოატაციო ექსპრესგამოცდები არ ჩატარებულა. ელსადგურში ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლების ანგარიშის წარმოება დასახვეწია.

ე. პრივატიზაცია

2001 წელს ელექტროენერგეტიკულ სექტორში არც ერთი ობიექტის პრივატიზაცია არ განხორციელებულა.

ენერგოსისტემის მდგრადობის, საიმედოობისა და აღრიცხვიანობის უზრუნველსაყოფად, ოპერატიული მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებისა და ენერგეტიკის დარგში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, 2001 წლის 15 ნოემბერს გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტის №1168 განკარგულება – სამხარეო პრინციპით დაფუძნებული ენერგოკომპანიების შერწყმის ორგანიზების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს შემდგომში პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას.

2001 წელს საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის მართვის ტენდერში გაიმარჯვა კონსორციუმმა („იბერდროლა“, „აი პი ეი“, „ომელი“).

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №1488 და 2000 წლის №51 განკარგულებებით შექმნილმა სახელმწიფო სატენდერო კომისიამ ჩაატარა ტენდერი სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის მართვის უფლებით გადაცემისთვის. ამ ტენდერის პირობების უზრუნველსაყოფად გამოიცა სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის შერწყმისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის №740 განკარგულება, რომლის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვისა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებს დაევალოთ სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის ორგანიზება და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა. 2001 წლის 26 სექტემბერს საზოგადოებების აქციონერთა და პარტნიორობის საერთო კრებებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მათი შერწყმის შესახებ.

1998 წლის 3 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ყოფილ სკ „საქენერგოენერჯისა“ და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს 63.5 მლნ გერმანული მარკის (დაახლოებით 39.69 მლნ აშშ დოლარი) გრძელვადიანი სესხის გამოყოფას „ვარციხეჭესების კასკადის“ რეაბილიტაციისათვის. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ პროექტის განხორციელებას უნდა უხელმძღვანელოს „რეაბილიტაციისა და ოპერირების მენეჯერმა“ (ROM). „რეაბილიტაციისა და ოპერირების მენეჯერის“ განსაზღვრის მიზნით საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ ჩაატარა შესაბამისი ტენდერი, რომელშიც გამოვლენილ იქნა გამარჯვებული ბერძნული კომპანია TERNA S.A.. ამასთანავე, კომპანიასთან მოლაპარაკებებში საქართველოს

საქართველოსა და კომპანია TERNA S.A.-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებზე 2 წლიანი მოლაპარაკებების შედეგად, კომპანიის მიერ 2001 წლის 19-21 დეკემბერს სემეკში გამართულ იქნა პრეზენტაცია, სადაც განხილული იყო „ვარციხეჭესების კასკადის“ მიერ გამოძევაზე ელექტროენერჯის ტარიფის საპროგნოზო სიდიდე და კომპანიის ცალკეული მოთხოვნები. ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი პრობლემატური საკითხები, რომლებიც წამოიჭრა კომპანიასთან სემეკში გამართული მოლაპარაკებების დროს.
კერძოდ:

1. „ვარციხეჭესების კასკადის“ რეაბილიტაციის, ოპერირებისა და მენეჯმენტის კონტრაქტის მოქმედების პერიოდში ჰიდროელექტროსადგურის მიერ საპროგნოზოდ გამოძევაზე ელექტროენერჯის ოდენობა. „ვარციხეჭესების კასკადზე“ ჩასატარებელი რეაბილიტაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ჰიდროელექტროსადგურის აღდგენა, მისი ნორმალური ფუნქციონირება და გამოძევაზე გაზრდა. „TERNA S. A.“-ს მიერ შემოთავაზებულ პროექტში, კი გამოძევაზე საპროგნოზო მაჩვენებელი, KfW-ს სეხით გათვალისწინებული, რეაბილიტაციის შემდგომ პერიოდში არ აღემატებოდა 700 მლნ კვტს-ს წელიწადში, მაშინ როცა საპროექტო მაჩვენებელი 1 მლრდ. კვტს-ს უდრის. გასათვალისწინებელია, რომ უკანასკნელი 5 წლის ფაქტიური შედეგების მიხედვით ჰიდროელექტროსადგურის საშუალო გამოძევა 735 მლნ. კვტს-ს შეადგენს.

2. 2001 წლის მარტში „TERNA S. A.“-სთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „TERNA“-ს აქვს უფლება გააფორმოს პირდაპირი კონტრაქტი უცხოელ მყიდველთან ვარციხეჭესის მიერ გამოძევაზე ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვაზე საექსპორტოდ. საქართველოს სათბობ-ენერჯეტიკის სამინისტრო იძლევა გადამცემი ხაზების ხელმისაწვდომობის გარანტიას ამ მიზნის განსახორციელებლად, ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღემდე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით“. მართალია ამ ხელშეკრულებას მოქმედების ვადა გაუვიდა 2001 წლის 31 დეკემბერს, მაგრამ აღნიშნულის საფუძველზე „TERNA“-მ მოამზადა კომპანია „RWE“-სთან, „ვარციხეჭესების კასკადის“ მიერ გამოძევაზე ელექტროენერჯის შესყიდვის შესახებ, ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გამოძევაზე ელექტროენერჯის დაახლოებით 84%-ის (420-588 მლნ კვტს) ექსპორტირებას თურქეთში. საქართველოს ენერჯისტიკა განიცდის ელექტროენერჯის მწვავე დეფიციტს. ამ გარემოებაში საქართველოში არსებული ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამოძევაზე ელექტროენერჯის ექსპორტირება, სემეკის აზრით, კიდევ უფრო დაამძიმებს ელექტროენერჯეტიკულ სექტორში არსებულ მდგომარეობას. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამჟამად საქართველოში ელექტროენერჯის დეფიციტი

ძირითადად გამოწვეულია მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადაუხდელობით, რაც თავის მხრივ, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანობით, აგრეთვე გამანაწილებელი კომპანიების და სესბის არაეფექტური მუშაობით აიხსნება. ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი ელექტროსადგურის რეაბილიტაციისთვის განხორციელებული ინვესტიციების ამოღება, ამ ელექტროსადგურის მიერ გამოძევილი ელექტროენერჯის საქართველოში რეალიზაციით, რა თქმა უნდა, ეჭვქვეშ დგება და გამოსავალი მხოლოდ რეალური გადამხდელის პოვნაა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ამჟამად აღებული ვალდებულებები შპს „ეი-ი-ეს ტრანსენერჯისთან“ და „რუსეთის გაერთიანებულ ენერჯოსისტემასთან“. განსასაზღვრია თურქეთში ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების გამტარუნარიანობა, ვინაიდან ამ ხაზების დატვირთვა, ზამთარში არსებული ელექტროენერჯის დეფიციტის გამო, განხორციელდება მხოლოდ ზაფხულის პერიოდში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „TERNA“-ს მიერ კომპანია „RWE“-სთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ელექტროენერჯის ბაზარზე შემოდის ახალი, საქართველოს არარეზიდენტი, კომპანია. ეს კი თავისთავად გამოიწვევს საქართველოდან ფულადი ნაკადის გადინებას.

3. ცალკე აღსანიშნავია „TERNA“-ს მიერ კომპანია „RWE“-სთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, რაც აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში 9 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრება. ამ საჯარიმო სანქციის გამო „TERNA S. A.“ მოითხოვდა, დაზღვევის მიზნით, „ვარციხეჰესების კასკადის“ მიერ გამოძევილი ელექტროენერჯის სარეალიზაციო ტარიფში გათვალისწინებულ იქნეს ყოველწლიურად 0.9-3.6 მლნ. აშშ დოლარი, რაც 6 წლის განმავლობაში ჯამში შეადგენს 12,6 მლნ აშშ დოლარს. ეს კი თავისთავად, ზრდის გამოძევილი ელექტროენერჯის სარეალიზაციო ტარიფს.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების ძირითადი ნაწილი, კერძოდ: „ვარციხეჰესების კასკადის“ მიერ საპროგნოზოდ გამოძევილი ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრა და მისი ექსპორტირების შესაძლებლობის განსაზღვრა არ განეკუთვნებოდა სემეკის კომპეტენციას, რადგან „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აღნიშნული საკითხები უნდა დაარეგულიროს საქართველოს სათბობ-ენერჯეტიკის სამინისტრომ და ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარმა (სესბ), ამიტომ სემეკის შენიშვნები გადაგზავნილ იქნა შესაბამის სამინისტროებში შემდგომი რეაგირებისთვის.

აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ სემეკი მიესალმება ელექტროენერჯეტიკულ სექტორში საერთაშორისო გამოცდილების მქონე კომპანიის შემოსვლას, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც საწარმოს რეაბილიტაციას, ასევე მისი მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. აქვე გასათვალისწინებელია ის დიდი დახმარება ელექტროენერჯეტიკული სექტორის რეაბილიტაციისა და განვითარების

საქმეში, რომელიც გაწეულ იქნა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ.

ამასთანავე, 2001 წლის ბოლოს, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) ზემოაღნიშნული სესხი რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 ნოემბრის №1168 განკარგულებით – „სამხარეო პრინციპით დაფუძნებული ენერგოკომპანიების შერწყმის ორგანიზების შესახებ“, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ეთხოვა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად, ერთი თვის ვადაში განესაზღვრა 35-110კვ-იანი არასასისტემო დანიშნულების ქსელის ნუსხა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სემეკში მუშაობა მას შემდეგ დაიწყო, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 2001 წლის 25 მაისის №04/146 წერილით სემეკში წარმოადგინა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, სამხარეო პრინციპით დაფუძნებული ენერგოკომპანიების ერთ გაერთიანებულ ენერგოკომპანიად შერწყმისა და მასზე არასასისტემო დანიშნულების 35-110კვ ქსელის მიკუთვნების შესახებ.

ვინაიდან ახლადშექმნილი სამხარეო ენერგოკომპანიები მძიმე ტექნიკურ-ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ზემოთ აღნიშნული საკითხები მოითხოვდა საფუძვლიან შესწავლას მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ შესაბამის გადაწყვეტილების მიღებას.

2001 წლის 9 ივნისის სემეკის გაფართოებულ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (№43) 35-110კვ ქსელის ნაწილის სამხარეო ენერგოკომპანიებზე მიკუთვნების საკითხის შემსწავლელი მუშა ჯგუფის შექმნის შესახებ. მუშა ჯგუფში შევიდნენ ენერგეტიკის დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

სათანადო სამუშაოს შესრულების შემდეგ განისაზღვრა არასასისტემო დანიშნულების 35-110კვ ქსელის ნუსხა. აღნიშნული დოკუმენტაცია სემეკის 19.10.01წ №2/65 წერილთან ერთად დანართების სახით დაეგზავნათ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებს, ასევე სს „ელექტროგადაცემას“.

იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარეობს სს „ელექტროგადაცემის“ და შპს „ელექტროდისპენჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის პროცესი, სემეკმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ 35-110კვ არასასისტემო ელექტრული ქსელის გადაცემა გამანაწილებელ ენერგოკომპანიებზე განხორციელდეს ზემოაღნიშნული გაერთიანებისა და ამ სექტორში უცხოელი მენეჯერის შემოსვლის შემდეგ, რაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა.

ვ ე ლ ე ქ ტ რ ო ბ ა ზ რ ის საქმიანობის ზედამხედველობა

2001 წელს სემეკის მიერ ჩატარებული იქნა რიგი სამუშაოები საქართველოს „ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით. სემეკმა გამოსცა 2001 წლის 10 სექტემბრის №11 დადგენილება, რითაც დაამტკიცა ახალი „საბაზრო წესები“ და გაუქმებულად ჩაითვალა სემეკის 1999 წლის 31 მაისის №2 და 2000 წლის 14 თებერვლის №1 დადგენილებები „საბაზრო წესების დამტკიცებისა“ და მათში ცვლილებების შეტანის შესახებ.

2001 წლის ზამთრის პერიოდში ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგებაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, რაც გამოწვეული იყო „ეი-ი-ეს მტკვარის“ კუთვნილი მე-9 და მე-10 ენერგობლოკებისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების შეზღუდვით, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 4 იანვრის №1 ბრძანებულების „მიმდინარე ზამთრის პერიოდში თბოელექტროსადგურებისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების უზრუნველყოფის ღრობით ღონისძიებათა შესახებ“ და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, სემეკის მიერ მიღებული იქნა 2001 წლის 26 იანვრის №2 გადაწყვეტილება „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ (ლიცენზია №078, სერია 212).

2001 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე განხილული იქნა ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხი. მიღებული იქნა №102 გადაწყვეტილება, რითაც საბითუმო ბაზრის აღმასრულებელ საბჭოს, საბითუმო ბაზრის წევრთა საერთო კრების მოწვევამდე და აღმასრულებელი საბჭოს ახალი შემადგენლობის წევრთა კანდიდატურების განხილვამდე, დაევალა მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულების გაგრძელება.

2001 წლის 29 დეკემბრის №132 გადაწყვეტილებით სემეკის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება „ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოსა და გენერალური დირექტორის დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 დეკემბრის №1488 განკარგულებით შეიქმნა სახელმწიფო სატენდერო კომისია საქართველოს სათბობ-ენერჯეტიკის მინისტრის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა სახელმწიფო კომპანია „საქენერჯოს“, სს „ელექტროგადაცემის“, აგრეთვე საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დახმარების მიზნით, ღრობით, ხუთი წლით, საერთაშორისო გამოცდილების მქონე და მაღალი კვალიფიკაციის კომპანიების მოწვევა. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე; საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის, ფინანსთა, ეკონომიკისა და იუსტიციის მინისტრები; საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სექტორული ეკონომიკისა და ეკონომიკური რეფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

მუშაობის სამსახურების უფროსები და საქართველოს პარლამენტის ენერჯეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

კომისიას USAID-ის ხელშეწყობით მუშაობაში დახმარებას უწევდა ამერიკული საკონსულტაციო კომპანია PA Consulting Group (ყოფილი Hagler Bailly).

განცხადება აღნიშნული ტენდერის შესახებ მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით გამოქვეყნდა 1999 წლის 16 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაზეთში „Development Business“, რის შემდგომაც თავიანთი დაინტერესების წერილები გამოგზავნა 11-მა ფირმამ.

2000 წლის ივნისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) მიიღო გადაწყვეტილება ტენდერით შერჩეული საბითუმო ბაზრის მმართველი კომპანიის დაფინანსების მიზნით 1.0 მლნ ევროს გამოყოფის სატენდერო პროცედურების ჩატარებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების შესახებ. აღნიშნულის გამო ინტერნეტში ევრობანკის ვებგვერდზე გამოქვეყნდა განცხადება დაინტერესებულ კომპანიათა მოწვევის თაობაზე მანამდე მიღებული განაცხადების უფლებამოსილების შენარჩუნების გათვალისწინებით.

საბოლოოდ, დაინტერესებულ კომპანიათა რიცხვმა მიაღწია 19-ს.

სატენდერო კომისიამ ევრობანკთან შეთანხმებით 2000 წლის სექტემბერში შეადგინა იმ კომპანიათა და კონსორციუმთა „მოკლე სია“, რომელთაც დაეგზავნათ სატენდერო დოკუმენტაცია მათი მხრიდან ტექნიკური და ფინანსური შემოთავაზებების შემდგომი წარმოდგენის მიზნით. ესენია:

1. Deloitte Touche TomatSu (ლატვიის ოფისი);
2. Iberdrola/OMEL/Ian Pope (ესპანეთი/ შოტლანდია, გაერთიანებული სამეფო);
3. KEMA (ნიდერლანდები, წარმოდგენილი აშშ ოფისით);
4. Schlumberger Resources Management Services (საფრანგეთი, წარმოდგენილი მოსკოვის ოფისით);
5. South Czech Power Supply (ჩეხეთის რესპუბლიკა);
6. SwedPower/MVVEnergie (შვეცია/გერმანია).

სატენდერო კომისიამ 2001 წლის 16 მარტს (წინადადებათა წარმოდგენის ბოლო ვადა) საჯაროდ გახსნა კომისიაში ამ თარიღისათვის შემოსული შემდეგი მონაწილეების ორი პაკეტი:

1. Iberdrola/OMEL/Ian Pope (ესპანეთი/შოტლანდია, გაერთიანებული სამეფო);
2. Schlumberger Resources Management Services (საფრანგეთი, წარმოდგენილი მოსკოვის ოფისით).

სატენდერო კომისიამ პრივატიზაციის საკითხებში საქართველოს მთავრობის სტრატეგიული მრჩევლის, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრის – IFC-ს დახმარებით განიხილა შემოსული შემოთავაზებები და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე თხოვნით მიმართა ევრობანკს კონტრაქტი მინიჭებოდა ესპანურ/შოტლანდიურ კონსორციუმს Iberdrola/OMEL/Ian Pope-ს. ევრობანკმა სატენდერო განხილვის ანგარიშისა და ჩატარებული პროცედურების გადამოწმების შემდგომ, 2001 წლის 7

ავვისტოს გამოსცა თანხმობა, რის საფუძველზეც საბითუმო ბაზარმა იმავე წლის 9 ავისტოს გააფორმა კონტრაქტი.

სამწუხაროდ საანგარიშო წელს ელექტრობაზრის ფუნქციონირება არაეფექტური იყო. ვერ გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების დონის ასამაღლებლად და იგი კვლავაც კატასტროფულად დაბალია. 2001 წლის მონაცემებით (იხ. დანართი 9) გამანაწილებელი ენერგოკომპანიების მიერ (გარდა „ეი-ი-ეს თელასისა“) საბითუმო ბაზრისათვის გადახდილი თანხა შეადგენს ტარიფით დადგენილი გადასახდელის 26,3% მათ შორის ნაღდი ფულის სახით 5,1%, ჩათვლებით 6,4%, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ლტოლვილთა ფონდის ზამთრის პროგრამის დაფინანსების ფარგლებში 14,8%.

პირდაპირი მომხმარებლების მიერ გადახდილია მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების 24.2%. მ.შ. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ სს „აზოტს“, სს „ფეროს“, სს „ქიმბოჭკოსა“ და შპს „თბილწყალკანალს“.

მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების დაბალმა დონემ გამოიწვია, ის, რომ ელექტროსადგურები, ელექტროგადაცემა-დისპეტჩერიზაციის საწარმოები ვერ იღებენ ფუნქციონირებისთვის საჭირო ელემენტარულ თანხებსაც კი. „ეი-ი-ეს მტკვარზე“ დაგროვილია 40 მლნ ლარამდე დავალიანება, გადახდილია 24.4%. ენგურჰესს მიღებული აქვს 2.1%, ვარდნილჰესს 20.9%, ვარციხეჰესების კასკადს 10.8%, ელექტროგადაცემას 4.5%, დისპეტჩერიზაციას 14.2%.

სესბის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიდან აღვნიშნავთ რამოდენიმეს.

ობიექტური მიზეზები:

- არასრულყოფილი საბაზრო წესები;
- ელექტროენერჯის აღრიცხვის სისტემის დაბალი დონე;
- გამანაწილებელი ენერგოკომპანიების გაერთიანების და პრივატიზების პროცესის გაჭიანურება;
- საგადასახადო სისტემა.

სუბიექტური მიზეზები:

- სესბის არაკვალიფიციური მენეჯმენტი;
- საბაზრო წესებიდან გადახვევა;
- სესბისათვის არადამახასიათებელი ფუნქციების შესრულება, კერძოდ კრედიტების ან საგარანტიო ვალდებულებების აღება;
- ელექტროენერჯის განაწილების პროცესში ხელისუფლების ორგანოების არამართალ-ზომიერი ჩარევა.

რა თქმა უნდა სესბის არაეფექტურ ფუნქციონირებაში თავისი წვლილი მიუძღვის სემეკსაც, რომელმაც ვერ განახორციელა საჭირო ზედამხედველობის საქმიანობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სესბის კერძო მმართველობაში გადასვლის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორების იმედი გაჩნდა. უახლოეს პერიოდში

დაინტერესებული ლიცენზიატების და უწყებების მონაწილეობით გადამუშავება საბაზრო წესები.

ზ. სხვა ფუნქციითა განხორციელება

საანგარიშო წლის განმავლობაში სემეკის ელექტროენერგეტიკულ დეპარტამენტში შემოვიდა ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ლიცენზიატების, აგრეთვე ელექტროენერჯის მომხმარებლების 920 წერილობითი კორესპონდენცია და განაცხადი.

შემოსული დოკუმენტები ძირითადად ეხებოდა ლიცენზირების საკითხებს, ლიცენზიატთა ურთიერთობებს მომხმარებლებთან და სხვა ლიცენზიატებთან, მომსახურების საფასურის დადგენას, საწარმოო პერსონალის მიერ ლიცენზიის წესებისა და პირობების დარღვევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამანაწილებელი ენერგოკომპანიების მიერ ელექტროენერჯის საფასურის ანაზღაურების დაბალი დონე და დადგენილი ლიმიტების გადაჭარბება.

ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის 2001 წლის ჯამური მონაცემებით, ელექტროსექტორში მთლიანად ამოღებულია დარიცხული თანხის მხოლოდ 33.2%, ამასთან აღსანიშნავია, რომ თანხების ამოღების ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლები აქვთ იმ რეგიონულ ენერგოკომპანიებს, რომლებიც სისტემატურად არიან ელექტროენერჯის ლიმიტების გადამხარჯველები, რითაც უძძიმეს მდგომარეობაში აყენებენ ქვეყნის ენერგოსისტემას, ამით გამოწვეული იძულებითი გამორთვების გამო ზიანდება ძვირად ღირებული ენერგეტიკული დანადგარები, იძულებით უწყდება ელექტროენერჯის მიწოდება გადამხდელ მომხმარებლებს, რაც თავის მხრივ იწვევს მათ სამართლიან გულისწყრომას მიღებული ზარალის გამო.

ელექტროენერჯის დადგენილი ლიმიტების გადახარჯვითა და ამოღებული თანხის დაბალი მაჩვენებლებით განსაკუთრებით გამოირჩევიან: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე, გურიის მხარე, მესხეთის მხარე, ქვემო ქართლის მხარე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე, მცხეთა-მთიანეთის მხარე, იმერეთის მხარე. ასე მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ენერგოკომპანიამ 2001 წლის მონაცემებით ლიმიტს ზევით გადახარჯა ელექტროენერჯია 153.6%-ით, მაშინ როცა ამოღებული აქვს დარიცხული თანხის 1.4%. ქვემო ქართლის მხარის ენერგოკომპანიამ მოიხმარა 129.9%-ით მეტი ელექტროენერჯია, ვიდრე ლიმიტით ქონდა დადგენილი, ხოლო ამოიღო ამ ელექტროენერჯის ღირებულების მხოლოდ 6.5 %. გურიის მხარის ენერგოკომპანიამ მოიხმარა 34.7 %-ით მეტი ელექტროენერჯია, ვიდრე ლიმიტით ქონდა დადგენილი, ხოლო ამოიღო ამ ელექტროენერჯის ღირებულების მხოლოდ 6.6 %. ასევე დიდი გადაჭარბება აქვს ელექტროენერჯის მოხმარებაში მესხეთის მხარის ენერგოკომპანიას – 200.4 %, მაშინ როცა ამოღებული თანხა შედგენს 16,4%. ამასთან, ზოგიერთი სამხარეო ენერგოკომპანიები განსაკუთრებით

გადახარჯავენ ელექტროენერჯის დადგენილ ლიმიტებს შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმის თვეებში, როცა სისტემა განიცდის ელექტროენერჯის მწვავე დეფიციტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობას ჯერ-ჯერობით ვერ უშველა განაწილების სექტორში განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეორგანიზაციამაც – ენერგოკომპანიების სამხარეო პრინციპით მოწყობამ, რაზეც სამხარეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ. 2000 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შენარჩუნებულია თითქმის იგივე მაჩვენებლები, როგორც ელექტროენერჯის გადახარჯვის საკითხში, ასევე საფასურის ამოღების მხრივ.

იმის გამო, რომ ენერგოკომპანიები ადგილებზე არ ახორციელებენ მოხმარების რეგულირებას დადგენილი ლიმიტების დაცვის მიზნით და ელექტროენერჯის მიწოდების თვალსაზრისით ერთნაირ მდგომარეობაში აყენებენ არგადამხდელ და გადამხდელ მომხმარებლებს, შექმნილია ისეთი პირობები, რომ გადამხდელ რეგიონებს და მომხმარებლებს ხშირად სისტემის მდგრადობის შენარჩუნების აუცილებლობიდან გამომდინარე, იძულებით უწყვეტენ ელექტროენერჯის მიწოდებას და ვეღარ აწვდიან ელექტროენერჯის საჭირო რაოდენობას. ე.ი. გადამხარჯველების გამო ენერგოსისტემა კარგავს გადამხდელ მომხმარებელსაც და ამასთან ერთად იმ უმნიშვნელ თანხებსაც, რასაც ჯერ კიდევ იხდიან ეს მომხმარებლები და რაც ასე აუცილებელია ქვეყნის ენერგოსისტემის ფეხზე დასაყენებლად.

ამ და სხვა სახის დარღვევებზე სემეკი რეგულარულად ატყობინებდა წერილობით ადგილობრივი ხელისუფლების იმ ორგანოების ხელმძღვანელებს, რომელთა ნომენკლატურასაც წარმოადგენს დამრღვევი ენერგოკომპანიის ხელმძღვანელი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

„2001-2002 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის საქართველოს ენერგოსისტემის მომზადების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 26 ნოემბრის № 481 ბრძანებულების მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით, სემეკს ეთხოვა დაადასტუროს სს „ეი-ი-ეს თელასის“ უფლება, ელექტროენერჯის შეზღუდვა განახორციელოს სემეკის 2001 წლის 20 სექტემბრის №10 დადგენილების – „ეი-ი-ეს თელასის“ და მისი ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის „ელექტროენერჯის მიწოდების, მომსახურების და მოხმარების პირობების“ დამტკიცებისა და ქ. თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფის ღონისძიებეთა შესახებ – მიხედვით, ხოლო ელექტროენერჯის დეფიციტის შემთხვევაში, ელექტროენერჯის მიწოდება შეზღუდოს მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის პროპორციულად ქ. თბილისის მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც არ არის დამთავრებული გამრიცხველიანების პროცესი და ადგილი აქვს ელექტროენერჯის საფასურის მასობრივ არგადახდებს.

მიმდინარე შემოდგომა-ზამთრის სეზონზე მძიმე პირობები შეიქმნა ქ. თბილისის ელექტროენერჯით მომარაგების საქმეში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს როგორც მომხმარებელთა საიმედო ენერგოუზრუნველყოფაზე, ასევე ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების სფეროებში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციებზე.

„ეი-ი-ეს“ კორპორაცია ველარ უზრუნველყოფს დამატებითი სახსრების მოზიდვას ელექტროენერჯისა და თბოელექტროსადგურებისთვის საჭირო ბუნებრივი გაზის შესასყიდად. აქედან გამომდინარე, სს „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ ქ. თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგება დამოკიდებულია მხოლოდ მომხმარებლებისთვის მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების დონეზე, რისთვისაც აუცილებელი შეიქნა გადაძვრელი ღონისძიებების გატარება.

სემეკი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული ელექტროენერჯის უსასყიდლო მიწოდება მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის. ამ პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაზე მზადყოფნა დაადასტურეს კომპანიებმა „ბრიტიშ პეტროლიუმმა“, „სტატოილმა“ და ნორვეგიის მთავრობამ.

3.2 ბუნებრივი გაზის სექტორი

ა. გაზმომარაგების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება

ქვეყანაში, 2001 წელს ბუნებრივი გაზის მოპოვება ხდებოდა მხოლოდ ნინოწმინდის საბადოზე და შეადგინა 40 მლნ მ3. გარდა ამისა, ოპერატიული მონაცემებით, 2001 წლისათვის გაზის მოწოდებამ სულ შეადგინა 2360 მლნ მ3, მათ შორის: ტრანზიტით სომხეთს მიეწოდა 1403 მლნ.მ3, საქართველოს მომხმარებლებს - 957 მლნ მ3. აქედან, მსხვილ მომხმარებლებს: ეი-ი-ეს “მტკვარს” – 343,6 მლნ მ3; თბილსრესს – 48,0 მლნ მ3; სს “აზოტს” – 125,4 მლნ მ3; ქ. თბილისს – 180 მლნ მ3, მ.შ. სს”თბილგაზს“-155,5 მლნ მ3, შპს “გაზმშენს-10.6 მლნ.მ3, თბოელექტრო-ცენტრალს-2,5 მლნ მ3, შპს “ავტოგაზს“-9,4 მლნ მ3, შპს “გამას“-2,0 მლნ მ3.

2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების საერთო სიგრძე წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა და იგი შეადგენს 1940 კმ. აღნიშნული გაზსადენებით ხორციელდება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს მომხმარებლებისათვის და ტრანზიტი სომხეთში. გაზსადენების წლიური საპროექტო წარმადობაა 20 მილიარდი კუბური მეტრი. ასევე არ შეცვლილა საქართველოს გაზსადენების ტექნიკური მახასიათებლები (იხ. სემეკის 2000 წლის წლიური ანგარიში). ექსპლუატაციაშია 1464,2 კმ მაგისტრალური გაზსადენი. მის ექსპლუატაციას 2000 წლის ზაფხულიდან ეწევა შპს “საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია”.

გაზის გაჟონვების ლიკვიდაციისა და მოსალოდნელი ავარიების თავიდან აცილების მიზნით:

1. ნავთლულის გაზის გამანაწილებელი სადგურის განშტოებაზე შეიცვალა 300 მეტრი წლების განმავლობაში უმოქმედო 700 მმ დიამეტრის გაზსადენი, დამატებით

აშენდა 300 მმ დიამეტრის 800 მ სიგრძის სარეზერვო ხაზი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალაქის სტაბილურ გაზმომარაგებას. ნავთლულის გაზის გამანაწილებელ სადგურს, რომელიც არ ფუნქციონირებდა 1995 წლიდან, ჩაუტარდა მთლიანი რეკონსტრუქცია. პრაქტიკულად აშენდა ახალი სადგური, უსაფრთხოებისა და საიმედოობის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებით, რითაც ქალაქ თბილისში აღდგა გაზმომარაგების ახალი წყარო.

ამჟამად ქალაქ თბილისის გაზმომარაგება ძირითადად ხორციელდება ნავთლულის სადგურიდან, რადგანაც ქალაქის მეურნეობის შიგა გაზსადენების ავარიული მდგომარეობის გამო ადრე მკვებავი გლდანის გაზგამანაწილებელი სადგური მოწყვეტილი აღმოჩნდა ქალაქის ცენტრალური რაიონებიდან.

2. სოფ. გამარჯვებასთან, კოროზიულად მაღალი აგრესიულობის გრუნტში, მიწიდან იქნა ამოღებული და გაყვანილი 5,3 კმ სიგრძის საჭაერო გაზსადენი.

3. რუსთავი-ჯანდარის მონაკვეთზე ადრე პროექტით გათვალისწინებული იყო 1000 მმ დიამეტრის 3,5 კმ სიგრძის გაზსადენის შეცვლა, ღირებულებით 1,3 მლნ ლარი. კომპანიის გადაწყვეტილებით, ადრე დაწყებული მშენებლობა შეჩერებულ იქნა და ამ მიზნით გამოყენებულ იქნა 50 მეტრში პარალელურად გამავალი 1200 მმ დიამეტრის გაზსადენის მონაკვეთი. ამით დაიზოგა 1000 ტონა დეფიციტური მაღალი წნევის მილი და მიღებულ იქნა 1,1 მლნ ლარამდე ეკონომია.

4. თბილსრესის გაზმომარაგების დამატებითი კვების უზრუნველყოფისათვის ჩატარდა გაზსადენის მეორე ხაზის აღდგენითი სამუშაოები, ყარადალ-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის 500 და 800 მმ პარალელურ ხაზებს შორის აშენდა შესაკრავი ხაზი. ეს ღონისძიებები საშუალებას იძლევა ძირითად მილსადენზე ავარიის შემთხვევაში შეუფერხებლად მიეწოდოს გაზი თბოელექტროსადგურს.

5. ყარადალ-თბილისის 483-484 კმ-ზე შეიცვალა 800 მმ მაგისტრალური გაზსადენის მონაკვეთი.

6. ჩატარდა წითელ ხიდზე არსებული გამზომი კვანძის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

7. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი ყაზბეგისა და ღუშეთის რაიონებში, სადაც გაზსადენები გადის მეტად რთულ რელიეფურ და კლიმატურ პირობებში. დარიალის ხეობაში გვირაბებში შემავალი და გამომავალი გაზსადენები იყო დაუცველი. იქმნებოდა საშიშროება, რომ მთიდან მოწყვეტილი ქვის ლოდები დაცემის შემთხვევაში დააზიანებდა და გამოიყვანდა გაზსადენს მწყობრიდან. ზემოაღნიშნულის თავიდან ასაცილებლად დამზადდა რკინაბეტონის ფილები საშიშ ადგილებში მილების დაუცველი ადგილების დასახურავად. შესრულებული სამუშაოების შედეგად მოწყობილ იქნა გადახურვები, გარდა ამისა გვირაბების პორტალები გაწმენდილ იქნა ჩამონაშალი ქვებისაგან.

8. მდინარე დევლორაკზე ჩატარდა 1200 მმ და 700 მმ დიამეტრის გაზსადენების აღდგენითი სამუშაოები ღირებულებით 147,3 ათასი ლარი, აღდგა მდინარე ყუროს გადასასვლელზე 1200 მმ და 700 მმ გაზსადენების დაზიანებული მონაკვეთები.

9. ვლადიკავკაზ–თბილისის მაგისტრალური გაზსადენის 78 კმ-ზე დაზიანებულ გაზსადენს ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები და მოეწყო დამცავი კედელი.

დამთავრდა დამცავი კედლის მშენებლობა ვლადიკავკაზ–თბილისის 700 მმ მაგისტრალური გაზსადენის 121 კმ-ზე (ხანდოს ხევი), აქტიური გადარეცხვის ზონაში.

დაბა ფასანაურთან, 1200 მმ გაზსადენის 211 კილომეტრზე ჩატარდა დანგრეული დამცავი კედლის დემონტაჟი და ახლის მშენებლობის სამუშაოები.

დაბა ფასანაურთან 700 მმ გაზსადენის 120,5 კმ-ზე შესრულდა მდ. არაგვის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

სოფ. ქვეშეთთან, მდ. არაგვზე აშენდა 205 მ სიგრძისა და 2 მ სიმაღლის დამცავი კედელი.

10. გუდაურის დასასვენებელი კომპლექსის რაიონში შესრულდა გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნა აცილებული დასასვენებელი კომპლექსის ნგრევა და დაზიანება გაზსადენზე შესაძლო ავარიის გამო. ამ მიზნით 1200 მმ და 700 მმ გაზსადენებზე ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები.

11. ქუთაისი–წყალტუბოს გაზსადენის 1300 მ სიგრძის მონაკვეთის აღსადგენად შესრულდა 38,4 ათასი ლარის სამუშაოები და განახლდა ქ. წყალტუბოს გაზმომარაგება.

12. აღდგა მდინარე ხობისწყალზე წყალდიდობის შედეგად წაღებული გაზსადენის გადასასვლელი, რის გამოც გაზის მიწოდება შეწყვეტილი ჰქონდა ქალაქ ზუგდიდს. ჩატარდა ახალი რკინაბეტონის ხიმინჯების მშენებლობის სამუშაოები.

მთლიანად საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენებზე 2000 წლის მეორე ნახევარში და 2001 წელს კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის ხაზით, კომპანიის მონაცემებით, შესრულებულია 2,0 მლნ-ზე მეტი ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო, სარემონტო-აღდგენითი და პროფილაქტიკური სამუშაოები.

გაზის დანაკარგების შემცირებისათვის გატარებული ღონისძიებები:

კაპიტალური რემონტის ხარჯის გამოყოფის გარეშე, უშუალოდ საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის სახაზო საექსპლუატაციო ფილიალების მიერ საკუთარი ძალებით გაზის დანაკარგების შემცირებისათვის შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

1. საგურამოს სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალი

გამოვლენილი და ლიკვიდირებულია გაზის გაჟონვები გაზსადენის კოროზიული დაზიანების ადგილებში:

- წითელი ხიდი – წალკა – ალასტანის მაგისტრალურ გაზსადენზე–33 ადგილას;
- ყაზახ-საგურამოს მაგისტრალურ გაზსადენზე –10 ადგილას;
- საგურამო–გორის მაგისტრალურ გაზსადენზე – 29 ადგილას;
- გორის გაზმანაწილებელი სადგურის განშტოებაზე–4 ადგილას;
- ნავთლუდის გაზგამანაწილებელი სადგურის განშტოებაზე 2 ადგილას;

- ყარაღალ–თბილისის მაგისტრალურ გაზსადენზე – 16 ადგილას;
- ვლადიკავკაზ–თბილისის მაგისტრალურ გაზსადენზე – 2 ადგილას;
- ყაზახ–საგურამოს 1000 მმ გაზსადენზე ამოჭრილ იქნა წინა წლებში ავარიის დროს დამწვარი ჩამკეტი ონკანი, შესრულდა დაზიანებული მილების დემონტაჟი, გაზსადენი გამთლიანდა და ჩართულ იქნა მუშაობაში;
- ქესალო–მარნეულის განშტოებაზე შეცვლილ იქნა 500 მმ ჩამკეტი ონკანი;
- ქესალო–მარნეულის მიმართულებით 1500 გრძივი მეტრი დაზიანებული გაზსადენის ნაცვლად მიმდინარეობს ახალი გაზსადენის სამონტაჟო სამუშაოები.

2. ყაზბეგის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალი

- 51-ე კმ-ზე 700 მმ-იანი გაზსადენის №5 გვირაბის შესასვლელთან პორტალი გაწმენდილ იქნა ჩამონაშალი ქვებისა და ქვიშისაგან;
- 151,6 კმ-ზე 1200 მმ-იანი გაზსადენის ჩამკეტი ურდულის შემოვლით ხაზზე ლიკვიდირებულ იქნა გაჟონვა;
- 57 კმ-ზე 700 მმ-იანი გაზსადენის საჰაერო გადასასვლელთან (მდ.თერგის მარჯვენა მხარეს) აშენებულ იქნა 4 მ სიგრძისა და 2 მ სიმაღლის კედელი;
- შეიზეთა და ჩაუტარდა რევიზია ყველა სახაზო ონკანს;
- 85 კმ-ზე 700 მმ-იანი გაზსადენზე 3 ადგილას აშენებულ იქნა ნაპირსამაგრი კედელი საერთო სიგრძით 15 მ, სიმაღლით 2 მ;
- 147 კმ-ზე 1200 მმ-იანი გაზსადენზე 25 მ სიგრძის და 83 კმ-ზე 700 მმ-იანი გაზსადენზე 20 მ სიგრძის გადარეცხილი ადგილები შევსებულ იქნა გრუნტით;
- 76 კმ-ზე 700 მმ გაზსადენზე 12 მ სიგრძის გადარეცხილი ადგილები გაიწმინდა და გამზადდა იზოლაციის გასაკეთებლად;
- მდ. ბიდარასთან 1200 მმ გაზსადენზე გაშიშვლებულ ადგილებთან დაიწყო საყრდენი კედლის მშენებლობა.

3. ქვეშეთის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალი

- სასტუმრო გუდაურის რაიონში შესრულდა გადარეცხილი გაზსადენების საიზოლაციო სამუშაოები, თხრილები შეივსო გრუნტით საპროექტო ნიშნულამდე. ციცაბო ადგილებში, სადაც იყო გაზსადენის მოწყვეტის საშიშროება, ჩატარდა დამაგრების სამუშაოები;
- 700 მმ-იანი გაზსადენზე №6 გვირაბთან შესასვლელები გაიწმინდა ჩამონადენისა და გრუნტისაგან, კომპენსატორს გაუკეთდა გადახურვა, აშენდა დამცავი კედელი და შეიღება, გვირაბის შესასვლელებს გაუკეთდა კარებები;
- ჩატარდა სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები ჩამკეტ ონკანებზე;
- 1200 მმ მაგისტრალური გაზსადენის 203 კმ-ზე გამაგრდა ხევზე გადასასვლელი;
- 1200 მმ მაგისტრალური გაზსადენის 200,7 კმ-ზე ხევს გაუკეთდა კალაპოტი, რითაც თავიდან იქნა აცილებული გაზსადენის დიდი მონაკვეთის გადარეცხვა;
- 700 მმ გაზსადენის 114 კმ-ზე გაზაფხულის წყალდიდობებისაგან ახლად წარმოქმნილ ხევში გაკეთდა წყლის გადასაშვები და აღდგენილ იქნა მილის იზოლაცია;

– 1200 მმ გაზსადენის №8 გვირაბის პორტალებზე გაკეთდა ლითონის შესასვლელი კარები;

– 1200 მმ მაგისტრალური გაზსადენის 201 კმ-ზე და 700 მმ გაზსადენის 152 კმ-ზე ონკანებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი;

პროფილაქტიკურ-აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 1200 მმ გაზსადენის 186; 232; 282 კმ-ზე, 700 მმ გაზსადენის 96; 114,3; 119; 119,4კმ-ზე მდებარე ონკანებს;

– მაგისტრალური გაზსადენის ჩინთი-თიანეთის მონაკვეთის 300 მმ მილი გამგრდა 46 მ სიგრძეზე. გაკეთდა ტერასები;

– რუსთავი-თელავი-ჟინვალის მაგისტრალურ გაზსადენზე, კახეთის უსაფრთხო გაზმომარაგებისა და გაჟონვების შემცირების მიზნით დამონტაჟდა წნევის რეგულატორი;

– ჩატარდა პროფილაქტიკურ-აღდგენითი და გამართვის სამუშაოები ქვეშეთისა და ფასანაურის გაზის გამანაწილებელ სადგურებში;

– სოფელ ციხისძირთან ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები;

– გულაურის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა ეროზიადამცავი სამუშაოები;

– შეიზეთა და ჩაუტარდა რევიზია ყველა სახაზო ონკანს.

4. თერჯოლის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალი

– ზესტაფონის განშტოებაზე შეიცვალა გაზსადენის ავარიული მონაკვეთი;

– ქუთაისი-სოხუმის მაგისტრალურ გაზსადენზე ზუგდიდის რაიონში აღდგენილ იქნა კოროზიით დაზიანებული გაზსადენის უბანი 3 ადგილას;

– ლიკვიდირებულ იქნა გაზის გაჟონვა საგურამო-ქუთაისის მაგისტრალურ გაზსადენზე ორ ადგილას ჭიათურა-საჩხერის რაიონში;

– ლიკვიდირებულ იქნა გაზის გაჟონვა საგურამო-ქუთაისის მაგისტრალურ გაზსადენის ხარაგაულის განშტოებაზე;

– საგურამო-ქუთაისის მაგისტრალური გაზსადენის საქარა- ზოვრეთის ზონაში ლიკვიდირებულია გაზის გაჟონვა 17 ადგილას;

– გამთლიანდა სოფ. სვირის განშტოება, ჩაყენებულია ახალი ონკანი;

– საჩხერის განშტოებაზე აღდგენილ იქნა მოტეხილი გამქრავი ხაზი;

– ზესტაფონის განშტოებაზე ლიკვიდირებულ იქნა გაზის გაჟონვა;

– ხობისწყალზე წყალდიდობის შედეგად წაღებული გაზსადენის გადასასვლელის ნაცვლად დამთავრდა ახალი გაზსადენის მშენებლობა. მიმდებარე მონაკვეთების ჩათვლით სულ გამოიცვალა 250 მეტრი 500 მმ დიამეტრის გაზსადენი.

5. გურჯაანის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალი

ლიკვიდირებულ იქნა გაზის გაჟონვები:

– მაგისტრალური გაზსადენის გურჯაანი-ჩალაუბნის მონაკვეთზე;

– მაგისტრალური გაზსადენის ახმეტა-თელავის მონაკვეთზე;

– მაგისტრალური გაზსადენის სიღნაღი-ლაგოდეხის მონაკვეთზე;

– ახმეტის ბუნებრივი გაზის გამზომ კვანძში;

– სოფ. წინანდალთან ორ ადგილას.

- სოფ. ქისტაურთან თელავი-ახმეტის მონაკვეთზე შეიცვალა 120 მ სიგრძის დაზიანებული გაზსადენი;
 - რუსთავი-თელავი-ჟინვალის მაგისტრალური გაზსადენის სიღნაღი-ლაგოდეხის მონაკვეთზე შეიცვალა 50 მ სიგრძის გაზსადენი;
 - ჩალაუბნის ტყეში შეკეთდა ავარიულად დაზიანებული, გადახსნილი 500 მმ-იანი გაზსადენი;
 - წნორის განშტოებაზე და სიღნაღის რაიონში შეკეთდა კოროზიულად დაზიანებული გაზსადენი;
 - ლიკვიდირებულ იქნა გაზის გაჟონვები ჩამკეტ ონკანებზე: დედოფლისწყაროსთან, დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. გამარჯვებასთან, ლაგოდეხთან, სიღნაღთან, ველისციხესთან, წინანდალთან, თელავთან, ვაზისუბანთან, წნორსა და ახმეტასთან;
 - შემოწმდა ჰერმეტიულობაზე მაგისტრალური გაზსადენის ახმეტა-თელავის მონაკვეთი;
 - დამონტაჟდა ახალი ჩამკეტი ონკანები გურჯაანი-ჩალაუბნის მონაკვეთზე;
 - მაგისტრალის სიღნაღი-ლაგოდეხის მონაკვეთზე და თელავის გაზგამანაწილებელი სადგურის შემდეგ გაზსადენის მუშაობის საიმედოობის გაზრდის მიზნით დამონტაჟდა წნევის რეგულატორები;
 - ჩუმლაყის გაზგამანაწილებელ სადგურში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, ფაქტიურად დამონტაჟდა ახალი გაზგამანაწილებელი სადგური;
 - ჩამკეტი მოწყობილობები დაზეთილი და დატენილია საპოხი მასალით, მაგისტრალის სხვადასხვა მონაკვეთზე ჩატარდა 8 ონკანისა და 3 გამქრავი სანთლის შემოწმება ჰერმეტიულობაზე. შეკეთებულია დაზიანებული ადგილები;
 - აღდგენილია სიღნაღი-ლაგოდეხის დამაკავშირებელი გაზსადენი.
- საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების ფუნქციონირების ეფექტიანობის ასამაღლებლად შემუშავებულია რამდენიმე საინვესტიციო პროექტი, მათ შორის:
- საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაბა გველეთში გაზის გამზომი სადგურის მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამჟამად დასრულებულია ევროკომისიის ეგიდით წარსამართი ტენდერისათვის დოკუმენტაციის მომზადება, რათა შერჩეულ იქნენ პროექტის შემსრულებელი კომპანიები.
- გარდა ზემოაღნიშნულისა, ხორციელდება შემდეგი ტიპის ღონისძიებები:
- არსებული გაზის გამზომი სისტემისათვის ოპტიმაციის გეგმის შემუშავება და მის საფუძველზე გაზის ხარჯის გაზომვის ახალი კონცეფციის შექმნა;
 - მართვის ეფექტური სტრუქტურის ჩამოყალიბება;
 - ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისათვის თეორიული და პრაქტიკული სწავლების მოწყობა (გარდა ადგილზე ჩატარებული სემინარებისა, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციისა და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის 3 თანამშრომელი “ტასისის” პროგრამით მივლინებული იყო გერმანიაში, სადაც გაიარეს ტრენინგის სპეციალური კურსი);
 - სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა.

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია გაზის ხარჯის აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს შიდა კონტროლს ცალკეულ სტრუქტურულ დანაყოფებს შორის. ამ მიზნით დამონტაჟებული და ექსპლუატაციაში გაშვებულია გაზის ხარჯის გამზომი კვანძები დასავლეთ საქართველოს განშტოებაზე (აგარიდან დასავლეთით) საგურამოსა და თერჯოლის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალების ზონების საზღვარზე, კახეთისა და მარნეულის განშტოებებზე. მიმდინარეობს ანალოგიური გამზომი კვანძის მონტაჟი საგურამოში, ქვეშეთისა და საგურამოს ფილიალების მომსახურების ზონებს შორის.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით შეძენილი იქნა 17 ცალი ტურბინული მრიცხველი ელექტრონული კორექტორებით, რომლებითაც შეიცვალა ამორტიზებული მრიცხველები გაზის გამანაწილებელ სადგურებში მსხვილ მომხმარებლებთან.

საანგარიშო წელს საქართველოს გაზის სექტორში გრძელდებოდა მძიმე მდგომარეობა. კერძოდ, კვლავ არ კეთდება გაზმომარაგებისა და გაზიფიკაციის განვითარების პროგნოზი, არ ხდება ერთიანი ტექნიკური და საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, არ ხორციელდება გაზმომარაგების სისტემის სრულყოფის სტრატეგიის ფორმირება და ა.შ. ამის გამო იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ ეკონომიურად წამგებიანი გაზგამანაწილებელი კომპანიები კოტრდებიან და ბუნებრივი გაზის საზღვარგარეთელი მომწოდებლების ეკონომიკური მძევლები ხდებიან.

ბ) ტა რიფის და დ გენა და რეგ უ ლი რება

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 42-ე და 43-ე მუხლების, აგრეთვე სემეკის 1999 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესისა და მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, 2001 წელს სემეკმა ამ საკითხზე მიიღო მთელი რიგი დადგენილებები და გადაწყვეტილებები.

საქართველოში იმპორტირებული (საზღვრამდე მოტანილი) ბუნებრივი გაზის ფასის გაზრდასთან დაკავშირებით, ასევე ბუნებრივი გაზის განაწილების სექტორის ფუნქციონირების და განვითარების მიზნით, შესაბამის ლიცენზიატთა განცხადების საფუძველზე, „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებით, რომელიც გატარდა რეგისტრაციაში იუსტიციის სამინისტროში (№ 300.320.000.14.011.004.724, 6 აპრილი 2001 წელი) სემეკმა დაამტკიცა შემდეგი ტარიფები:

ბუნებრივი გაზის საბითუმო მიწოდებაზე (ლარი/1000კუბ.მ.):

ა. სააქციო საზოგადოება „საქგაზს“:

– თბოელექტროსადგურებისათვის – 105.4 (დღგ-ის გარეშე)

– დანარჩენი მომხმარებლებისათვის – 153.4 (დღგ-ის ჩათვლით)

ბ. სააქციო საზოგადოება „თბილგაზს“ – 143.15

გ. სააქციო საზოგადოება „გაზმშენს“ – 153.4

დ. სააქციო საზოგადოება „ექს“ – 143.4

ე. გაზის ტრანსპორტირების კომპანიას – 143.4

ავტომანქანების გასამართი შეკუმშული გაზის საცალო მიწოდებაზე, დღგ-ის ჩათვლით (თეთრი/კუბ.მ.):

შპს „გამას“ – 40.0

სს „ავტოგაზს“ – 40.0

ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებაზე, დღგ-ის ჩათვლით (ლარი/1000 კუბ.მ.):

ა. გაზის ტრანსპორტირების კომპანიას – 16.6

ამავე დადგენილებით, შესაბამისად მოხდა საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში საცალო მოხმარების ტარიფების კორექტირება, ხოლო სს „თბილგაზს“ შეუნარჩუნდა 1999 წლის 27 აგვისტოს №5 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფი 25.0 (თეთრი/კუბ.მ.).

2001 წლის 6 აპრილის №28 გადაწყვეტილებით სს „რუსთავგაზს“ რუსთავის ტერიტორიაზე არსებული სამრეწველო საწარმოებისათვის დაუმტკიცდა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფები დღგ-ის ჩათვლით (ლარი/1000კუბ.მ.): სს „აზოტისათვის“-0.45, სს „რუსთავცემენტისათვის“-1.1, სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებისათვის-9.3, შპს „ალუ საქართველოსათვის“- 45.0.

2001 წლის 11 ივლისის №53 გადაწყვეტილებით, სს „კასპიგაზს“ სამრეწველო მომხმარებლებისათვის დაუმტკიცდა ბ/გაზის განაწილების ტარიფები დღგ-ის ჩათვლით (ლარი/1000 კუბ.მ.): სს „კასპიცემენტისათვის“-7.0, სს „მეტეხის კერამიკის“ და სს „მეტეხისათვის“-30.0 თეთრისათვის.

2001 წლის 11 ივლისის №6 დადგენილებით, რომელიც გატარდა რეგისტრაციაში იუსტიციის სამინისტროში (№300.260.000.14.011.0048, 24 ივლისი 2001წ) 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები და დამატებები:

სს „ზესტაფონიგაზს“ საცალო მოხმარების ტარიფი - 29.0, აქედან განაწილების ტარიფი – 12.0, ტრანსპორტირების ტარიფი – 1.66, მიწოდების ტარიფი – 15.34 (თეთრი/კუბ.მ.)

ი.ს „გია ობგაიძე და მეთანნი“ საცალო მოხმარების ტარიფი – 25.0, აქედან განაწილების ტარიფი 8.0, ტრანსპორტირების ტარიფი – 1.66, მიწოდების ტარიფი – 15.34 (თეთრი/კუბ.მ.)

2001 წლის 24 აგვისტოს №81 გადაწყვეტილებით სემეკმა დაადგინა:

1. სს „თბილგაზისთვის“ სს „საქორგაზის“ კუთვნილი ბუნებრივი გაზის განაწილების (გატარების) ტარიფი – 23.7 (დღგ-ის ჩათვლით, ლარი/1000კუბ.მ.)

2001 წლის 9 სექტემბრის №9 დადგენილებით, რომელიც გატარდა რეგისტრაციაში იუსტიციის სამინისტროში (№300.320.00014.011.004.061, 13 სექტემბერი 2001წ.) 2001წ 4 აპრილის №3 დადგენილებაში შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. სს „ქარელიგაზი“ საცალო მოხმარების ტარიფი 28.0, აქედან განაწილება – 11.0, ტრანსპორტირება – 1.66, მიწოდება 15.34,(დღგ-ის ჩათვლით, თეთრი/კუბ.მ.)

2. სს „საქორგაზი“ (ფონიჭალა, ტაბახმელა, წავკისი) საცალო მოხმარების ტარიფი – 28.0, აქედან განაწილება 11.0, ტრანსპორტირება – 1.66, მიწოდება – 15.34, (დღგ-ის ჩათვლით, თეთრი/კუბ.მ.)

2001 წლის 26 ნოემბრის №106 გადაწყვეტილებით, 2000-2001 წლების შემოდგომა ზამთრის სეზონისათვის, ქვეყნის, მათ შორის, ქ. თბილისის ელექტროენერჯით საიმელო მომარაგების უზრუნველყოფისათვის შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ საქართველოს თბოელექტროსადგურებისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი განესაზღვრა 10.8 ლარი (დღგ-ის ჩათვლით/1000კუბ.მ.) ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტარიფი ძალაშია 2001 წლის 1 დეკემბრიდან 2003 წლის 1 მაისამდე.

2001 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის გაზრდასთან (6 აშშ დოლარით) დაკავშირებით, დღის წესრიგში დადგა ბუნებრივი გაზის ტარიფების კორექტირების საკითხი.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2001 წლის 29 ნოემბრის №14 დადგენილებით, ცვლილებები იქნა შეტანილი სემეკის 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში. კერძოდ, დამტკიცდა ბუნებრივი გაზის საბითუმო მიწოდებაზე შემდეგი ტარიფები დღგ-ის ჩათვლით (ლარი/1000 კუბ.მ.):

სააქციო საზოგადოება „საქგაზს“ – 168

სააქციო საზოგადოება „გაზმშენს“ – 168

გ. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ – 161

ცვლილება იქნა შეტანილი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფში, რომელიც განისაზღვრა (ლარი/1000კუბ.მ.):

შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“:

– თბოელექტროსადგურებისათვის 10.8

– სს „ყაზბეგიაზისათვის“–10.8

– სს „დუშეთიგაზისათვის“– 14.0

უცვლელი დარჩა ავტომანქანების გასამართი შეკუმშული გაზის საცალო მიწოდების ტარიფები. ასევე არ შეცვლილა გაზის ტრანსპორტირების ტარიფი დანარჩენი მომხმარებლისათვის 16.6 ლარის ოდენობით.

ბუნებრივი გაზის მიწოდების და ტრანსპორტირების ცვლილებების გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი საცალო მოხმარების ტარიფებში. ასევე დაემატა ახალი ლიცენზიატები: სს „ახალგორიგაზი“; სს „სიღნაღიგაზი“; სს „ლაგოდეხიგაზი“.

საქართველოში 2001 წლის ბოლოსათვის შექმნილი ენერგეტიკული კრიზისის ნაწილობრივი დაძლევის მიზნით, გადაუდებელი გახდა სს „თბილსრესის“ და სს „თბოელექტროცენტრალის“ ამოქმედების აუცილებლობა. 2001 წლის 28 დეკემბრის №129 გადაწყვეტილებით სემეკმა დაადგინა: სს „საქგაზისთვის“ სს „თბილსრესისა“

და სს „ტბოელექტროცენტრალისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი 122.0 ლარი 1000/კუბ.მ. (დღგ-ის გარეშე).

გ. ლი ცენზირება

ლიცენზირების წესები და პირობები ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში აღგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სექტორში დასაქმებული ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე განსაზღვრავს ლიცენზიის გაცემასთან, მოდიფიცირებასთან, შეჩერებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებულ წესებს, პირობებსა და პროცედურებს.

2001 წელს გაიცა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, მიწოდებისა და განაწილების 29 ლიცენზია, რომელთა მფლობელი გახდა 16 ლიცენზიატი.

ტრანსპორტირების ლიცენზია

ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია უფლებას აძლევს იურიდიულ პირს განახორციელოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება ტრანსპორტირების სისტემის საშუალებით. სემეკის მიერ 2001 წელს ტრანსპორტირების ლიცენზია არ გაცემულა. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ფლობს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიას, არის შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ (გადაწყვეტილება №15, 17. 03. 2000 წ) სერია - 220 №059.

მიწოდების ლიცენზია

ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზია უფლებას აძლევს იურიდიულ პირს ან ინდივიდუალურ მეწარმეს იყიდოს და/ან გაყიდოს ბუნებრივი გაზი სხვა მიწოდების ლიცენზიანტზე ან მომხმარებელზე. სემეკ-ის მიერ 2001 წელს გაცემულია მიწოდების 16 ლიცენზია.

განაწილების ლიცენზია

განაწილების ლიცენზია უფლებას აძლევს იურიდიულ პირს ექსპლუატაცია გაუწიოს გამანაწილებელ ქსელს და გაანაწილოს ბუნებრივი გაზი განსაზღვრული ადმინისტრაციული ან გეოგრაფიული ზონის ან კონკრეტული გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში. სემეკ-ის მიერ 2001 წელს გაცემულია განაწილების 13 ლიცენზია.

დანართში მოყვანილია 2001 წელს ლიცენზირებული ორგანიზაციების სია. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საანგარიშო წელს სულ მოდიფიცირებულ იქნა 26 ლიცენზია.

დ. ლი ცენზიის პირობებისა და წესების შესრულების კონტროლი

ბუნებრივი გაზის მეურნეობების რეალური მდგომარეობის შესწავლის მიზნით სემეკი საანგარიშო წელს სისტემატურად თვალყურს ადევნებდა ლიცენზიების პირობების და წესების შესრულებას.

მეტად მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა შპს “საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის” ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმებისას, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში გაზსადენებისა და მოწყობილობების უნებართვო მშენებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ბოლო დროს, შპს “საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია”, ახორციელებს გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან ახალი მილსადენებისა და მოწყობილობების მიერთებას სემეკის ნებართვის გარეშე. ეს ეწინააღმდეგება “ენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 3 და 4 პუნქტებს. ასეთი ქმედების შედეგად გაზის გამანაწილებელ კომპანიებს აკლდებათ მომხმარებელი, რაც შესაბამისად იწვევს ტარიფის ზრდას. სემეკმა ორჯერ მიმართა შპს “საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას” (წერილები №27/47, 18.03.2001 წ. და № 27/68, 08.06.2001 წ.), მოთხოვნით შეეწყვიტა ობიექტების მიერთება მაგისტრალურ გაზსადენთან სემეკთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. კომპანიის არაკანონიერი ქმედების გამო, სემეკი რამდენიმეჯერ დადგა უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე, რამაც აიძულა მიეღო სათანადო გადაწყვეტილება.

ასე, მაგალითად – პირდაპირი მომხმარებლის სტატუსი მიენიჭა რუსთავის შპს “ინტერლითონპროდუქტს”, დღის წესრიგში დადგა პირდაპირი მომხმარებლის სტატუსის მინიჭების საკითხი შემდეგი ობიექტებისათვის: ახმეტის შპს “მერქანი”, თერჯოლის შპს “გილა”, წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთის ასფალტის ქარხანა, შპს “თბილავიამშენი” და ა.შ. განსაკუთრებით მწვავედ დადგა შპს “თბილავიამშენისათვის” პირდაპირი მომხმარებლის სტატუსის მინიჭების საკითხი. რადგანაც სს “თბილგაზს” აკლდება მსხვილი მომხმარებელი, ეს გამოიწვევს მოსახლეობის ტარიფის ზრდას. გარდა ამისა, ამ ფაქტმა შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს სს “თბილგაზის” პრივატიზაციაზე.

აღსანიშნავია, რომ შპს “თბილავიამშენმა” ვერ წარუდგინა სემეკს ასეთი ქმედების ვერც ერთი გამამართლებელი საბუთი, ხოლო ქ. თბილისის მერიამ სემეკის შეკითხვას ამ საკითხის შესახებ, თავი აარიდა. ამ საკითხის ირგვლივ ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის მიერ გამოკვლევის ჩატარების შემდეგ, საკითხი განხილული იქნა სემეკის 2001 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე და მიღებული იქნა გადაწყვეტილება №74. გადაწყვეტილების თანახმად შპს “საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას” დაევალა მაგისტრალურ გაზსადენებზე ახალი განშტოების ან მოწყობილობის აშენების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ნებართვა სემეკიდან და შემდგომში გასცეს ტექნიკური პირობები პროექტის შესადგენად. მომავალში გაუგებრობების აცილების მიზნით, კომპანიას ასევე დაევალა წარუდგინოს სემეკს მაგისტრალურ გაზსადენზე არსებული ყველა დასახლებული პუნქტის და პირდაპირი მომხმარებლის გაზგამანაწილებელი სადგურების სრული ნუსხა ლიცენზიის შემდგომი მოდიფიკაციისათვის. რაც შეეხება შპს “თბილავიამშენს”, მან უნდა წარუდგინოს სემეკს და ქ. თბილისის მერიას გაზსადენის დაპროექტებისა და მშენებლობის ნებადართველი და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების დოკუმენტები. აქვე დაფიქსირებულია მოთხოვნა ქ. თბილისის მერიისადმი შეისწავლოს შპს

“თბილავიამშენის” მიერ მაგისტრალური გაზსადენიდან ახლად აშენებული განშტოების სს “თბილგაზის” ბალანსზე გადაცემის შესაძლებლობა.

გარკვეული სამუშაოები განხორციელდა ბუნებრივი გაზის დანაკარგების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. ამის აუცილებლობა განაპირობებულობა იმ გარემოებით, რომ საქართველოში არსებული გაზმომარაგების სისტემები არასაიმედო მდგომარეობაშია (რაც მოითხოვს დიდი მოცულობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას), ხოლო გაზის დანაკარგები მნიშვნელოვნად (მრავალჯერ) გაზრდილია.

როგორც ცნობილია, ბუნებრივი გაზის დანაკარგების სიდიდე შეიძლება განისაზღვრობდეს აბსოლუტურ ციფრებში (კუბურ მეტრებში) და პროცენტებში.

გაზმომარაგების სისტემაში გაზის დანაკარგების აბსოლუტური სიდიდე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე – გაზსადენის სიგრძეზე, გაზის წნევაზე, გაზმარეგულირებელი პუნქტების, ჩამკეტი მოწყობილობების და გაზმომხმარებელი ხელსაწყოების რაოდენობაზე, სისტემის და აღრიცხვიანობის მდგომარეობაზე და ა.შ. ხოლო დანაკარგების სიდიდე პროცენტებში დამოკიდებულია ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებზე და გაზმომარაგების სისტემაში გატარებული გაზის რაოდენობაზე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია მხოლოდ ფაქტიურად რეალიზებული გაზის რაოდენობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაზის დანაკარგების სიდიდე, როგორც წესი, უნდა განისაზღვრობდეს აბსოლუტურ ციფრებში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაზის დანაკარგების სიდიდე შეიძლება დადგინდეს ორი მეთოდით – სტატისტიკური ან გაანგარიშებით.

გაანგარიშების მეთოდის გამოსაყენებლად საჭიროა სპეციალური მეთოდოლოგია. ასეთი ნორმატიული დოკუმენტი საქართველოში ჯერჯერობით არ შემუშავებულია. ზემოთქმულის გათვალისწინებით, დანაკარგების განსაზღვრა სტატისტიკური მეთოდით, დღევანდელ ეტაპზე უფრო მისაღები და გამართლებულია, ვიდრე გაანგარიშების მეთოდი.

სემეკის 2001 წლის 10 აგვისტოს № 72 გადაწყვეტილებით, სს “ქუთაისგაზის“ გაზის მეურნეობაში ბუნებრივი გაზის ტექნიკური დანაკარგებისა და აღრიცხვიანობის მდგომარეობის შესამოწმებლად, შეიქმნა საექსპერტო კომისია შემდეგი შემადგენლობით: - დ. ნამგალაძე (თავმჯდომარე), ი. ხეროდინაშვილი (სემეკი), შ. მესტვირიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), ო. ჩომახაშვილი (სს“საქგაზი“), თ. არშილავა (სს“თბილგაზი“), ო. გიორგობიანი (ქ. თბილისის მერია), ბ. ჭყონია (PA consulting).

საექსპერტო კომისიის წევრებმა ადგილზე შეამოწმეს აღნიშნული საკითხები და დაწერეს ინდივიდუალური დასკვნები, რომლის საფუძველზეც კომისიამ დაადგინა, რომ:

1. სს “ქუთაისგაზის“ აღრიცხვიანობის სისტემა შესრულებულია თანამედროვე კომპიუტერულ დონეზე და მასზე დაყრდნობილი მონაცემები დამაჯერებელია;

2. სს “ქუთაისიგაზის“ მონაცემები ბუნებრივი გაზის დანაკარგების შესახებ არ შეიძლება გავრცელდეს გაზის სხვა მეურნეობებზე და ყველა კონკრეტული გაზის მეურნეობისათვის ტექნიკური დანაკარგები უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად.
- ქ. ქუთაისის გაზის მეურნეობაში დანაკარგების დადგენის საკითხი განხილული იქნება შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ 1999 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილებით დამტკიცებულ “ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესებსა და მეთოდოლოგიაში“.

ე. პრივატიზაცია

2001 წელს გაგრძელდა სს “თბილგაზის” პრივატიზაციის პროცესი. 2000 წელს, როგორც ცნობილია, სს “თბილგაზის” შეძენაზე სხვადასხვა მიზეზების გამო უარი თქვეს „AES-თელასსმა“, იტალიურმა ფირმა “AGAZ”-მა და სს „საქგაზმა“.

სს “თბილგაზის” პრივატიზაციის პროცესის შემდეგი ეტაპი დაიწყო “PA Consulting Group”-ის მოხსენებით პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე 2001 წლის 8 თებერვალს. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით “PA Consulting Group”-მა სათბობ-ენერგეტიკისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებთან, ქ. თბილისის მერიასთან და სს “თბილგაზის” სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენდა სს “თბილგაზში” კომერციული გაჯანსაღების პროგრამის წამოწყება. ურთიერთ-შეთანხმებული ღონისძიებების ნუსხა მოიცავდა შემდეგ სფეროებს: აღრიცხვა, დარიცხვა და ამოღება; ფინანსური მენეჯმენტი; ეს მოიცავს საბუღალტრო რეფორმას, შიგა კონტროლის განმტკიცებასა და თანხების მიმოქცევის სათანადო მენეჯმენტს; სს “თბილგაზის” კორპორატიული რეორგანიზაცია; ქსელის გარკვეული ნაწილის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ყოველივე ეს კი შექმნიდა წარმოდგენას მთელი სისტემისათვის საჭირო ინვესტიციების მოცულობაზე. სს “თბილგაზის” პრივატიზაციის აუცილებლობას განაპირობებდა ორი მთავარი ფაქტორი: პირველ რიგში, არსებობდა კომპანიის წარმატებულობის მკვეთრი გაუმჯობესების მტკივნეული აუცილებლობა, რაც განსაკუთრებით მწვავედობდა არსებული ენერგოკრიზისის ფონზე. მეორე - ამოსავალი წერტილი მაინც სს “თბილგაზის” 2001 წელს პრივატიზაციის შანსების გაუმჯობესება იყო. 2001 წლის ბოლოს უკვე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ “PA Consulting Group”-ის მცდელობამ ჯერ-ჯერობით მიზანს ვერ მიაღწია.

ამის შემდეგ პრესაში გამოქვეყნდა სს “თბილგაზის” აქციათა პაკეტის პრივატიზაციის პირობები, რომლებიც დამტკიცებული იყო ქ.თბილისის მთავრობის 2001 წლის 14 ივნისის №1901 დადგენილებით. განაცხადის მიღების ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2001 წლის 27 აგვისტო. ტენდერში განაცხადი შეიტანა სპეციალურად შექმნილმა საერთაშორისო კონსორციუმმა.

კონსორციუმის შემადგენლობაში შედიოდნენ:

1. "Tahal Group"-ი – ისრაელის მსხვილი საინჟინრო და საკონსულტაციო ფირმა, რომელიც შესულია მსოფლიოს 100 საუკეთესო ანალოგიური ფირმების სიაში. კომპანია ჩამოყალიბდა როგორც ისრაელში წყლის მომარაგების სისტემის განვითარების ჯგუფი. ათეული წლების განმავლობაში იგი აღიარებულ იქნა საერთაშორისო მსხვილ კონცერნად, სპეციალიზებულია მრავალ დარგში, მათ შორის მენეჯმენტსა და ეკონომიკაში. "Tahal Group"-ის მიერ განხორციელებული პროექტების საშუალო წლიური ღირებულება 600 მილიონ დოლარს შეადგენს.

2. "Nicor Gas"-ი დაარსდა აშშ-ში, ილინოისში 1954 წელს. იგი ემსახურება დაახლოებით 2 მილიონ მომხმარებელს. გარდა ბუნებრივი გაზის განაწილებისა, "Nicor Gas"-ი ასევე ახდენს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებასა და შენახვას. 2001 წლის 31 მარტის მდგომარეობით, "Nicor Gas"-ის წლიური საოპერაციო შემოსავალი შეადგენს 3112 მილიონ დოლარს.

3. "Epstein and Sons International, Inc"-ი დაარსებულია 1921 წელს. წარმოადგენს აშშ-ში ერთერთ უმსხვილეს არქიტექტურულ, სამშენებლო და საინჟინრო კომპანიას. ამჟამინდელი პროექტების ღირებულება ერთ მილიარდ დოლარს აჭარბებს. კომპანიას გააჩნია ფილიალები იაპონიაში, ისრაელში და პოლონეთში.

შემდგომში კონსორციუმი დაიშალა და სატენდერო განაცხადი შემოიტანა კომპანია "Tahal Group"-მა.

ქ. თბილისის მერიამ 2001 წლის 3 სექტემბრის №4-26/337 წერილით, სემეკს გამოუგზავნა "PA Consulting Group"-ის მიერ მომზადებული ხელშეკრულების პროექტი სს "თბილგაზის" აქციების შესყიდვის შესახებ. სემეკმა, ინტენსიური მუშაობის შემდეგ, თავისი მოსაზრებები და შენიშვნები ამ ხელშეკრულების შესახებ ორჯერ აცნობა ქ.თბილისის მერიას. ჯერ, 2001 წლის 13 სექტემბრის №1/104-1594-1814 და შემდეგ 2001 წლის 18 სექტემბრის №1/105-1844 წერილებით. სავარაუდოა, რომ საკითხი დასრულდება 2002 წლის პირველ ნახევარში.

გარდა სს "თბილგაზის" პრივატიზაციისა, 2001 წელს განხორციელდა გაზის ორი მეურნეობის პრივატიზაცია: სს "საქგაზმა" შეიძინა სს "სამტრედიაგაზის" და სს "ვანიგაზის" აქციათა სრული პაკეტი. შესაბამისად დაარსდა შპს "სამტრედიაგაზი" და შპს "ვანიგაზი".

ვ. სხვა ფუნქციითა განხორციელება

საანგარიშო წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი დავების დარეგულირებაში. მათ შორის აღსანიშნავია:

1. დავა სს "საქგაზსა" და სს "თბილგაზს" შორის. უთანხმოება მათ შორის წარმოიშვა საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის გაზრდასთან დაკავშირებით. ბუნებრივი გაზის შესასყიდი ფასი ყოველ 1000 მ³-ზე ნაცვლად 160 ლარისა გახდა 170 ლარი, რასაც სს „თბილგაზი“ არ ეთანხმება და ითხოვს გაზის

ძველ ფასში მიწოდებას, როგორც ეს ძირითად ხელშეკრულებაში იყო აღნიშნული. ვინაიდან სემეკმა მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა და შეხვედრებისა, ვერ მოახერხა მედიატორის როლის შესრულება, მან რეკომენდაცია გაუწია სს “საქგაზსა” და სს”თბილგაზს” გააგრძელონ დავის გადაწყვეტა მოლაპარაკების საფუძველზე.

2. დავა სს “ამალთეასა” და სს “თბილგაზს” შორის. დავა ეხებოდა გაზის საფასურის დარიცხვას შემასწორებელი კოეფიციენტის (გაზის წნევისა და ტემპერატურის მიხედვით) გათვალისწინებით, რასაც სს ”ამალთეა” არ ეთანხმებოდა. სათანადო განმარტების შედეგად დავის საგანი მოიხსნა.

3. დავა შპს “გაზენერგოსა” და შპს “ალს” შორის. დავის საგანი იყო გამანაწილებელი ქსელის გეოგრაფიული არეალი. კერძოდ ის, თუ ვის მფლობელობაში იყო სოფელ ფონიჭალის გამანაწილებელი ქსელი. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ საკითხი გაირკვა და შპს “გაზენერგოზე” გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილებისა და მიწოდების ლიცენზიები.

4. დავა სს “გორიგაზსა” და შპს “აირს” შორის. კონცენტრატების ქარხანა “მეგობრობა”, რომელიც შედის სს “გორიგაზის” ლიცენზირების გეოგრაფიულ არალში, მისი გაზსადენით უშუალოდ შეიჭრა შპს “აირის” გამანაწილებელ ქსელში, იმ მიზეზით რომ სს “გორიგაზი” ვერ უზრუნველყოფდა ქარხანას საჭირო წნევით და ხშირად თიშავდა გაზს, რის შედეგადაც ქარხანა განიცდიდა დიდ ზარალს. საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, მაგრამ გადაიღო იმის გამო, რომ სხდომას არ ესწრებოდა სს “გორიგაზის” წარმომადგენელი. ამ ეტაპზე მხარეებს მიეცათ რეკომენდაცია გააგრძელონ მოლაპარაკება.

აღსანიშნავია, რომ 2001 წელს ბუნებრივი გაზის სექტორში შეუსრულებელი და გადაუწყვეტი დარჩა მთელი რიგი საკითხები:

1. ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის ინიციატივით დაიწყო მოსახლეობასთან ხელშეკრულების მაკეტის შემუშავება. აღნიშნული ხელშეკრულების პროექტი შემუშავდა “PA Consulting”-ის მიერ და ჯერ-ჯერობით მიღებული არ არის.
2. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელში დანაკარგების გაანგარიშების და ღირებულების ანაზღაურების მეთოდოლოგია შემუშავების პროცესშია.
3. განხილვას და გადაწყვეტას მოითხოვს ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასის შესაძლო ზრდასთან დაკავშირებით სამომხმარებლო ტარიფის ცვლილების ვადები.
4. შემუშავებულია დოკუმენტი “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის” შესახებ საქართველოს კანონში და სხვა ნორმატულ დოკუმენტებში ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის ყველა შესაძლო ვარიანტის განმარტების სრულყოფის მიზნით. ეს დოკუმენტი განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს.
5. წარდგენილია წინადადებები “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც სრულად არ განხორციელებულა.
6. თბილისში 2001-2002წწ. ზამთრის პერიოდში მრავალჯერ დაფიქსირდა მოწამვლის შემთხვევები (სიკვდილიანობის 25 შემთხვევა) მოსახლეობაში გაზის

გამათბობელი “ნიკალას” ტიპის ხელსაწყოების გამოყენებისას. ეს განპირობებულია მრავალი დარღვევით პროექტირებაში, მშენებლობაში და ექსპლუატაციაში, ნორმატიული დოკუმენტების შეუსრულებლობის გამო. მიზანშეწონილია სს”თბილგაზის” ინფორმაციის მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება სამინისტროს მიერ.

7. საანგარიშო წელს, ობიექტური მიზეზების გამო, არ შესრულებულა რიგი რეკომენდაციები, სასურველია ისინი შესრულდნენ 2002 წელს:

- ა) ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და განაწილების სისტემაში გაზის დანაკარგების ტექნიკური ნორმების გაანგარიშების მეთოდის შემუშავება;
- ბ) ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიატებთან ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;
- გ) ლიცენზიატების ზედამხედველობის მეთოდიკა და მისი შესრულების მექანიზმის შემუშავება;
- დ) განაწილების ლიცენზიატებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ფასიან მომსახურებას მოსახლეობისათვის, პრეისკურანტის შემუშავება:
 - საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაცია, გაზის აპარატურის (გაზის ქურა, წყალგამაცხელებელი და გამათბობელი ხელსაწყოები) დაყენებით, გამართვითა და რემონტით;
 - გაზის მრიცხველის დაყენება, დამოწმება და რემონტი.
- ე) ტრანსპორტირების და განაწილების ლიცენზიატების ობიექტების ტექნიკური უსაფრთხოების შეფასების სტანდარტული ფორმის (მაკეტის) შემუშავება;
- ვ) ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის ყველა თანამშრომლის რეგულირების საკითხებში ტრენინგი;
- ზ) დეპარტამენტის თანამშრომელთა მივლინება სხვა მოწინავე ქვეყნებში გამოცდილების შესასწავლად.

ენერჯე ტიკაში სერ ტი ფიკაციის სამუშაოთა ო რ განიხება და კოორ დინაცია

„პროდუქციისა და მომსახურების შესახებ“ და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონებით საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა ელექტროენერჯეტიკაში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია. პირველ ეტაპზე, სამუშაო მოიცავდა ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სერტიფიკაციის საკითხების შესაბამის კანონმდებლობაში ასახვის შესწავლას და პრაქტიკული რეალიზაციის მდგომარეობის შეფასებას, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობაში და „საქართველოს მეტროლოგიის, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის“, როგორც აღნიშნულ სფეროში ეროვნულ ორგანოს, სახელმძღვანელო დოკუმენტებში

სერტიფიკაციის საკითხების გათვალისწინების მდგომარეობის ანალიზს. შესწავლამ აჩვენა, რომ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სავალდებულო და ნებაყოფლობით სერტიფიკაცია ჩანასახის მდგომარეობაშია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში; ელექტრო-ენერგეტიკაში სერტიფიკაციის დანერგვის საქმეში გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული რუსეთის ფედერაციაში და ყირგიზეთში. თუმცა იგი არ არის ბოლომდე დამუშავებული და დანერგილი. შემეკში ასევე ჩატარდა ანალიზი და განისაზღვრა იმ ნორმატიულ დოკუმენტთა ნუსხა, რომლებიც აუცილებელია სერტიფიკაციის დასაწერად ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში.

საანგარიშო წელს გაგრძელდა წინა წლებში დაწყებული სამუშაოები: კერძოდ, შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და გაანალიზების შემდეგ დამუშავდა სერტიფიკაციის ცენტრალური ორგანოს დებულება და „საქსტანდარტთან“ შეთანხმებით, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში სერტიფიკაციის ერთიანი პოლიტიკის გატარების, სამუშაოთა ორგანიზების და კოორდინაციის მიზნით, „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სემეკის 2001 წლის 6 მარტის №2 დადგენილებით შეიქმნა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სერტიფიკაციის ცენტრალური ორგანო. დამტკიცდა მისი დებულება, შეთანხმდა „საქსტანდარტთან“ და გატარდა რეგისტრაციაში იუსტიციის სამინისტროში.

ასევე „საქსტანდარტთან“ შეთანხმებით დამუშავდა სერტიფიკაციის დარგობრივი სისტემის „ენერგეტიკის“ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნორმატიული დოკუმენტების პროექტები:

1. სერტიფიკაციის სისტემა „ენერგეტიკა“ დებულება;
2. სერტიფიკაციის სისტემა „ენერგეტიკა“ პროდუქციის იდენტიფიკაციის წესი;
3. სერტიფიკაციის სისტემა „ენერგეტიკა“ პროდუქციის სერტიფიკაციის ჩატარების წესი;
4. სერტიფიკაციის სისტემა „ენერგეტიკა“ მომსახურების ჩატარების წესი;
5. სერტიფიკაციის სისტემის „ენერგეტიკა“ საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისობის სერტიფიკატების აღიარება;
6. სერტიფიკაციის სისტემა „ენერგეტიკა“ შესაბამისობის ნიშანი - დებულება;
7. სერტიფიკაციის სისტემის „ენერგეტიკა“ რეესტრის წარმოების წესი.

აღნიშნული დოკუმენტები შესათანხმებლად გადაეცა სერტიფიკაციის ეროვნულ ორგანოს - „საქსტანდარტს“.

მომზადდა და „საქსტანდარტს“ განსახილველად წარედგინა შეთანხმების პროექტი სემეკსა და „საქსტანდარტს“ შორის ურთიერთობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში გადამუშავდა და დაზუსტდა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის და მომსახურების ნუსხა; განისაზღვრა სერტიფიკაციის სისტემის

„ენერგეტიკა“ ფუნქციონირებისათვის საჭირო ექსპერტთა სპეციალიზაციის ჩამონათვალი.

აღნიშნული სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში სერტიფიკაციის სისტემის „ენერგეტიკა“ ფუნქციონირებისათვის საჭირო ეროვნული სტანდარტებით და დარგობრივი ინსტრუქციებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა.

საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

ა) საზოგადოებასთან ურთიერთობა

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში 2001 წლის 1 ივნისიდან ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომლის საჯარო პრეზენტაცია 14 ივნისს შედგა. პრეზენტაციაზე საჯაროდ გაცხადდა, რომ „... ალბათ დადგა დრო, რომ საზოგადოებამ, თავისთავად სასარგებლოდ შეიტანოს წვლილი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში, საზოგადოება უნდა იყოს იმდენად მომწიფებული, რომ მოითხოვოს და მიიღოს კიდევ ის, რაც მას ეკუთვნის. ამ მოთხოვნებს ლობირება სჭირდება შესაბამის ინსტანციებში. ჩვენი დეპარტამენტი მზად არის, ნებისმიერს დაეხმაროს. ჩვენი მეთოდი უნდა იყოს პროაქტიული და არა რეაქტიული“.

□ დეპარტამენტის შექმნის წინაპირობა და მოკლე ისტორია

სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტის შექმნის ინიციატივა თავად სემეკს ეკუთვნის და მისი იდეა მნიშვნელოვნად სცდება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციებს და გაცილებით გლობალურ მასშტაბებს იღებს, რაც გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ჩართვასაც მოითხოვს. თუმცა, დღიდან ჩამოყალიბებისა, სემეკში არსებობდა მასმედიასთან ურთიერთობის სამსახური, რომელსაც მცირე შეხება ჰქონდა საზოგადოებასთან – ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებელთან. აქედან გამომდინარე, მომხმარებელთან ურთიერთობა ძირითადად უხდებოდათ სემეკის თავმჯდომარეს და კომისიის წევრებს. თანდათანობით ნათელი გახდა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ამგვარი ფორმა არც ერთი მხარის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, რომ მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად სემეკში უნდა შექმნილიყო საზოგადოებასთან ურთიერთობის განსაკუთრებული ტიპის სამსახური. დეპარტამენტის ჩამოყალიბებამდე ორი თვით ადრე კომისიაში შეიქმნა ე.წ. სატელეფონო „ცხელი ხაზი“, რომელზეც ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლო ენერგეტიკასთან დაკავშირებული საკუთარი პრობლემის თაობაზე მიემართა სემეკისთვის. კომისიისთვის ეს იყო საზოგადოებასთან გაცილებით მჭიდრო ურთიერთობისკენ გადადგმული პირველი თამამი ნაბიჯი. მან საზოგადოებას „ცხელი ხაზით“ გარკვეული პრობლემების მოგვარება აღუთქვა. ასევე,

სემეკმა, რომელმაც გადაწყვიტა უფრო გამჭვირვალე გაეხადა თავისი საქმიანობა, „ეი-ი-ეს თელასთან“ მრავალთვიანი დადასტურებული კონსულტაციების შემდეგ, 2001 წლის 1 მაისს მოაწყო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის პროექტის – „ეი-ი-ეს თელასსა“ და მისი ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდების, მომსახურების და მოხმარების პირობების პირველი საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ „ეი-ი-ეს თელასის“, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის, სათბობ-ენერჯეტიკის სამინისტროს, ქ. თბილისის საკრებულოს და მერიის, USAID-ის, PA Consulting-ის და თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პარალელურად, სემეკმა არაერთი კონსულტაცია გაიარა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პარლამენტის გარკვეულ წრეებთან, ასევე თავის პარტნიორ, აშშ-ს მიჩიგანის შტატის მარეგულირებელ კომისიასთან და მივიდა დასკვნამდე, რომ ფართო საზოგადოებასთან კავშირის დასამყარებლად საჭირო იყო სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტის ჩამოყალიბება, რადგან ენერჯეტიკის რეგულირება მოქალაქეთა უფლებების დაცვასთანაც არის დაკავშირებული. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არ ჩნდებოდა პრეტენზია, რომ ახალი დეპარტამენტით კომისია მოქალაქეთა კონსტიტუციით მინიჭებულ ყველა უფლებას დაიცავდა, არამედ ყურადღებას გაამახვილებდა მხოლოდ იმ სატკივარზე, რომელიც ელექტროენერჯითა და ბუნებრივი გაზით მომარაგებას ეხება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამოქალაქო უფლებების დაცვა არ ნიშნავს ნებისმიერი მოქალაქის სურვილის და ამბიციის დაკმაყოფილებას, არამედ მომხმარებელსა და ენერგომწარმოებელს შორის ინტერესების დაბალანსებას, რათა მწარმოებლის პროდუქცია – ელექტროენერჯია და ბუნებრივი აირი მაქსიმალურად ეფექტურად იქნას გამოყენებული.

სემეკი თვლის, რომ დარგის ტკივილი უნდა გაიზიაროს ყველა მომხმარებელმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დიდხანს ვერ მოახერხებს რეაბილიტაციას და შემდგომ განვითარებას, რაც პირველ რიგში, ისევ მოქალაქეებს დააწვება მძიმე ტვირთად. ამ მიმართულებითაც სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტს უნდა ემუშავა.

გარდა ამისა, სემეკს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აქვს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროშიც, რომლებიც, სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისთვის არ იყო ცნობილი; სწორედ სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტის მეშვეობით სემეკის ყველა ქმედება – გადაწყვეტილების თუ დადგენილების მიღება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდარიყო. მაშინ სემეკი აღარ აღმოჩნდებოდა იზოლაციაში და ვერც ვერავინ დასწამებდა, რომ მხოლოდ ენერგომწარმოებელთა ინტერესებს იცავდა – ესეც ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა ყოფილიყო დეპარტამენტისთვის.

საზოგადოებას, ცალკეულ პიროვნებებს კომისიისგან სურთ მიიღონ ზუსტი პასუხები დარგში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, უფრო ვრცლად, ვიდრე ეს ხდება პრესაში ან ტელევიზიით. მათ ამაშიც სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი უნდა დახმარებოდა.

დეპარტამენტისგან კომისიამ უნდა მიიღოს გარკვეული „დაკვეთები“ და ეს არც იქნება გასაკვირი, რადგან სწორედ მას ექნება მჭიდრო ურთიერთობა საზოგადოებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან; უფრო ზუსტად, ამ დეპარტამენტის მეშვეობით კომისიამ უნდა მიიღოს ინფორმაცია, თუ რომელ მხარეს უნდა მოახდინოს სწრაფი და კანონიერი რეაგირება.. ზედმეტ დაპირებებს ადგილი არც შეიძლება ჰქონდეს, რადგან სემეკი ჩარჩო კანონის ფარგლებში მოქმედებს და ამ კანონის გადახვევის უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემს.

და რაც მთავარია, სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც სემეკში შევა, ისეთივე არაპოლიტიკური იქნება, როგორც თვითონ სემეკი.

რადგან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ასეთი სახის დეპარტამენტის შექმნისა, საზოგადოებისთან ურთიერთობისთვის სემეკს ახალი სახის წარმოჩენა დასჭირდა – იგულისხმება სემეკისთვის ახალი სახე. სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან (სადაც მარეგულირებელი კომისიები უკვე დიდხანია არსებობს) და ასევე, სამოქალაქო უფლებების დაცვის სამსახურების დანიშნულებიდან გამომდინარე, სემეკს სურდა შეერჩია ისეთი პიროვნება, რომელიც ნაკლებად იყო ცნობილი ენერგეტიკოსებს შორის, და გააჩნდა ისეთი თვისებები და მიდგომა, რომელიც ენერგეტიკოსებს არ ახასიათებთ; ამავე დროს, ამ პიროვნებას არ უნდა ჰქონოდა მოვალეობა არც ენერგომწარმოებლების, არც სამთავრობო ორგანიზაციების წინაშე და არ უნდა ყოფილიყო ასეთ სტრუქტურებში ნამუშევარი. თუმცა, ამავედროულად, მას უნდა ჰქონოდა გარკვეული გამოცდილება ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში. ასეთი თანხმობა სემეკმა მიიღო ირაკლი კაკაბაძისაგან, რომელიც საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, როგორც მწერალი და პოეტი. გარდა ამისა, ირაკლი კაკაბაძე წლების განმავლობაში მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, „ეროვნული მშვიდობის ფონდში“ და დამთავრებული აქვს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის მაგისტრატურა მომრიგებელი მოსამართლის პროფესიით. აქვე გასათვალისწინებელია სემეკის არსიც, მას მედიატორული და მომრიგებლური ფუნქციებიც აკისრია. კომისიისთვის მთავარია, ორივე მხარისთვის, კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა, რაც საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს.

□ სემეკის სამოქალაქო უფლებების და ცვის დეპარტამენტი ოთხი ახალი თანამშრომელისგან დაკომპლექტდება:

ირაკლი კაკაბაძე – დეპარტამენტის დირექტორი;

პოეტი, მწერალი. 20-მდე გამოცემის ავტორი, ჟურნალ „დრო მშვიდობისა“-ს რედაქტორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. აშშ-ში დაამთავრა ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის მაგისტრატურა მომრიგებელი მოსამართლის პროფესიით. რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა აშშ-ს „ეროვნული მშვიდობის ფონდში“.

პაა ტა ვარდოსანიძე – აღმასრულებელი მდივანი;

დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ჯერ კიდევ 12 წლის წინ, ირაკლი კაკაბაძესთან ერთად, პატიმართა უფლებების დაცვის საკითხებზე მუშაობდა. 1993-94 წლებში, ადამიანის უფლებათა დაცვის განხრით გაიარა ექვსთვიანი კურსი პოლონეთში, ქალაქ ლოდის უნივერსიტეტში.

ნინო ჩ ლ აიძე – საზოგადოებასთან ურთიერთობის აღმასრულებელი მდივანი;

დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. შემდგომ სწავლა გაარგრძელა ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტში უახლესი ისტორიის ფაკულტეტზე. ბერლინში სწავლის პერიოდში თანამშრომლობდა სტუდენტთა ინტერესების დაცვის ორგანიზაციასთან, იყო უცხოელ სტუდენტთა ინტერესების დაცვის კოორდინატორი.

თამარ ნოსელიძე – მასმედიასთან ურთიერთობის აღმასრულებელი მდივანი; ჟურნალისტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა ლიტერატურულ გაზეთებსა და ჟურნალებში, შემდგომ დამოუკიდებელ სააგენტო „იბერიასა“ და ტელეკომპანია „იბერიაში“ პროგრამების მთავარ რედაქტორად, საქტელერადიოკორპორაციის „რ არხზე“ სტუდია „ახალი კოლეგ-TV“-ის მთავარ რედაქტორად.

ნარგიზა ლ ომ თაძე – ჟურნალისტი.

თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში. ავტორი ხსოვნის წიგნისა „უკვდავება“. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის პერიოდის ამსახველი მასალების ფართოდ, ოპერატიულად და მაღალ პროფესიულ დონეზე გამუქებისათვის, ხსოვნის წიგნის „უკვდავების“ გამოცემის საქმეში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვეს ღირსების მედლით.

2001 წლის სექტემბრიდან ირაკლი კაკაბაძე გადაყვანილ იქნა სემეკის მრჩეველად სამოქალაქო უფლებათა დაცვის სფეროში. აღნიშნული ცვლილების შემდგომ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პაატა ვარდოსანიძე.

სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკა, მიზნები და მოვალეობები:

- საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების ცნობიერების გაზრდისა და გაღრმავების ხელშეწყობა;
- საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის ხელშეწყობა სხვადასხვა საგანმანათლებლო, საპროტესტო, მოლაპარაკებითი და კულტურული სტრატეგიების საშუალებით;
- სათემო და პროფესიულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საზოგადოების წინაშე მდგარი, ენერგეტიკისა და მასთან დაკავშირებული სხვა და სხვა სოციალური პრობლემების მოგვარების მცდელობა;

- მომხმარებლისათვის და შესაბამისად, მთელი მოსახლეობისათვის ენერგეტიკის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ მართალი ინფორმაციის მიწოდება და შემდეგ ამ სფეროში არსებული პრობლემების კონსტრუქციულად გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა მიღება;
- პრესის თუ სატელევიზიო გადაცემების ყოველდღიური მიმოხილვა და ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში მათზე რეაგირება; ენერგეტიკაში არსებული პრობლემების, კომისიისა და დეპარტამენტის საქმიანობის გაშუქება პრესაში და ტელევიზიით;
- საზოგადოებასა და ენერგეტიკის სხვადასხვა დარგისა თუ უწყების წარმომადგენლებს შორის დიალოგების მოწყობა და ამით, არსებული პრობლემების კონსტრუქციულად მოგვარებაში წვლილის შეტანა;
- კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტების, აგრეთვე, კომისიის სხდომების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობის მიღება;
- კომისიაში შემოსული იმ სადავო საკითხების განხილვაში მონაწილეობა, რომელიც მომხმარებელსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის წარმოიშვება. ამის თაობაზე წინადადებების მომზადება და კომისიისათვის წარდგენა.

□ დეპარტამენტმა მუშაობა რამ დენიმე მიმართ თუ ლეებით განაგრძობს :

„ცხელი ხაზი“

დღიდან დეპარტამენტის ამოქმედებისა, სატელეფონო „ცხელი ხაზი“ (ტელ: 25 29 82) მის დაქვემდებარებაში გადმოვიდა. ყოველდღიურად „ცხელი ხაზის“ მეშვეობით მრავალი ადამიანი, ძირითადად თბილისის მოსახლეობა, უკავშირდება დეპარტამენტს და მისგან საკუთარი პრობლემის მოგვარებას ითხოვს. ასევე, „ცხელი ხაზის“ საშუალებით მომხმარებელი იღებს მისთვის საინტერესო ინფორმაციას ენერგეტიკის დარგში.

„ცხელი ხაზით“ შვიდი თვის მანძილზე (2001 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრამდე) დეპარტამენტში შემოვიდა 720 სატელეფონო განცხადება და ათასობით შეკითხვა. დეპარტამენტის თანამშრომლები ცდილობენ, არც ერთი სატელეფონო განცხადება თუ შეკითხვა არ დატოვონ რეაგირების გარეშე და შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად დაეხმარონ მოქალაქეებს პრობლემების მოგვარებაში.

სატელეფონო განცხადებების დიდი ნაწილი შეეხება მოხმარებლის ურთიერთობას „ეი-ი-ეს თელასთან“ და „თბილგაზთან“. პრობლემის მოსაგვარებლად დეპარტამენტი უკავშირდება გამანაწილებელი კომპანიების იმ სამსახურებს, რომლებთანაც მომხმარებელს პრეტენზია გააჩნია. დეპარტამენტი ცდილობს სამართლიანობის ფარგლებში დაიცვას მომხმარებლის ინტერესები. პრობლემის მოგვარების შემდეგ, პასუხის შეტყობინების მიზნით, დეპარტამენტი თავად უკავშირდება მოქალაქეს.

დეპარტამენტი დამოუკიდებელია, მაგრამ ამავე დროს, მას მჭიდრო კავშირი აქვს სემეკის სხვა პროფესიულ დეპარტამენტებთან, განსაკუთრებით იურიდიულთან; რადგან ბევრ განცხადებაში დასმულია საკითხი ენერგომწარმოებელთა მხრიდან კანონის დარღვევაზე, რაზედაც იურიდიული კონსულტაციის სახით განმარტებების მიცემაა აუცილებელი.


მოქალაქეთა მიღება

ყოველ სამუშაო დღეს, გარდა ხუთშაბათისა, დეპარტამენტში წარმოებს მოქალაქეთა მიღება. ნებისმიერ მოქალაქეს დაუბრკოლებლად შეუძლია შემოიტანოს განცხადება ან სიტყვიერად გადასცეს თავისი სატკივარი დეპარტამენტის თანამშრომლებს. პრობლემის მოგვარება, ხშირ შემთხვევაში, მოქალაქის თანდასწრებით იწყება, ხდება მისი გარკვევა სიტუაციაში, შესაბამისი რჩევების მიცემა. თუ პრობლემა რთულად გადასაჭრელია, დეპარტამენტი მოქალაქის გარეშე განაგრძობს მის მოგვარებას. სადაო საკითხის გადაჭრის ან კომპრომისის გამონახვის შემთხვევაში, დეპარტამენტი მოქალაქეს დაუყოვნებლივ აცნობებს პასუხს სიტყვიერად ან მისი სურვილის შემთხვევაში, წერილობით.

დღიდან დაარსებისა წლის ბოლომდე, დეპარტამენტში შემოვიდა 179 განცხადება, მათ შორის კოლექტიური განცხადებებიც, როგორც დედაქალაქიდან, ასევე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. დეპარტამენტის თანამშრომლების მცდელობით, შესაძლებელი გახდა განცხადებებში აღნიშნული სადაო საკითხების დიდი ნაწილის მოგვარება.

სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტს მოქალაქეთა განცხადებები ეგზავნებათ, ასევე, სახელმწიფო კანცელარიიდან, საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებათა დაცვის მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტიდან, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტიდან, მაჟორიტარი დეპუტატების ფრაქციიდან, ქ. თბილისის საკრებულოს ენერგოკრიზისის შემსწავლელი საგანგებო დროებითი კომისიიდან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სასახურიდან და სხვა.

სემეკში 2001 წელს მოქალაქეთაგან შემოსული განცხადებების ანალიზი სქემატურად შესაძლებელია ასე გადმოიცივს:



ქვემოთმოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია, თუ ძირითადად რა თემებზე შემოდის მოქალაქეთა განცხადებები. განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა თვლის, რომ მათ მიმართ რიცხული ძველი დავალიანებები „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ არასწორად არის დაანგარიშებული. ასევე, თავიანთ განცხადებებში მოქალაქეები ითხოვენ ფიქსირებული წესით (ოთახების რაოდენობის მიხედვით დარიცხვა) დარიცხული ძველი დავალიანებების ახალი მრიცხველზე დაფიქსირებული საშუალო თვიური ხარჯის მიხედვით გადაანგარიშებას, რადგან მიაჩნიათ, რომ სწორედ ახალი მრიცხველი ასახავს მათ რეალურ მოხმარებას. 2001 წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან მოქალაქეების შეშფოთების მიზეზს ელექტროენერგის ჯგუფური გამორთვები წარმოადგენს. ამ ხასიათის განცხადებები ძირითადად კოლექტიურია. მომხმარებელთა ნაწილი თვლის, რომ მათ მიმართ „ეი-ი-ეს თელასის“ ბრალდება ელექტროენერგის დატაცებისა და მრიცხველების გაყალბების შესახებ უსაფუძვლოა და შანტაჟის ხასიათს ატარებს.

მოქალაქეთა ნაწილი ელექტროენერჯისა ან ბუნებრივი გაზის მიწოდების უსამართლოდ შეწყვეტას უჩივის.

#	შემოსული განცხადებების თემა	სულ	მათ შორის	
			„ცხელი ხაზი“	წერილობითი
1	2	3	4	5
1.	ძველი დავალიანებების არასწორად დაანგარიშება	285	221	64
2.	მრიცხველის ჩვენების სისწორე	72	67	5
3.	უსამართლო გამორთვები (ელექტროენერჯია, ბუნებრივი გაზი)	136	119	17
4.	მრიცხველის გაყვლების ბრალდება	72	61	11
5.	ჯგუფური გამორთვები	57	52	5
6.	ძველი ვალების გადაანგარიშება	185	126	59
7.	ელექტროენერჯის დატაცების ბრალდება არალეგალური ხაზებით	56	50	6
8.	სხვა	36	24	12

„ღია კარის დღე“

ყოველ ხუთშაბათს სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი ატარებს „ღია კარის დღეს“, სადაც არსებული პრობლემების კონსტრუქციულად მოგვარების მიზნით საზოგადოებისა და ენერგეტიკის სხვადასხვა დარგისა თუ უწყების წარმომადგენლებს შორის ეწყობა დიალოგი. სემეკში, ჯერ-ჯერობით, მხოლოდ სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტს აქვს უფლება, დამოუკიდებლად ჩაატაროს განხილვები ან პრესკონფერენციები.

„ღია კარის დღე“ შესაძლოა მიემდინას ერთ ან რამდენიმე პრობლემას, რომელთა შერჩევა მოქალაქეთა განცხადებებში დასმული სადაო საკითხების განზოგადებით ხდება. ასევე, „ღია კარის დღეზე“ განიხილება ენერგეტიკის დარგში არსებული ის პრობლემები, რომელებიც საზოგადოების დიდ ნაწილს აწუხებს. განსახილველ საკითხებს დეპარტამენტი წინასწარ ამუშავებს.

„ღია კარის დღეზე“ დეპარტამენტი იწვევს განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა უწყების წარმომადგენელს, სპეციალისტებს, მასმედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოსახლეობის წარმომადგენლებს – დეპარტამენტის კარი ყველასთვის ღიაა. საჯარო მოსმენებზე დეპარტამენტს ფასილიტატორის, ანუ გარკვეულ წილად, ხელშემწყობის, დიალოგის წარმმართველის როლი აკისრია; შეკითხვებზე კონკრეტულ პასუხებს იძლევიან სპეციალისტები – ეკონომისტები, იურისტები, ელექტროენერგეტიკოსები, ბუნებრივი გაზის სპეციალისტები; ნებისმიერ შეხვედრაზე თუ მოსმენაზე, ფასილიტაციის გარდა, დეპარტამენტი მოქალაქეთა უფლებების დაცვის საკითხებით უნდა წარსდგეს. მას საჯაროდ გამოაქვს ის ტკივილი, რომელიც საზოგადოებას გააჩნია და იგი ადრესატამდე მიაქვს.

ნებისმიერ საჯარო განხილვაზე დეპარტამენტის ინტერესს, საქართველოში სამოქალაქო უფლებების დაცვის წინა პლანზე წამოწევა წარმოადგენს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ენერგეტიკას ეხება, თუმცა, შესაძლებელია, სხვა მწვავე სოციალურ საკითხებსაც შეეხოს. დეპარტამენტის მეთოდოლოგია მდგომარეობს შემდეგში: შეძლებისდაგვარად მიაწოდოს ინფორმაცია ყველას მანამდე, ვიდრე ამას თვითონ მოითხოვენ და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ამა თუ იმ ფაქტზე რეაგირებით.

შვიდი თვის მანძილზე სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტმა ჩაატარა 29 „ღია კარის დღე“ და 5 პრესკონფერენცია.

ჩატარებულ შეხვედრებს შორის მნიშვნელოვანი იყო „ეი-ი-ეს თელასის“ და მისი ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის „ელექტროენერჯის მიწოდების, მომსახურების და მოხმარების პირობებთან“, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ტარიფების ცვლილებასთან, თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფასთან, ზამთრის სეზონში ელექტროენერჯითა და გაზით დედაქალაქის მომარაგების გარანტიებთან, ელექტროენერჯის ძველი დავალიანებების დაფარვასთან, „ეი-ი-ეს თელასის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრებში დავალიანების ამოღების ერთიანი სისტემის (პროცედურების) არ არსებობასთან, გამანაწილებელ კომპანიასა და მომხმარებელს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებებთან და სხვა პრობლემებთან დაკავშირებული მოსმენები და განხილვები.

ასევე, თბილისში ელექტროენერჯის დეფიციტით გამოწვეულ მასობრივ შეზღუდვებთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის თბილისის მაჟორიტარი დეპუტატების თხოვნით, ნოემბრის ბოლოს სემეკში მოეწყო გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი, მაჟორიტარი დეპუტატები, ყველა ენერგეტიკული რეგოლის ხელმძღვანელი პირი, USAID-ს, PA Consulting-ის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები. შეხვედრაზე ენერგოკრიზისიდან გამოსვლის რეალურ გზებზე იმსჯელეს.

2001 წლის დეკემბერში „ეი-ი-ეს მტკვარის“ 5 ენერგობლოკის აფეთქებამ და ის ენერგობლოკის დროებით მწყობრიდან გამოსვლამ დედაქალაქის ელექტროენერჯით მომარაგების მკვეთრად გაუარესება გამოიწვია, რამაც

მოსახლეობა თითქმის პანიკამდე მიიყვანა. ენერგეტიკის დარგში შექმნილ ფორსმაჟორს სემეკის სხდომა და დეპარტამენტის რამდენიმე საჯარო განხილვა მიეძღვნა.

□ საზოგადოებასთან უ რ თიერთობა

დღიდან შექმნისა, სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი აქტიურად იწყებს თანამშრომლობას მოსახლეობის ინტერესების გამომხატველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან („საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოება“, „თავისუფლების ინსტიტუტი“, „ვაკის გონივრული განვითარება“, საზოგადოება „ბეგთარი“, „სოციალურად დაზარალებულ მოქალაქეთა კავშირი“, „თბილისისა და დაბა წყნეთის სამოქალაქო მრჩეველთა კომისია“, „საზოგადოება ვარკეთილი“, „დიდი დილომის საზოგადოებრივი საბჭო“, „საზოგადოება დიდი დილომი“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის კავშირი“), თბილისის საკრებულოსა და სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან, რომელთა წარმომადგენლები აუცილებლად ესწრებიან როგორც დეპარტამენტის „ღია კარის დღეებს“, ასევე, სემეკის სხდომებს.

დეპარტამენტი წინასწარ უთანხმდება და იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციებს და საკრებულოს ღია განხილვებში მონაწილეობის მისაღებად, დღის წესრიგში მდგარ პრობლემებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. დეპარტამენტის დახმარებით არასამთავრობო ორგანიზაციების და საკრებულოს წარმომადგენლები ხშირად ხვდებიან როგორც სემეკის, ასევე „ეი-ი-ეს თელასის“, „ელექტროდიპეტჩერიზაციის“, „ელექტროგადაცემის“, „საბითუმო ბაზრის“, „ეი-ი-ეს მტკვარის“, „ენერგოგენერაციის“, „საქგაზის“, „გაზის ტრასპორტირების კომპანიის“, „თბილგაზის“, აგრეთვე, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სსვა კომპანიების წარმომადგენლებს. სემეკი მზად არის, ნებისმიერი თავისი საქმიანობა გამჭვირვალე და საჯარო გახადოს, დეპარტამენტის საშუალებით ის თანამშრომლობს საზოგადოებასთან და მომხრეა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის. ნებისმიერმა საჯარო თუ კორპორატიულმა სისტემამ უნდა გაითვალისწინოს ხალხის აზრი და მისი ინტერესები.

□ მასმედიასთან უ რ თ იერთობა

საზოგადოებასთან კავშირს დეპარტამენტი მასმედიასთან ურთიერთობითაც ამყარებს. დეპარტამენტის ყოველი საჯარო განხილვა და სემეკის ის სხდომები, რომლებიც ფართო საზოგადოების ინტერესის საგანს წარმოადგენს, შუქდება პრესითა და ტელევიზიით. დეპარტამენტი მზად არის, ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს ჟურნალისტებს და აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველჰყოს მათი შეხვედრა კომისიის თავმჯდომარესთან ან წევრებთან.

გარდა ამისა, დეპარტამენტში ყოველდღიურად ხდება პრესისა და სატელევიზიო საინფორაციო გადაცემების მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში მათზე რეაგირება.

მასმედიასთან ურთიერთობით სემეკის საქმიანობა გაცილებით გამჭვირვალე და გასაგები ხდება საზოგადოებისთვის.

□ სემეკის და დ გენილებისა და გა დაწყვე ტი ლ ებების მიღებაში მონაწილეობა

სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი, ისევე როგორც სემეკის სხვა დეპარტამენტები, აქტიურ მონაწილეობას იღებს სემეკის საქმიანობაში, მისი დადგენილებებისა თუ გადაწყვეტილებების შემუშავებაში.

დღიდან შექმნისა, დეპარტამენტი სემეკთან ერთად რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა თბილისის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტზე – „ეი-ი-ეს თელასისა“ და მისი ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის „ელექტროენერჯის მიწოდების, მოსახურების და მოხმარების პირობებზე“. აღნიშნული დოკუმენტის იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრაციას წინ უძღოდა მრავალთვიანი კონსულტაციები „ეი-ი-ეს თელასის“ ხელმძღვანელობასთან. ვინაიდან საზოგადოების ამ დოკუმენტთან დაკავშირებული ინტერესი დიდი იყო, სემეკში პერიოდულად ეწყობოდა მისი საჯარო განხილვები. საბოლოოდ, „პირობები“, სემეკის შესაბამის, 2001 წლის 20 სექტემბრის №10 დადგენილებასთან (სს „ეი-ი-ეს თელასის“ და მისი ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის „ელექტროენერჯის მიწოდების, მომსახურების და მოხმარების პირობების“ დამტკიცებისა და ქ. თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ) ერთად, 2001 წლის 26 სექტემბერს შევიდა ძალაში და მასში სრულად არის დაცული როგორც მომხმარებლის, ასევე, გამანაწილებელი კომპანიის ინტერესები და უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე უნდა მოხდეს ინდივიდუალური ხელშეკრულებების გაფორმება „ეი-ი-ეს თელასისა“ და მომხმარებელს შორის.

დეპარტამენტი ყოველდღიურ მუშაობაში იყენებს ამ დოკუმენტს და მისი მეშვეობით ახერხებს მომხმარებელსა და გამანაწილებელ კომპანიას შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების მოგვარებას.

სემეკის 2001 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №29 – ქ. თბილისში ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდების აღდგენისა და თელასის 75% აქციათა პრივატიზებამდე მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადაუხდელობით წარმოშობილი ვალების დაფარვის შესახებ – მიღებულ იქნა დეპარტამენტის ჩამოყალიბებამდე. აღნიშნული დოკუმენტი ძალზე მნიშვნელოვანია და მთლიანად ემსახურება მომხმარებელთა უფლებების დაცვას. სემეკმა აღნიშნული გადაწყვეტილებით მორატორიუმი დააწესა 1999 წლის 4 იანვრამდე წარმოშობილი ვალების ამოღებაზე.

ამ დოკუმენტის სისრულეში მოსაყვანად დეპარტამენტმა დიდი მუშაობა გასწია „ეი-ი-ეს თელასთან“ და მიაღწია იმას, რომ გამანაწილებელმა კომპანიამ სრულად გაუმიჯნა მოსახლეობას პრივატიზებამდე და პრივატიზების შემდეგ წარმოშობილი დავალიანებები. ამჟამად, „ეი-ი-ეს თელასი“ მოსახლეობისაგან მხოლოდ 1999 წლის 4 იანვრიდან წარმოშობილი დავალიანებების ამოღებას აწარმოებს.

დეპარტამენტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილების („ელექტროენერჯის სამომხმარებლო და ელექტროენერგეტიკული სექტორის შიდა ტარიფების შესახებ“) შემუშავებაში. აღნიშნულმა დადგენილებამ საზოგადოების დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და მას არაერთი საჯარო განხილვა მიეძღვნა. მოსახლეობა დადგენილების ამოქმედებამდეც გარკვეულწილად მომზადებული იყო თბილისში ელექტროენერჯის ტარიფის გარდაუვალი მატებისთვის. ბევრმა ბრალი დასდო სემეკს ანტიეროვნულობაში და ცოტამ თუ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სემეკმა „ეი-ი-ეს თელასთან“ მრავალთვიანი ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და დაძაბული მუშაობის შედეგად მიაღწია იმას, რომ თბილისის მოსახლეობას ელექტროენერჯის ტარიფი ნაცვლად აპრილისა, 15 ნოემბრიდან გაეზარდა. სემეკმა ამ დადგენილების მიღებისას სრულად გაითვალისწინა როგორც დედაქალაქის, ასევე მთელი საქართველოს მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობა და თბილისელი მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის ტარიფში „ეი-ი-ეს თელასის“ წილი მხოლოდ 7,5 თეთრამდე გაზარდა, ნაცვლად გამანაწილებელი კომპანიის მიერ განაცხადით მოთხოვნილი 17 თეთრისა და ამით დედაქალაქის მოსახლეობა ელექტროენერჯის ტარიფის 22 თეთრამდე მატებისგან დაიცვა. ამჟამად მოქმედი ტარიფი 12,4 თეთრია.

ამავე დადგენილებით საქართველოს დანარჩენ რეგიონებს ელექტროენერჯის ტარიფი 8 თეთრამდე შეუმცირდათ. ასევე, მიწოდებული ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფები 5-6%-ით შეუმცირდათ „თბილისის მეტროპოლიტენს“, „თბილტრანსს“, „თბილწყალკანალს“ და „თბილქალაქგანათებას“. ამით სემეკმა მოსახლეობა წყლისა და ელექტროტრანსპორტის გადასახადების ზრდისაგან დაიცვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სემეკის ძალისხმევით „ეი-ი-ეს თელასმა“ შეიმუშავა და დასამტკიცებლად წარმოადგინა 1999 წლის 4 იანვრის შემდეგ წარმოქმნილი ვალის რესტრუქტურისა და წესი – სემეკის 2001 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №15.

დავალიანების ამოღების პროცედურების უქონლობა მომხმარებლის დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა, რადგან „ეი-ი-ეს თელასის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრებში დავალიანების ამოღების სხვადასხვა წესები მოქმედებდა. მდგომარეობის განსამუხტად აუცილებელი გახდა საერთო წესის შემოღება. დეპარტამენტმა, სემეკის იურისტებმა და „ეი-ი-ეს თელასმა“ ერთობლივად იმუშავეს წარმოდგენილ პროექტზე. აღნიშნული წესი ძალაში 2001 წლის 31 დეკემბრიდან შევიდა.

დეპარტამენტმა ბუნებრივი გაზის ტარიფის ცვლილებაზეც იმუშავა. მან საზოგადოებას მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია, თუ რით იყო გამოწვეული

კონკრეტულ შემთხვევაში გაზის ტარიფის მატება. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი გაზის ფასმა საზღვარზე (ექსკლუზიური მიწოდებელი „იტერა“) ჯერ კიდევ აპრილიდან 10 აშშ დოლარით ხოლო 1 ოქტომბრიდან 6 დოლარით მოიმატა და მისი ფასი გახდა 56 დოლარის ექვივალენტი ლარებში, სემეკმა მოსახლეობისათვის ბუნებრივი გაზის მომატებული ტარიფი მხოლოდ 2001 წლის 1 დეკემბრიდან დაამტკიცა თავისი 2001 წლის 29 ნოემბრის №14 დადგენილებით – „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“. ამ დადგენილების მიხედვით „თბილგაზის“ საცალო მოხმარების ტარიფი გაიზარდა 2 თეთრით და გახდა 27 თეთრი, ნაცვლად განაცხადით მოთხოვნილი 30 თეთრისა. სემეკმა აქაც გაითვალისწინა მოსახლეობის მძიმე სოციალური ფონი. აღნიშნულ ფაქტს სემეკში არაერთი საჯარო განხილვა მიეძღვნა.

საყურადღებოა სემეკის 2001 წლის 26 ნოემბრის №108 გადაწყვეტილება „2001–2002 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის საქართველოს ენერგოსისტემის მომზადების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული მოქალაქეთა უფლებები.

დეპარტამენტი ამა თუ იმ საკითხს საზოგადოების აზრიდან და იტერესებიდან გამომდინარე აყენებს კომისიის წინაშე, რათა მათი აზრი აუცილებლად იქნას გათვალისწინებული სემეკის მომავალ გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებში. მიუხედავად მრავალი სირთულისა, სემეკი და მისი ახლადშექმნილი დეპარტამენტი ერთად ღვანან მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად.

□ ენერგოკომპანიებთან უ რ თიერ თ ი ბ ა

სამოქალაქო უფლებების დაცვის მიზნით დეპარტამენტმა მრავალმხრივი ურთიერთობები დაამყარა ენერგოკომპანიებთან. თუმცა, შემოსული განცხადებებიდან გამომდინარე, მას ყველაზე ხშირი კონტაქტები „ეი-ი-ეს თელასთან“ აქვს. დეპარტამენტი იტოვებს უფლებას, მომხმარებლებთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად, დაგეგმოს შეხვედრები გამანაწილებელი კომპანიების მთავარ მენეჯერებთან. ხშირია შემთხვევები, როდესაც დეპარტამენტის თანამშრომლები „ეი-ი-ეს თელასის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრებსაც აკითხავენ და ადგილზე აგვარებენ მომხმარებელთა პრობლემებს, ასევე, სიტუაციის გასაკონტროლებლად, თუ სადაო საკითხების გადასაჭრელად თბილისის სხვადასხვა უბნებშიც გადიან.

გარდა ამისა, 2001 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში სამოქალაქო უფლებების დაცვისა და იურიდიული დეპარტამენტების თანამშრომლები, მდგომარეობის გაცნობის მიზნით, მივლინებით იმყოფებოდნენ ენერგოკომპანიაში. ენერგოკომპანიის აჭარის სემეკის გენერალური დირექტორი თანამშრომლებს ესაუბრა ენერგოკომპანიის მუშაობის მიმართულებებსა და სირთულეებზე, იმ ავარიებზე, რომლებიც ქსელის გაუმართაობის გამო არცთუ

იშვიათად იჩენს ხოლმე თავს და მათ აღმკვეთ სამუშაოებზე. სემეკის თანამშრომლებმა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს აჭარის ენერგოკომპანიის ვალების მომსახურების სამსახურის მიერ მოწყობილ რამდენიმე რეიდში.

□ USAID-ის „ზამთ რის გათბობის პროგრამაში“ მონაწილეობა

საერთაშორისო განვითარების ამერიკულ სააგენტოსთან (USAID) და უსაქართველოს ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დეპარტამენტმა დახმარება გაუწია სოციალურად დაუცველ იმ მოქალაქეებს, რომელთა მონაცემებსაც სატელეფონო „ცხელი ხაზიდან“ თუ წერილობით შემოსულ განცხადებებზე დაყრდნობით ფლობდა. დეპარტამენტმა სწორედ აღნიშნულ მონაცემთა ბაზის მიხედვით შეადგინა შეჭირვებულ მოქალაქეთა 500-კაციანი დამატებითი სია, რომელიც „ზამთრის გათბობის პროგრამაში“ ჩართვის მიზნით, USAID-ს გადასცა. დეპარტამენტმა თავის მიერ შედგენილ სიაში შეიტანა უკლებლივ ყველა მარტოხელა პენსიონერი, უმუშევართა ოჯახები, ინვალიდები, არაკომპაქტურად ჩასახლებული დევნილები და სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთა მონაცემებსაც ფლობდა. აღსანიშნავია, რომ USAID-ის მიერ დაწესებული შეღავათი სიებში შეტანილმა თითქმის ყველა ოჯახმა მიიღო.

ბ. უ რ თიერ თ ობა საერთაშო რისო ო რ განიზაცებთან

სემეკი საანგარიშო წელს აგრძელებდა საერთაშორისო კონტრაქტებს. კერძოდ, 2001 წლის 28 ივლისიდან 12 აგვისტომდე სემეკის თანამშრომლები ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ალ. ხეთაგური და მთავარი ექსპერტი ს. ლაცაბიძე, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებითა და საერთაშორისო განვითარების აკადემიის (AED) მიწვევით, სტაჟირებაზე იმყოფებოდნენ აშშ-ის შტატ მეინის ქალაქ პორტლენდში, სადაც მათ მოისმინეს „სენდჰილ ასოშიეითედის“ მიერ მომზადებული სემინარი ფინანსური და საბიუჯეტო მენეჯმენტის შესახებ. აღნიშნული სემინარი მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორცაა: პროექტის ფინანსური ანალიზი, საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა, საბიუჯეტო მართვა, საწარმოს ფინანსური ანგარიშების განხილვა და შემოწმება, ფინანსური მოდელირება და კაპიტალის შეფასება. ამასთანავე, სემინარების მსვლელობისას წარმოდგენილი და განხილული იქნა სხვადასხვა ფინანსური მოდელები.

აღნიშნული პროგრამა, ასევე ითვალისწინებდა, „ახალი ინგლისის“ დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის (ISO) მუშაობისა და ელექტროენერჯის კონკურენტულ ბაზარზე ფასწარმოქმნის პრინციპების გაცნობას, მეინისა და მასაჩუსეტის შტატებში სხვადასხვა მცირე ჰიდროელექტროსადგურების დათვალიერებასა და მათი მუშაობის პრინციპების გაცნობას. ამასთანავე

განხორციელდა, მეინის შტატის, ბუნებრივი გაზის საკომპრესორო სადგურის დათვალიერება.

ზემოაღნიშნულ სემინარზე სემეკის სპეციალისტების დასწრებამ აამალა მათი კვალიფიკაცია. საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ ასეთი სახის სემინარებსა და ლექციების კურსებზე დასწრება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სემეკის მუშაობის დახვეწას და მიზანშეწონილია მომავალში მათი გაგრძელება.

სემეკს გააჩნია მჭიდრო ურთიერთობა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელთა შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია “USAID”-ი, ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების რეგიონული ასოციაცია (ERRA), “PA Consulting”-ი და აშშ მიჩიგანის შტატის კომუნალურ საწარმოთა მარეგულირებელი კომისია.

2001 წლის 3 ნოემბრიდან 11 ნოემბრამდე სემეკის დელეგაცია იმყოფებოდა აშშ-ში, შტატ მიჩიგანში, ქალაქ ლენსინგში, შტატის კომუნალური რეგულირების კომისიაში. დელეგაციის შემადგენლობა: თამაზ მირესაშვილი - იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი (დელეგაციის ხელმძღვანელი); წევრები-პაატა ვარლოსანიძე - სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტის დირექტორი; დიმიტრი ნამგალაძე-ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის დირექტორი; ნინო ტუსკია - იურიდიული დეპარტამენტის მთავარი იურისტი; ნატო ჯაფარიძე - ეკონომიკური დეპარტამენტის წამყვანი ეკონომისტი. ვიზიტი ორგანიზებული იყო USAID-ისა და USEA-ის მიერ. ვიზიტს კოორდინაციას უწევდა USEA-ს წარმომადგენელი ენტონი ბიტონტი (Anthony Bitonhi – ენერგეტიკაში პარტნიორობის პროგრამის მთავარი კოორდინატორი). მიჩიგანის შტატის კომუნალური საწარმოთა რეგულირების კომისია რეგულირებას უწევს შემდეგ სფეროებს: ელექტროენერგეტიკა, გაზი, ტელეკომუნიკაციები, სატვირთო გადაზიდვები, მიჩიგანის ტბაზე მოძრავი ბორანი და სხვა სფეროები.

დელეგაცია მონაწილეობდა მრავალ შეხვედრასა და ღონისძიებაში; მაგალითად, იგი დაესწრო კომისიის შიგა სასამართლოს. ეს მეტად საინტერესო სტრუქტურაა. მასზე წარმოებს პრაქტიკულად ყველა იმ სადაო საკითხის მოსმენა, რომლის თაობაზე კომისია იღებს დადგენილებას. კომისიის შტატში არის ოთხი იურისტი, რომლებიც ასრულებენ არბიტრის როლს. თუ რომელიმე არბიტრი გარკვეული მიზეზის გამო ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, იგი შეიძლება შეცვალოს კომისიის მთავარმა იურისკონსულტმა. სასამართლოს ერთადერთი ფუნქციაა – დაადგინოს ფაქტის სისწორე, იგი სხვა არავითარ გადაწყვეტილებას არ იღებს.

ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა თემებზე, კერძოდ: ინტერნეტის გამოყენება კომისიის მუშაობაში - ურთიერთობა მას-მედიასთან, მომხმარებელთა საჩივრების გარჩევა, ბუნებრივი გაზის რეგულირების საკითხები. დელეგაცია დაესწრო “ცხელი ხაზის” მუშაობას და ტრენინგის კურსებს ოპერატორებისათვის.

ვიზიტის ერთ-ერთი დღე მიეძღვნა კონკურენტული ინტერესების დაბალანსების, ლობირებისა და კომისიისა და იუსტიციის სამინისტროს ურთიერთობებს.

სემეკს მჭიდრო კონტაქტები აქვს ERRA-სთან. კომისიის ორი წევრი უშუალოდ მონაწილეობენ ამ ორგანიზაციის ტარიფებისა და ლიცენზიების კომიტეტების მუშაობაში. 2001 წელს 4 ასეთი შეხვედრა გაიმართა. წლის ბოლოს, კერძოდ, 2001 წლის 3-5 დეკემბერს სემეკის დელეგაცია იმყოფებოდა ბულგარეთში (სოფიაში) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების ენერგეტიკის რეგულირების ყოველწლიურ მეზუთე კონფერენციაზე. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: კომისიის წევრები დ. ჩომახიძე და პ. ცინცაძე; ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ჯ. ლონლაძე; ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ა. ხეთაგური. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ERRA-ს წევრი ქვეყნების დელეგაციები - ალბანეთი, სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა (სერბია), საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, ტაჯიკეთი და უკრაინა. გარდა ამისა დამკვირვებლების როლში მონაწილეობდნენ აშშ – დან კომუნალური საწარმოების რეგულირების კომისიის წევრთა ნაციონალური ასოციაცია (NARUC) და განვითარების საერთაშორისო სააგენტო (USAID); მსოფლიო ბანკი; საფრანგეთის ელექტროენერგეტიკის რეგულირების კომისია; შვედეთის ჰიოტებორგის უნივერსიტეტი; Hunton & Williams-ი; SEETEC (კანადა).

კონფერენციაზე ჩატარდა ოთხი პლენარული სხდომა, რომლებზეც განხილული იყო შემდეგი საკითხები: ERRA-ს სტრატეგიული გეგმის მიღება; ფინანსური საკითხების განხილვა; ენერგეტიკის რეგულირებისა და ინვესტიციების შესახებ პირველი კონფერენციის პროგრამის განხილვა; რეგულირების საკვანძო საკითხები – პრივატიზაცია, კონკურენცია და ფასწარმოქმნა; კონკრეტული სიტუაციების წარმოდგენა (ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, დსთ); ფასწარმოქმნის და საინვესტიციო პოლიტიკა; ელექტროენერჯის რეგიონალური ვაჭრობა – სტატუსი და საკითხები; პოსტ-პრივატიზაციული პრობლემები – მარეგულირებელი ორგანოების პოზიცია კომერციული დანაკარგების, დატაცების და არ გადაძღვლების მიმართ; მარეგულირებელი ორგანოების როლი გარემოს დაცვით საკითხებში და ა.შ. ჩატარდა პარალელური სხდომები: ტარიფებისა და ფასწარმოქმნის და ლიცენზირებისა და კონკურენციის კომიტეტებში.

საანგარიშო წელს სემეკის თანამშრომლები იმყოფებოდნენ მივლინებაში რუსეთში, კერძოდ, ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის დირექტორი დ. ნამგალაძე და მთავარი სპეციალისტი ი. ხეროდინაშვილი იმყოფებოდნენ მივლინებით ქ. სანკტ-პეტერბურგში (22-27 მაისი) გამოფენა – სიმპოზიუმზე: 1Y Международная выставка газовой промышленности и технических средств для газового хозяйства – Рос-Газ-Экспо. გამოფენაში მონაწილეობდა 209 ფირმა 12 ქვეყნიდან. გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ ფირმები “გაზპრომი”, “როსგაზიფიკაცია”, “ლენგაზი” და ა.შ. გამოფენის თემატური განხრები იყო: გაზის მოპოვება, ტრანსპორტირება და დასაწყობება; მაგისტრალური გაზსადენები; ჩამკეტი არმატურა; პოლიმერული

მასალები გაზმომარაგებაში; რეგულატორები და გაზის რელუქტორები; გაზსადენების დაცვა კოროზიისაგან; უსაფრთხოების სისტემები; გარემოსდაცვითი საკითხები. გამოფენის საქმიანი პროგრამა მოიცავდა სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, მრგვალ მაგიდებს, გამოფენის მონაწილე ფირმების პრეზენტაციას და ა.შ.

4 . ღ ა ნ ა წ თ ე ბ ი

სემეკის მიერ 2001 წელს მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების ნუსხა

ნომერი	თარიღი	დადგენილებების და გადაწყვეტილებების დასახელება
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი		
№1	09.01.01	„ელექტროენერჯის საცალო და საბითუმო ტარიფების შესახებ“ სემეკის 2000 წლის 31 აგვისტოს №8 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ
№2	06.03.01	საქართველოს ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში სერტიფიკაციის სისტემის ცენტრალური ორგანოს შესახებ
№3	04.04.01	ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ
№4	08.05.01	ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ტარიფის შესახებ
№5	11.07.01	საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისა და გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ სს „ეი-ი-ეს მტკვარის“ და სს „თბილსრესისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის დადგენის შესახებ
№6	11.07.01	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 04.04.01 №3 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ
№7	18.07.01	სს „აზოტისათვის“ ელექტროენერჯის მიწოდების და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფების შესახებ
№8	23.07.01	შპს „ჟინვალქესის“ ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის შესახებ
№9	09.09.01	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში დამატებებისა და ცვლილების შეტანის შესახებ
№10	20.09.01	სს „ეი-ი-ეს თელასისა“ და მისი ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის „ელენერჯის მიწოდების, მომსახურებისა და მოხმარების პირობების“ დამტკიცებისა და თბილისის უწყვეტი ელმომარაგებით უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ
№11	10.09.01	„საბაზრო წესების“ დამტკიცების, საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის (ელექტრობაზრის) „საბაზრო წესების“ დამტკიცების შესახებ სემეკის 1999 წლის 31 მაისის №2 დადგენილებისა და „საბაზრო წესების“ დამტკიცების შესახებ სემეკის 1999 წლის 31 მაისის №2 დადგენილებაში სვლილებებისა და დამატებების დამტკიცების შესახებ სემეკის 2000 წლის 14 თებერვლის №1 დადგენილების გაუქმების შესახებ
№12	14.11.01	ელექტროენერჯის სამომხმარებლო და ელექტროენერჯეტიკული სექტორის შიდა ტარიფების შესახებ
№13	29.11.01	სემეკის 08.09.99 №6 დადგენილებით დამტკიცებულ

		„ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესსა და მეთოდოლოგიაში“ დამატების შეტანის შესახებ
№14	29.11.01	„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
№15	31.12.01	„სს „ეი-ი-ეს თელასის“ სააბონენტო სექტორის მომხმარებლებისათვის 1999 წლის 4 იანვრის შემდეგ წარმოქმნილი ვალის რესტრუქტურისა და წესისა“, „სააბონენტო, საბიუჯეტო, და კომერციულ სექტორებში აღურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდიკისა“ და „ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელენერჯის საფასურის გადახდის წესის“ დამტკიცების შესახებ

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ე ბ ი

№1	26.01.01	ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიების გაცემის შესახებ
№2	26.01.01	საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№3	26.01.01	სს „ქუთაისიგაზისათვის“ ბუნებრივი გაზის განაწილებისა და მიწოდების ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ
№4	26.01.01	სს „ავტოგაზისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№5	26.01.01	შპს „გამასათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№6	26.01.01	ქ. თბილისის განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტებისათვის (თბილწყალკანალი, მეტროპოლიტენი, ელექტროტრანსპორტი, გარეგანათება) ელენერჯის შესასყიდი ტარიფების შესახებ
№7	26.01.01	ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ
№8	27.01.01	ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის გაცემის შესახებ
№9	31.01.01	ელექტროენერჯის განაწილების შუალედური ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ
№10	08.02.01	შპს „აჭარის ენერჯოკომპანიისათვის“ ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის გაცემისა და ამ ლიცენზიის პირობების შესახებ
№11	14.02.01	სს „ქვემო ქართლის ენერჯოკომპანიაზე“ ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის გაცემის შესახებ
№12	23.02.01	ელექტროენერჯეტიკულ სექტორში წარმოების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიების, მათ შორის, შუალედური ლიცენზიების, პირობების დაცვის შემოწმების შესახებ
№13	02.03.01	ბუნებრივი გაზის სექტორის ლიცენზიატების მიერ 2000 წლის საქმიანობის ანგარიშის სემეკში დროულად წარმოდგენის შესახებ
№14	02.03.01	ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემისა და წარმოების შუალედური ლიცენზიების ვადების გაგრძელების შესახებ

№15	02.03.01	შპს „ვარდნილჭესების კასკადს“, შპს „ელექტროდიპეტჩერიზაცია-2000“-სა და კახეთის სს „სინათლეს“ შორის ელექტროენერჯის მიწოდება-დისპეტჩირება-მოხმარების თაობაზე 28.02.01წ. გაფორმებული №5 ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ
№16	13.03.01	სს „რიონქესს“ და სს „ველასს“ შორის ელექტროენერჯის მიწოდების, მოხმარების რეჟიმისა და ანგარიშსწორების თაობაზე 08.03.01წ. გაფორმებული №06 ხელშეკრულების შესახებ
№17	14.03.01	ელექტროენერჯის განაწილების შუალედური ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ
№18	14.03.01	სს „ელექტროგადაცემის“ ელექტროენერჯის იმპორტის №004 სერია 15 ლიცენზიის გაუქმებისა და მისთვის ელექტროენერჯის იმპორტის №008 სერია 15 ლიცენზიის გაცემის შესახებ
№19	14.03.01	ბუნებრივი გაზის ლიცენზიების გაცემის შესახებ
№20	20.03.01	სს „ჩითახევი-ბორჯომზე“ გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაუქმებისა და შპს „საქართველოს რკინიგზაზე“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე
№21	20.03.01	სს „ვარციხეჭესების კასკადსა“ და „წყალტუბოს შპს „ენერჯიას“ შორის ელექტროენერჯის მიწოდების თაობაზე 01.03.01წ. გაფორმებული №8 ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ
№22	22.03.01	სემეკის 2000 წლის წლიური ანგარიშის შესახებ
№23	20.03.01	შპს „თაღოვანი კაშხალის“ დაფინანსების შესახებ
№24	26.03.01	სს „ეი-ი-ეს თელასის“ ელექტროენერჯის იმპორტის (№001 სერია 15) ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ
№25	06.04.01	ბუნებრივი გაზის ლიცენზიების გაცემისა და მოდიფიცირების შესახებ
№26	06.04.01	ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ
№26/1	06.04.01	ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში სერტიფიკაციის სისტემისათვის დასამუშავებელი ნორმატიული დოკუმენტების ნუსხის დამტკიცება
№27	06.04.01	სს „საქგაზის“ მიერ სს „აზოტისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის შესახებ
№28	06.04.01	სს „რუსთავგაზის“ მიერ რუსთავის ტერიტორიაზე არსებული სამრეწველო საწარმოებისათვის ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფების შესახებ
№29	12.04.01	ქ. თბილისში ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდების აღდგენისა და თელასის 75% აქციათა პრივატიზებამდე მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადაუხდელობით წარმოშობილი ვალების დაფარვის შესახებ
№30	12.04.01	შპს „მარტყოფიქესსა“ და შპს „ბიმოს“ შორის 2001 წლის 1 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ

№31	18.04.01	მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის საირიგაციო სისტემებზე განთავსებული ჰესებისათვის წყლის მიწოდების ხარჯების ანაზღაურების შესახებ
№32	18.04.01	შპს „ემოს“, შპა „ებასის“ და შპს „ვირტუოზის“ ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის პირდაპირ მომხმარებლებად გახდომის შესახებ
№33	25.04.01	სს „სინათლესა“ და შპს „კაბალიჰესი-99“-ს შორის გაფორმებული „ელექტროენერჯის შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების შეთანხმების თაობაზე
№34	25.04.01	სემეკის ზოგიერთი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ
№35	27.04.01	ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიის მისაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ
№36	27.04.01	ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიების გაცემისა და განაწილების შუალედური ლიცენზიების ვადის გაგრძელების შესახებ
№36/1	27.04.01	ელექტროენერჯის განაწილების შუალედური ლიცენზიების ვადის გაგრძელების შესახებ
№37	27.04.01	სემეკის 2001 წლის 23 თებერვლის №12 გადაწყვეტილების - „ელექტროენერჯეტიკულ სექტორში წარმოების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიების, მათ შორის შუალედური ლიცენზიების, პირობების დაცვის შემოწმების შესახებ“, №1 და №2 დანართებში ცვლილებების შეტანის შესახებ
№38	18.05.01	ელექტროენერჯის წარმოების შუალედური ლიცენზიების ვადის გაგრძელების შესახებ
№39	18.05.01	ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ
№39/1	18.05.01	შპს „ტირიფონჰესისათვის“ ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების ლიცენზიების შეჩერების შესახებ
№40	18.05.01	ბუნებრივი გაზის ლიცენზიების გაცემისა და მოდიფიცირების შესახებ
№41	25.05.01	ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№42	25.05.01	შპს „საქენერჯო-2000“-ის მიმართ სს „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ შესყიდული ელექტროენერჯის ღირებულების დავალიანების დაფარვის მოთხოვნის შესახებ
№43	09.06.01	არასასისტემო დანიშნულების 35-110 კვ ქსელის გამანაწილებელ სამხარეო ენერგოკომპანიებზე მიკუთვნების საკითხის შემსწავლელი მუშა ჯგუფის შექმნის შესახებ
№44	09.06.01	ელექტროენერჯის მოხმარების დაწესებული რეჟიმების დაცვისა და მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების შესახებ
№45	15.06.01	ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის გაცემისა და ელექტროენერჯის წარმოების შუალედური ლიცენზიების ვადის გაგრძელების შესახებ

№46	22.06.01	სს „სამტრედიაგაზის“ ბუნებრივი გაზის განაწილებისა და მიწოდების ლიცენზიების მოდიფიცირების შესახებ
№47	22.06.01	ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№47/1	22.06.01	ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№48	22.06.01	ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიების დანართებში ცვლილებების შეტანის შესახებ
№49	22.06.01	საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ
№50	29.06.01	სემეკის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ
№51	29.06.01	ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის გაცემის შესახებ
№52	29.06.01	სს „რუსთაველის“ სამრეწველო მომხმარებლებისათვის ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის შესახებ
№53	11.07.01	სს „კასპიგაზის“ სამრეწველო მომხმარებლებისათვის ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის შესახებ
№54	11.07.01	ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემის შესახებ
№55	11.07.01	ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ
№56	11.07.01	ელექტროენერჯის დავალიანების გამო სს „ეი-ი-ეს თელასსა“ და შპს „საქენერჯო-2000-ს“ (ყოფილი სკ „საქენერჯო“) შორის წარმოშობილი დავის შესახებ
№57	11.07.01	სს „იბეროტექსსა“ და სს „ეი-ი-ეს თელასს“ შორის ანგარიშსწორების შესახებ
